

საქართველოს დაცული ტერიტორიების ფინანსურ შესაძლებლობათა ანალიზი

პროექტი

2020 წლის ივნისი

მომზადდა:

კავკასიის ბუნების ფონდისთვის

ავტორები:

ჰუგო ფონ ზილი და ირაკლი გოდუაძე

INDEPENDENT
ECONOMIC RESEARCHERS



მადლიერების გამოხატვა

ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და სხვა სექტორებში მოღვაწე მრავალი ადამიანის მონაწილეობით. ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ მათი ღირებული წვლილი:

- საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა მხრიდან ყველა დონეზე მიღებული მხარდაჭერა, მითითებები და ინტენსიური წვლილი, ხოლო, განსაკუთრებით გვსურს გამოვყოთ, თამარ ხახიშვილი, თომა დეკანოიძე და ბესიკ კუსიდი.
- კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) ხელმძღვანელობა, მხარდაჭერა და ხელშეწყობა კვლევის ასპექტებთან მიმართებით, განსაკუთრებით, თამარ პატარიძის, თეა ბარბაქაძისა და ჯორჯ ჯიაკომინის წვლილი.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ უზრუნველყოფილი დაფინანსება, მხარდაჭერა და ჩართულობა, რომელიც წარმოდგენილი იყო ირაკლი გორაძის სახით.
- თუმეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მიერ გაწეული დახმარება და წვლილი, რომელიც წარმოდგენილი იყო ზაზა ლაგაზიძისა და ეკა კაკაბაძის სახით, SPSS პროექტის ფარგლებში.

დოკუმენტში აღნიშნული ნებისმიერი შეხედულება და მოსაზრება ეკუთვნის მის უშუალო ავტორებს და ისინი უცილობლად არ გამოხატავს მონაწილეთა შეხედულებებსა თუ მოსაზრებებს.

შეთავაზებული ციტირება: ჰ.უ. ფონ ზილი და ი. გოდუაძე, 2020. საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსურ საჭიროებათა შეფასება. მოხსენება კავკასიის ბუნების ფონდისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის, როგორც ნაწილი GEF/UNDP - ის პროექტისა „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში. კავკასიის ბუნების ფონდი, საქართველო“.

რეზიუმე

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, დაცული ტერიტორიების მართვისთვის განსაზღვრული დაფინანსება, საჭირო რაოდენობასთან შედარებით, საგრძნობლად მცირეა. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს (APA) მიერ მართული ყველა დაცული ტერიტორიის ფინანსურ საჭიროებათა დეტალური შეფასების (FNA) ფარგლებში გაკეთებული გაანგარიშების მიხედვით, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ნაერთი მთლიანი დეფიციტი ფინანსურ საჭიროებასა და არსებულ ფონდებს შორის 95.17 მილიონ ლარს (მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც ამჟამად ხელმისაწვდომ ფინანსურ საშუალებებთან შედარებით 122%-ით მეტია) შეადგენდა საბაზისო მართვის სცენარისთვის, ხოლო 139.12 მილიონ ლარს - ოპტიმალური მართვის სცენარისთვის (დღეისათვის არსებულ ფინანსურ საშუალებებზე 178%-ით მეტი).¹

საქართველოს დაცული ტერიტორიების დაფინანსებაში აღნიშნული დიდი დეფიციტის შემცირების მიზნით, GEF/UNDP-ის პროექტი „დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება საქართველოში“ მიზნად ისახავს პრიორიტეტული ფინანსური ინსტრუმენტების პილოტირებასა და დანერგვას, რომელიც დამატებითი შემოსავლების გენერირებას მოახდენს. ამ მიზნით, კავკასიის ბუნების ფონდმა შეუკვეთა ფინანსურ შესაძლებლობათა ანალიზის მომზადება. იგი მეტ ყურადღებას უთმობს არატურისტულ ინსტრუმენტებს ან შემოსავლების გენერირების შესაძლებლობებს, ვინაიდან იმ ძირითადი აქტივობების განხორციელებადობის კვლევები, რომლებიც ახდენს ტურიზმის სფეროში შემოსავლების გენერირებას, ჩატარებულია და კვლავ ტარდება შერჩეული დაცული ტერიტორიებისთვის.

ფინანსურ კონტექსტთან დაკავშირებით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხარჯები დაცული ტერიტორიების სისტემის მართვისთვის, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2019 წლისთვის) 22,63 მილიონ ლარამდე გაიზარდა (7,07 მილიონი აშშ დოლარი). რაც შეეხება ამ ხარჯების დაფარვისთვის საჭირო შემოსავლებს, 2014-2019 წლებში სააგენტოს შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა - 1,32 მილიონი ლარიდან - 11,22 მილიონ ლარამდე (მთლიანი შემოსავლების 50%). ასევე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები, მაგრამ მცირედი ნაწილით. კერძოდ, 5,56 მილიონი ლარიდან - 6,48 მილიონ ლარამდე (მთელი შემოსავლების 29%). გრანტებით მიღებული შემოსავალი, 4,97 მილიონი ლარიდან - 4,21 მილიონ ლარამდე შემცირდა (მთელი შემოსავლების 19%), რომელსაც ძირითადად უზრუნველყოფდნენ კავკასიის ბუნების ფონდი, გაეროს განვითარების პროგრამა/გლობალური ეკოლოგიური ფონდი (UNDP/GEF) და გერმანიის განვითარების ბანკი (KfW). მიზნობრივი გრანტები შემოსავლების დანარჩენ მცირე ნაწილს შეადგენს და იგი 0,07 მილიონი ლარიდან 0,34 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

¹ ტერმინები 'საბაზისო მართვა' და 'ოპტიმალური მართვა' მიუთითებს დაცული ტერიტორიის მართვის სცენარებზე, რომლებშიც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მართვის პროგრამებისთვის საჭირო დაფინანსება საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოს საბაზისო ეკოსისტემის ფუნქციონირების დაცვა და ოპტიმალური ეკოსისტემის ფუნქციები, შესაბამისად (after Flores M., G. Rivero, F. León, G. Chan, et al. (2008) დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემების ფინანსური დაგეგმვა: გაიდლაინები და წარსულის გაკვეთილები. The Nature Conservancy, Arlington, Virginia, US)

დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემოსავლებში დომინირებს ტურიზმიდან მიღებული წილი, რომელმაც 2019 წლისთვის 9,18 მილიონ ლარს მიაღწია. მომდევნო ადგილი უკავია ტყითსარგებლობის კომპენსაციებს - 1,19 მილიონი ლარი, მიწის დროებით სარგებლობაში (იჯარა, აღნაგობა) გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებს - 0,50 მილიონი ლარი, ქონების (გარდა მიწისა) დროებით სარგებლობაში გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებს, ხე-ტყის დამზადების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებს, ბანკის პროცენტს, ჯარიმებს და სხვა შემოსავლებს. ტურიზმისგან მიღებულ შემოსავლებში დომინირებს შესვლის საფასური, რომელმაც 2015-2019 წლებში ტურიზმიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 80% შეადგინა. სხვა ძირითად წყაროებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის ტურები (ნავით, კაიაკით და ა.შ.), რომლის ფარგლებშიც შემოსავლების 13%-ის გენერირება მოხდა და საცხოვრებელი ფართის ქირაობა, რომლის წილმაც შემოსავლებში თითქმის 2% შეადგინა. ტურიზმის შემოსავლები არათანაბრად არის განაწილებული დაცულ ტერიტორიებს შორის, როგორც ეს ქვეყნების დიდი უმრავლესობისთვის არის დამახასიათებელი. შემოსავლების ოდენობა ყველაზე დიდი იყო პრომეთეს მღვიმიდან, მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლიდან, ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლიდან და სათაფლიის აღკვეთილიდან, რომლებმაც ერთობლივად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ტურიზმის მთლიანი შემოსავლების 94%-ის გენერირება შეძლეს.

ფინანსურ შესაძლებლობათა ანალიზი შედარებით ფართო იყო და იგი დაიწყო თავდაპირველი გრძელი ჩამონათვალის შედგენით, ფინანსური ინსტრუმენტების 34 არსებული და ახალი ვარიანტიდან. ამას მოჰყვა მათი სკრინინგის და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესი, რომლის დროსაც იდენტიფიცირებულ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის შედარებით მაღალი პოტენციალის მქონე 11 ფინანსური ინსტრუმენტი:

1. მეგობართა ასოციაციების (FAs) წვლილის გაძლიერება;
2. კინო და ფოტოგადაღების მომსახურების საფასური;
3. სატრანსპორტო საშუალებათა შესვლის მომსახურების საფასური;
4. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილის და სპონსორობის გაზრდა;
5. რეკლამის შესაძლებლობათა გაყიდვის შემოღება;
6. ფონდების მოსაზიდად, კონკურსების გამოყენება სპონსორთა მიერ უზრუნველყოფილი პრიზებით;
7. სამოვრის გადასახადის გაზრდა;
8. მიწისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციები (ტყითსარგებლობის კომპენსაცია);
9. თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ტურიზმის მოსაკრებლის შემოღება;
10. კემპინგის და პიკნიკის ადგილების განვითარებისა და ოპერირების კონცესიები თუშეთის დაცულ ლანდშაფტში;
11. ჯომარდობის (რაფტინგის) კონცესიები თუშეთის დაცულ ლანდშაფტში.

შერჩეული მიმართულებებიდან შეფასდა და განისაზღვრა პრიორიტეტები, რის შედეგადაც შეირჩა ხუთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, მომდევნო ეტაპების, პოლოტიკების ვარიანტებისა და სხვა მოქმედებების ჩათვლით, რომლებიც რეკომენდებულია განხორციელების ხელშესაწყობად. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც პრიორიტეტებს შორის

არ მოხვდა, არ უნდა იქნეს მიჩნეული უსარგებლოდ. მოცემული მომენტისთვის, ისინი უბრალოდ პრიორიტეტული არ არის, თუმცა შეიძლება კარგი შესაძლებლობა გახდეს, განსაკუთრებით საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციების წვლილი სისტემის გაძლიერებაში

დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციები საქართველოში ფართოდ არის ცნობილი და პირველად ისინი 2009 წელს დაარსდა: ვაშლოვანში, ლაგოდეხსა და თუშეთში. მას შემდეგ, დონორთა დახმარებით, კიდევ ექვსი ასოციაცია დაარსდა (მტირალა/მაჭახელა, კოლხეთი, ალგეთი, ყაზბეგი, კინტრიში და ფშავ-ხევსურეთი). დაცული ტერიტორიების მეგობართა ქსელი, რომელიც 2019 წელს შეიქმნა, არის ქოლგა ორგანიზაცია მეგობართა ინდივიდუალური ასოციაციებისთვის. მისი მიზანია ფონდების მოზიდვა მეგობართა ასოციაციების საქმიანობისთვის. მართალია, არის გარკვეული გამოწვევები და გვეზვენება, რომ პროგრესიც ზოგჯერ საკმაოდ ნელი ტემპით მიდის, თუმცა მეგობართა ასოციაციების ფინანსური და სხვა სახის წვლილის პოტენციალი აშკარაა და საჭიროა მათთვის დახმარების გაწევა.

მეგობართა თითოეული ასოციაციის შემოსავლების კონკრეტული წყაროები განსხვავებული იქნება და ისინი უნდა შეესაბამებოდეს მათ გარემოებებს, მათ მიერ მხარდაჭერილი დაცული ტერიტორიის ბუნებას და მეგობართა ასოციაციის წევრების ინტერესებსა და მოტივაციას. თუმცა, თუ ისინი სხვა ქვეყნების მეგობართა ასოციაციების მსგავსად უნდა განვითარდეს, მაშინ მეგობართა ასოციაციის მთლიანი შემოსავლების უდიდესი ნაწილის ფორმირება უნდა მოხდეს საწევრო შენატანების (ნაღდი ფულადი სახსრებით ან ნატურით) და შემოწირულობებზე ორიენტირებული ფონდების მოზიდვის მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მიღებულ კონტრიბუციებს ადგილობრივი და რეგიონული ბიზნესისაგან, როგორც არის ტურიზმი, სხვადასხვა კამპანიები და ღონისძიებები და ა.შ. სხვა წყაროები შეიძლება იყოს უფრო ცვალებადი და სპეციფიკური კონკრეტული შემთხვევისთვის და ისინი მოიცავს მაგალითად: ტურისტულ სერვისებს, საგანმანათლებლო ტურებს/ბანაკებს, სუვენირების მაღაზიებს, ჯიხურებს, რესტორნებს, საფირმო/ბრენდული ნაწარმის გაყიდვას და ა.შ. ხშირად, ასეთი სახის კომერციული საწარმოები იქნება შედარებით მცირე (მაგალითად: შესაძლებლობებით, რომლებიც მცირეა დაცული ტერიტორიების სააგენტოს კონცესიებისთვის), რომლებიც მოგების უფრო დაბალ დონეებზე მუშაობს, მაგრამ ღირებულ სერვისებს სთავაზობს ვიზიტორებს, რითაც გარკვეულ როლს ასრულებს მათ მოზიდვაში.

მეგობართა ასოციაციების შესაძლებლობები, ფონდების მოზიდვისა და სხვა წყაროების მეშვეობით შემოსავლების გენერირების თვალსაზრისით, სავარაუდოდ, შეზღუდული იქნება, გარდა ზოგიერთი გამოწვევისა, სადაც მეგობართა ასოციაციის წევრებს შემოსავლების გენერირების გამოცდილება აქვთ. ეს მიუთითებს, რომ საჭიროა შესაძლებლობათა გაძლიერება ფონდების მოზიდვისა და შემოსავლების გენერირების სხვა საშუალებათა გამოყენებით. საშუალებათა გაძლიერების ფორმა და მიმართულება უნდა წარმართოს დაცული ტერიტორიების მეგობართა ქსელისა და მეგობართა ინდივიდუალური

ასოციაციების ჩართულობით და ყურადღებით უნდა იქნეს შემუშავებული, მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილის და სპონსორობის გაზრდა

ბიზნესის კვლევა უჩვენებს, რომ საქართველოში CSR (კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა) - ის მიმართ რეალური ინტერესი კვლავ დაბალია, თუმცა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საქართველოში დაცული ტერიტორიებისა და კონსერვაციის თვალსაზრისით, CSR-ის კონტრიბუციები, როგორც ტენდენცია უჩვენებდა, ძირითადად მიმართული იყო არასამთავრობო ორგანიზაციებზე, როგორცაა, მაგალითად, კავკასიის ბუნების ფონდი, რომელიც დახმარებას უწევდა დაცულ ტერიტორიებს გლობალური მიმართულებების შენარჩუნებაში. იმის გამო, რომ CSR-ის ფონდების და ამ ფონდებში შენატანების მიმართ ინტერესი იზრდება, საჭიროა გაიზარდოს ამ წყაროდან დაცული ტერიტორიების დაფინანსების საშუალებები. სავარაუდოდ, კომპანიების უმრავლესობა, დაცული ტერიტორიებისა და კონსერვაციის მიზნებისთვის განკუთვნილ ფულად სახსრებს კვლავ არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით გამოყოფს. სასურველი მექანიზმი უნდა იყოს იოლი ადმინისტრაციული თვალსაზრისით და მთლიანობაში, ხელსაყრელი დაცული ტერიტორიის მართვის ორგანოებისთვის.

CSR-ის ფონდებისთვის კონკურენცია ხშირად ინტენსიურია და იგი მიზნობრივობას მოითხოვს. მაგალითად, უნდა მოხდეს საწარმოს ან სექტორის შერჩევა, რომლებიც დაცული ტერიტორიებისთვის ყველაზე დამახასიათებელი მოსარგებლები არიან, როგორცაა: ტურიზმი, წყალმომარაგება, ჰიდროენერგეტიკა და სხვა. ეს მათ კონტრიბუციებს მისცემდა ეკოსისტემური სერვისებისთვის ნებაყოფლობითი გადასახადის ფორმას. კავკასიის ბუნების ფონდი გეგმავს ეკოსისტემური სერვისების შეფასებას უახლოეს მომავალში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომპანიებს შორის პოტენციური CSR მონაწილეთა ორიენტირებას, რომლებიც სარგებელს მიიღებენ დაცული ტერიტორიებიდან.

რეკლამის შესაძლებლობათა გაყიდვის შემოღება

ერთ-ერთი შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან მიმართებით განვიხილოთ, არის სარეკლამო სივრცეების ან შესაძლებლობების გაყიდვა სააგენტოს ტერიტორიებზე და მის ობიექტებზე. მაგალითად, სათანადო ზომის და სათანადო ადგილზე განთავსებული სარეკლამო დაფები მთავარი გზების გასწვრივ ან შენობებზე, შეიძლება ერთ-ერთი ვარიანტი იყოს, სადაც რეკლამის გაყიდვა სარეკლამო და მედიის სააგენტოების მეშვეობით მოხდება. სარეკლამო საშუალებათა პირდაპირი გაყიდვისთვის საჭირო იქნება საკითხის შემდგომი კვლევა და დეტალური განხილვა. თავდაპირველად, სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის მკაფიოდ უნდა განისაზღვროს იურიდიული შესაძლებლობა და შეზღუდვები სარეკლამო გაყიდვებთან მიმართებით, მაგალითად, როგორც არის დაცული ტერიტორიების სააგენტო.

გარდა ამისა, სასარგებლო იქნება მკაფიო რეგულაციების ან გაიდლაინების შემუშავება იმის შესახებ, თუ რა არის ნებადართული, არსებობს თუ არა

პრეცედენტი რაიმე ფორმით, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი განხილვა და გადასინჯვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით. ასეთი გაიდლაინები შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ პირდაპირ რეკლამებს, არამედ დონორების ან მხარდამჭერების აღიარების უფრო ფართო პროცესს, მაგალითად, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ან სპონსორობის მეშვეობით.

იურიდიული მხარის მოგვარების და დასაშვები ან ნებადართული საქმიანობის შესახებ ფართო ინფორმაციის მიღების შემდეგ, შეიძლება შესწავლილ იქნეს რეკლამირების ვარიანტები სარეკლამო საქმიანობის, მარკეტინგის, სარეკლამო სივრცეებისა და შესაძლებლობების გაყიდვების სპეციალისტთა დახმარებით. ამ არჩევანს შეიძლება შემოსავლის წყაროს პოტენციური ჰქონდეს, თუმცა იგი შეიძლება წინააღმდეგობრივი აღმოჩნდეს დაცული ტერიტორიის ვიზიტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ადგილობრივი ტურიზმის მოსაკრებლის შემოღება თუშეთის დაცულ ლანდშაფტში

თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ტურისტთა რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ და მასთან დაკავშირებულმა განთავსებამ, საგულისხმო ზეწოლა მოახდინა ისეთ სერვისებზე, როგორცაა: წყლით უზრუნველყოფა, ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელების მოწყობა, რომლის ხარჯებსაც დღეს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია ფარავს. არ შეიძლება ველოდოთ, რომ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია გააგრძელებს ამ ხარჯების დაფარვას, ამიტომაც განიხილება სავალდებულო გადასახადის შემოღების საკითხი. ასეთი გადასახადების შემოღებისთვის საჭირო პროცესი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ყოვლისმომცველი ადგილობრივი ტურიზმის „მოსაკრებლის“ შემოსაღებად, რომელიც მიმართული იქნება თუშეთში ტურიზმის დონის ამაღლების და კონსერვაციის ხელშეწყობი მოქმედებების დაფინანსებაზე.

ასეთი მოსაკრებლის შემოღებისთვის საჭირო დამატებითი შეფასებები და მასთან დაკავშირებული პროცესი შესაძლოა განხორციელდეს ორი საპილოტე ფაზის სახით. პირველ ფაზაში საჭირო იქნება ორიენტირება სამართლებრივი შესაძლებლობის შექმნაზე და ტურიზმის მოსაკრებლის ოპტიმალურ ფორმაზე. მეორე შეიძლება იყოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროცესი, რომელიც მიმართული იქნება მოსაკრებლის საკითხის შეთანხმებასა და მოსაკრებლის შემოღებაზე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ცალკეულ შეფასებებში.

კემპინგის და პიკნიკის ადგილების განვითარებისა და ოპერირების კონცესიები თუშეთის დაცულ ლანდშაფტში

კემპინგის გადასახადი ან კონცესიები საქართველოს დაცული ტერიტორიების შემოსავლების საერთო წყაროს წარმოადგენს. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციამ ეს პოტენციური ნათლად დაინახა ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობის ფონზე და წინასწარი მოკვლევა განახორციელა. იგი მოიცავს შესაფერისი ტერიტორიების შერჩევას, პროექტირებასა და დეტალური არქიტექტურული ნახაზების მომზადებას იმ ადგილებისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება სველი წერტილები, საოჯახო პიკნიკების და ცეცხლის

დასანთები კუთხე. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ასეთი საკემპინგე ტერიტორიები ერთი პაკეტის პრინციპით უნდა მოეწყოს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უფრო შორეული ტერიტორიების განვითარება კერძო სექტორის კონცესიების მეშვეობით, რაც ამ ტერიტორიების განვითარებასა და ოპერირებას განაპირობებს.

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციამ იცის, რომ კონცენსიებთან დაკავშირებით მას ნაკლები გამოცდილება და შესაძლებლობები აქვს. გამომდინარე აქედან და განხორციელების დაჩქარების მიზნით, ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ მისთვის აუცილებელია შესაძლებლობათა გაძლიერება.

ასევე ცნობილია დაცული ტერიტორიების სააგენტოს დახმარების პოტენციური ღირებულების შესახებ, რომელსაც კონცესიების გამოცდილება აქვს. ტრენინგების საჭიროებასთან ერთად, უნდა მოხდეს შემდგომი შეფასება და პილოტირება. იგი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ნაბიჯებსა და ამოცანებს:

1. შეუკვეთეთ კემპინგის საიტების კონცესიის უფრო დეტალური განხორციელებადობის (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების) და სიცოცხლისუნარიანობის კვლევა, რომელიც უნდა ჩაატაროს მსგავსი კვლევების გამოცდილების მქონე კონსულტანტმა, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.
2. განხორციელებადობის კვლევის საფუძველზე შეიმუშავეთ პროცესი ან საგზაო რუკა, რათა განისაზღვროს, თუ რა არის საჭირო იმ მომენტის მისაღწევად, როდესაც მოხდება ხელშეკრულების გაფორმება კონცესიონერთან.
3. შეაგროვეთ წინადადებები დაინტერესებული კონცესიონერებისაგან, რათა ნათელი გახდეს განსახილველ წინადადებათა ხასიათი, და ისიც, თუ როგორ მოხდება მათი განხილვა-შეფასება. წინადადებების მოთხოვნა ფართოდ გაავრცელეთ.
4. მიღებული წინადადებები შეაფასეთ მკაფიო კრიტერიუმების გამოყენებით, მოითხოვეთ დამატებითი ინფორმაცია და მიიღეთ გადაწყვეტილება სასურველი მონაწილეების ჩართულობით.
5. აცნობეთ ამის შესახებ შესაბამის მონაწილეებს და დაიწყეთ მათთან მოლაპარაკებები.
6. მოლაპარაკებების საფუძველზე მოამზადეთ საკონცესიო კონტრაქტი, რომელიც იქნება მაქსიმალურად ნათელი და მოიცავს დავების გადაწყვეტის მექანიზმებს.
7. მართეთ კონცესია საკონცესიო ხელშეკრულების შესაბამისად.

დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება, იდეალურ შემთხვევაში, ცალკე ეტაპზე უნდა მოხდეს, რომელიც აღწერს საჭირო სამუშაოს და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დავალებას. დაცული ტერიტორიების სააგენტოს გამოცდილების გარდა, არსებობს კარგი საერთაშორისო სახელმძღვანელოები ტურიზმის კონცესიების საუკეთესო გამოცდილების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სწავლებისა და პრაქტიკისთვის. ამ მოხსენებაში მოცემული აღწერილობითი სქემები სასარგებლო იქნება პრიორიტეტული ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი პილოტირებისთვის. შესაძლებლობათა საერთო ანალიზი და მასში მოცემული იდეები გამოყენებული უნდა იქნეს და საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი განახლება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში

დაცული ტერიტორიების დაფინანსების მდგრადობის საკითხზე მუდმივი ფიქრის, განვითარებისა და ხელშეწყობის პროცესს.

თვით ეს ანალიზიც, სხვა პროექტებთან ერთად, შესაძლოა გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სხვა ორგანიზაციების მიერ საკუთარი შემოსავლების გენერირების განმტკიცებისთვის გაწეული ძალისხმევის დემონსტრირებისთვის, ტურიზმის შემოსავლების საკითხზე ინდივიდუალურ დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ჩათვლით. მეტი თვითკმარობის მიღწევისკენ მიმართული ასეთი ძალისხმევის ჩვენება, ხშირად ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას მთავრობის მიერ საბიუჯეტო სახსრების გამოყოფისა და საგრანტო დაფინანსების უზრუნველყოფის მიმართ.

შინაარსი

მადლიერების გამოხატვა	II
.....	II
რეზიუმე.....	III
შინაარსი.....	X
აკრონიმები.....	XII
1 შესავალი.....	1
2 მეთოდი	3
3 დაცული ტერიტორიების შემოსავლების კონტექსტი.....	4
3.1 მთლიანი შემოსავალი	4
3.2 საკუთარი შემოსავალი	5
3.2.1 საკუთარი არატურისტული შემოსავალი.....	6
3.2.2 ტურისტული შემოსავლები.....	7
4 პოტენციური ფინანსური ინსტრუმენტების იდენტიფიცირება და შეფასება .12	
4.1 არსებული ფინანსური ინსტრუმენტები	13
4.2 ახალი პოტენციური ფინანსური ინსტრუმენტები.....	14
4.3 სკრინინგი და პრიორიტეტების განსაზღვრა.....	14
4.3.1 მეგობართა ასოციაციების წვლილი	16
4.3.2 კინო- და ფოტოგადაღების გადასახადი.....	18
4.3.3 ტრანსპორტის შესვლის გადასახადი.....	19
4.3.4 კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი და სპონსორობა.....	20
4.3.5 პირდაპირი რეკლამის საშუალებათა გაყიდვა.....	21
4.3.6 კონკურსების ორგანიზება ფონდების მოზიდვის მიზნით.....	22
4.3.7 საძოვრების გადასახადი.....	23
4.3.8 ნიადაგისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის გადასახადი (ტყითსარგებლობის კომპენსაცია).....	23
4.3.9 შეფასება.....	24
4.4 თუშეთის დაცული ლანდშაფტის ფინანსური ინსტრუმენტები	24
4.4.1 ტურიზმის ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღება.....	25
4.4.2 კემპინგის და პიკნიკის ადგილების კონცესია.....	25
4.4.3 კონცესიები ან წალჯომარდობის (რაფტინგის) და კაიაკინგის გადასახადები	26
4.4.4 შეფასება.....	27
5 შემდგომი ნაბიჯები და პილოტირება.....	27
5.1 მეგობართა ასოციაციები	27
5.2 კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და სპონსორობა	28
5.3 რეკლამის საშუალებათა პირდაპირი გაყიდვა.....	29
5.4 ტურიზმის მოსაკრებელი თუშეთში	30
5.5 თუშეთის დაცული ლანდშაფტის კემპინგის უბნების კონცესია.....	32
6 დასკვნები და რეკომენდაციები	33
7 გამოყენებული ლიტერატურა	34
8 დანართები	37

აკრონიმები

<i>აკრონიმები</i>	<i>განმარტება</i>
<i>APA</i>	საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო
<i>BIOFIN</i>	ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ინიციატივა
<i>CBD</i>	კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ
<i>CBO</i>	სათემო ორგანიზაცია
<i>CNF</i>	კავკასიის ბუნების ფონდი
<i>CSR</i>	კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა
<i>FA</i>	მეგობართა ასოციაცია
<i>FNA</i>	ფინანსურ საჭიროებათა შეფასება
<i>FSSC</i>	ფინანსური მდგრადობის შეფასების ბარათი
<i>GEF</i>	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
<i>GiZ</i>	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაცია)
<i>IUCN</i>	ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი
<i>KfW</i>	Kreditanstalt Für Wiederaufbau (გერმანიის განვითარების ბანკი/KfW)
<i>NGO</i>	არასამთავრობო ორგანიზაცია
<i>NPS</i>	ეროვნული პარკების სამსახური (ამერიკის შეერთებული შტატების)
<i>NP</i>	ეროვნული პარკი
<i>PA</i>	დაცული ტერიტორია
<i>PL</i>	დაცული ლანდშაფტი
<i>SANParks</i>	სამხრეთი აფრიკის ეროვნული პარკების სამეთვალყურეო საბჭო
<i>TPL</i>	თუშეთის დაცული ლანდშაფტი
<i>TPLA</i>	თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია
<i>UNDP</i>	გაეროს განვითარების პროგრამა
<i>WWF</i>	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

1 შესავალი

ფინანსური მდგრადობა არის კონკრეტული დაცული ტერიტორიის და მთლიანად დაცული ტერიტორიების სისტემის უნარი - დააკმაყოფილოს მისი ფინანსური საჭიროებები აწმყოში და მომავალში, დაცული ტერიტორიის მართვის დადგენილი მიზნებისთვის ზიანის მიყენების გარეშე. დაფინანსება დაცული ტერიტორიების ფუნქციური სისტემის შექმნისთვის საჭირო მრავალ კომპონენტთა შორის მხოლოდ ერთ-ერთია, მაგრამ არასათანადო ფინანსური დახმარება ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების კარგვასა და დეგრადაციაში, რადგან იგი ზღუდავს დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობას. არასაკმარისი დაფინანსება ხშირად ნიშნავს, რომ დაცული ტერიტორიების სისტემაში არ არის სათანადო რაოდენობის თანამშრომელი, აღჭურვილობა და/ან მართვისთვის საჭირო სხვა ატრიბუტები, რის შედეგადაც დაცული ტერიტორიები ვერ ახერხებს დასახული მიზნების მიღწევას და მათი მანდატის განხორციელებას.

საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის მართვისთვის საჭირო ფინანსური რესურსები კვლავ მცირეა, ხოლო საჭიროებები - იზრდება. ამ კონტექსტში მითითება უნდა გაკეთდეს გაეროს განვითარების პროგრამის/გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (UNDP/GEF) პროექტზე „საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის გაძლიერება“, რომელიც „ტექნიკური დახმარების“ ხუთწლიანი პროექტია. მას აფინანსებს გაეროს ეკოლოგიური ფონდი საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობის მეშვეობით, გლობალური ეკოლოგიური ფონდის ბიომრავალფეროვნების ოპერატიული პროგრამის რესურსებიდან. ამ პროექტის მიზანი არის „გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობისა და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა გლობალური მნიშვნელობის მქონე ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის, საქართველოს სამიზნე დაცულ ტერიტორიებზე“. ამ მიზნის მისაღწევად, პროექტი დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას აქტივობათა განხორციელებაში სამი კომპონენტის ფარგლებში: (i) დაცული ტერიტორიების ქვესისტემის ფინანსური მდგრადობა, რომელიც ძირითად ბიომრავალფეროვნების ტერიტორიას წარმოადგენს (KBAs); (ii) მსხვილი სამიზნე დაცული ტერიტორიების მართვისა და ფინანსური ეფექტიანობის გაუმჯობესების დემონსტრირება; და (iii) ცოდნის მართვა, მონიტორინგი და შეფასება.

გაეროს განვითარების პროგრამის/გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (UNDP/GEF) პროექტის ფარგლებში, 2020 წელს დასრულდა დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსურ საჭიროებათა შეფასება. მასში შეფასებულია მიმდინარე დაფინანსება ან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრები, ფინანსური საჭიროებები და საბაზისო და ოპტიმალური მართვის სცენარებისთვის საჭირო ფინანსურ სახსრებსა და არსებულ ფინანსურ სახსრებს შორის სხვაობა/დეფიციტი.² შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ინდივიდუალურ დაცულ ტერიტორიებზე ფინანსური დეფიციტი ერთმანეთისაგან განსხვავდება. საბაზისო მართვის სცენარისთვის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს

² ტერმინები 'საბაზისო მართვა' და 'ოპტიმალური მართვა' მიუთითებს დაცული ტერიტორიის მართვის სცენარებზე, რომლებშიც ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მართვის პროგრამებისთვის საჭირო დაფინანსება საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოს საბაზისო ეკოსისტემის ფუნქციონირების დაცვა და ოპტიმალური ეკოსისტემის ფუნქციები, შესაბამისად (after Flores M., G. Rivero, F. León, G. Chan, et al. (2008). დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემების ფინანსური დაგეგმვა: გაიდლაინები და წარსულის გაკვეთილები. The Nature Conservancy, Arlington, Virginia, US)

მიერ მართულ დაცულ ტერიტორიებს, დამატებით ესაჭიროება არსებული ფინანსების 27%-დან (ვაშლოვანის დაცული ტერიტორიისთვის) - 111%-მდე (ჯავახეთის დაცული ტერიტორიისთვის) გაზრდა. თუშეთის დაცულ ლანდშაფტში, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო არ მართავს, ფინანსური დეფიციტი საგრძნობლად მაღალია - 442%, რაც გადაუდებელ საჭიროებაზე მიუთითებს. მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მამრთველობაში მყოფი დაცული ტერიტორიების კუმულატიური ფინანსური დეფიციტი, საბაზისო მართვის სცენარისთვის 95,17 მილიონი ლარის ოდენობით შეფასდა (ხელმისაწვდომ ფონდებთან შედარებით 122%-ით მეტი), ხოლო ოპტიმალური მართვის სცენარისთვის - 139,12 მილიონი ლარის ოდენობით (ხელმისაწვდომ ფონდებთან შედარებით 178%-ით მეტი).

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაფინანსების დიდი დეფიციტის შემცირების მიზნით, GEF/UNDP - ის პროექტი გეგმავს პრიორიტეტული ფინანსური ინსტრუმენტების პილოტირებასა და დანერგვას, რომლებიც დამატებითი შემოსავლების გენერირებას მოახდენს. ამ მიზნით, კავკასიის ბუნების ფონდმა მოითხოვა ფინანსურ შესაძლებლობათა გაანალიზება, რომელიც უფრო მეტად ფოკუსირებული იქნებოდა ადგილობრივ არატურისტულ ინსტრუმენტებზე ან შემოსავლის წყაროებზე. მისი ამოცანა იყო იმ პრაქტიკის დონის განმტკიცების და/ან ამაღლების შესაძლებლობის განხილვა, რომელმაც უკვე გამოავლინა დაცულ ტერიტორიებზე ფინანსური შემოსავლების გენერირების უნარი. გარდა ამისა, გლობალურ საუკეთესო გამოცდილებასა და მიღებულ გაკვეთილებზე დაყრდნობით, იგი სწავლობს შესაბამის ინოვაციურ და ალტერნატიულ მექანიზმებს ახალი შემოსავლების გენერირებისთვის, საქართველოს კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური სიტუაციის გათვალისწინებით. მისი ძირითადი შედეგები მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების გრძელ ჩამონათვალს, რომლებიც ფართოდ არის მიჩნეული, როგორც გამოსადეგი - საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემაში შემოსავლების გაძლიერებისთვის, ასევე, დეტალურად არის აღწერილი რამდენიმე პრიორიტეტული შესაძლებლობა. ეს ინფორმაცია საფუძველს ჩაუყრის GEF/UNDP - ის პროექტის შემდგომ ინვესტიციას პრიორიტეტული ფინანსური ინსტრუმენტების პილოტირებისთვის, რომელმაც უნდა აამაღლოს დაცული ტერიტორიების შემოსავლების შიდა ნაკადები. გარდა ამისა, სამუშაოს ცალკე მიმართულება ფოკუსირებულია შემოსავლების გენერირების აქტივობათა განხორციელებადობის (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების) კვლევებზე, განსაკუთრებული აქცენტით - ტურიზმზე. ასეთი კვლევები უკვე ჩატარდა შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე, კერძოდ, მტირალასა და მაჭახელას ეროვნულ პარკებში, ხოლო ასეთივე კვლევები უკვე მიმდინარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე.

მოცემული შეფასება მხოლოდ ფინანსურ საჭიროებებზე არის ფოკუსირებული, თუმცა, ცხადია, რომ დამატებითი ფონდები უცილობლად ვერ იქნება საკმარისი დაცული ტერიტორიების სისტემის გაუმჯობესებული მართვის მისაღწევად. ფინანსების ხელმისაწვდომობასთან ერთად მრავალი სხვა ფაქტორია გასათვალისწინებელი, მაღალი დონის პოლიტიკური ნების, მხარდამჭერი პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების წინაშე მდგარი საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლას და რომელიც ოპტიმალურად ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შესაძლებლობები და მოტივაცია, კარგი ურთიერთობები მეზობელ თემებთან - რომლებიც ზოგადად მზად არიან თანამშრომლობისთვის, და სხვა ფაქტორები.

2 მეთოდი

პროექტის დაწყების შემდეგ, იგი დაიყო სკოპინგის, სკრინინგის და დეტალური შეფასების ფაზებად. სკოპინგის და სკრინინგის ფაზა შემდეგ ნაბიჯებსა და ამოცანებს მოიცავდა:

1. დადასტურება იმისა, რომ შეფასების შესაბამისი სფერო ძირითადად დაკავშირებული იქნება არატურისტულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რათა შეავსოს ტურიზმის განხორციელებადობის კვლევები, რომლებიც უკვე ჩატარდა დაცულ ტერიტორიებზე, და სხვა ნაშრომები, რომლებიც ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე იყო ფოკუსირებული.
2. საბაზისო მონაცემების შეგროვება და საქართველოში არსებული და უკვე პილოტირებული შემოსავლების გენერირების ინსტრუმენტების მიმოხილვა. დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეაგროვა და გააანალიზა არსებულ შემოსავლებზე ფოკუსირებული სიტუაციური საბაზისო მონაცემები, რომლებიც შემოსავლების საერთო კონტექსტის გააზრებას უზრუნველყოფს, საკუთარი შემოსავლების კონკრეტული წყაროების ჩათვლით.
3. შემოსავლების შიდა გენერირების საუკეთესო ინსტრუმენტების შესახებ საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა, რომელიც პოტენციურად შესაფერისია საქართველოს დაცული ტერიტორიებისთვის. განხილულ იქნა მსოფლიოში დაცული ტერიტორიების მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც შემოსავალი მოაქვთ, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმ ვარიანტებს, რომლებიც პოტენციურად შეიძლება შეესაბამებოდეს საქართველოს კულტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ-მარეგულირებელ ჩარჩოს.
4. ადგილობრივი შემოსავლების გენერირების პოტენციური ფინანსური ინსტრუმენტების 'გრძელი ნუსხის' შედგენა. მან მოიცვა მდგრადი ფინანსური ინსტრუმენტების ფართო სპექტრი, რომლებსაც დამატებითი შემოსავლების მოტანის გარკვეული პოტენციალი აქვს და, ამიტომ, მათი განხილვა მიზანშეწონილია.
5. გრძელი ნუსხის პუნქტების შეფასება და სკრინინგი, რათა შემუშავებულიყო პოტენციური პრიორიტეტული ინსტრუმენტების მოკლე ნუსხა შემდგომი დეტალური შეფასებისთვის. მასში გათვალისწინებული იყო ინსტრუმენტების შემოსავლების პოტენციალის და მათი მიზნობრიობის, ძლიერი მხარეების, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განხილვა.
6. პოტენციური პრიორიტეტული ინსტრუმენტების საბოლოო შეფასება, რათა მომხდარიყო დაცული ტერიტორიების მართვის ორგანოებისთვის ყველაზე მაღალი პოტენციალისა და ინტერესის მქონე ინსტრუმენტების განსაზღვრა პრიორიტეტულ ინსტრუმენტებად.

პრიორიტეტული ინსტრუმენტების განსაზღვრის შემდეგ, დეტალური შეფასების ფაზაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პრიორიტეტული ინსტრუმენტების განხორციელებადობის შეფასებას და თითოეული მათგანის შემოსავლების გენერირების უნარის აღწერას, შემდგომი ნაბიჯების, საპილოტე ვერსიების შერჩევის და სხვა მოქმედებათა ჩათვლით, რომლებიც რეკომენდებულია განხორციელების პროგრესისთვის.

მოხსენების დანარჩენი ნაწილი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- განყოფილება 3 - დაცული ტერიტორიების დაფინანსების ზოგადი კონტექსტი, შემოსავლებზე ორიენტირებით.
- განყოფილება 4 - პოტენციური ინსტრუმენტების გრძელი ნუსხის განსაზღვრა და შეფასება, პრიორიტეტული ინსტრუმენტების იდენტიფიცირების მიზნით.
- განყოფილება 5 - აქცენტები თითოეული პრიორიტეტული ინსტრუმენტის დეტალურ შეფასებაზე.
- განყოფილება 6 - დასკვნითი ნაწილი.

3 დაცული ტერიტორიების შემოსავლების კონტექსტი

მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებლობათა ანალიზი დაიწყო დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკუთარი შემოსავლების საბაზისო მაჩვენებლების დადგენით. აქედან გამომდინარე, საბაზისო მაჩვენებლების განყოფილებაში აღწერილია შემოსავლების ძირითადი წყაროები (აქცენტი კეთდება საკუთარ შემოსავალზე და განსხვავებაზე ტურიზმის შემოსავალსა და საკუთარ შემოსავალს შორის), გადასახდელების რაოდენობა და მთლიანი შემოსავალი. შემოსავლების რაოდენობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასევე მოცემულია საქართველოში და თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე შესული ტურისტების რაოდენობა.


3.1 მთლიანი შემოსავალი

დღეისათვის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემოსავლების ფორმირება, შემდეგი წყაროებიდან ხდება:

- საკუთარი შემოსავლები;
- სახელმწიფო ბიუჯეტი;
- გრანტები, მათ შორის ისეთი დონორებისაგან, როგორცაა: კავკასიის ბუნების ფონდი; გერმანიის განვითარების ბანკი/KfW; გაეროს განვითარების პროგრამა; და აშშ - ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID);
- მიზნობრივი გრანტები.

სურათი #3-1 უჩვენებს შემოსავლების ოდენობას ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. 2014 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში: საკუთარი შემოსავლები საგულისხმოდ გაიზარდა 1,32 მილიონი ლარიდან 11,22 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 50%); სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები ასევე გაიზარდა, მაგრამ მცირედი ნაწილით - 5,56 მილიონი ლარიდან 6,48 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 29%); გრანტები შემცირებულ იქნა 4,97 მილიონი ლარიდან 4,21 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 19%); მიზნობრივი გრანტები, რომლებსაც უმცირესი წილი უკავიათ შემოსავლებში - გაიზარდა 0,07 მილიონი ლარიდან 0,34 მილიონ ლარამდე (მთლიანი რაოდენობის 2%).

სურ. 3-1: დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემოსავლები წყაროების მიხედვით, '000 ლ




3.2 საკუთარი შემოსავალი

დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები მრავალფეროვანია და ისინი შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

- ტურისტული სერვისები, როგორცაა - შესვლის, საცხოვრებელი ფართის ქირაობის (განთავსების) და სხვადასხვა სახის ტურების საფასურები;
- ხე-ტყის დამზადების ბილეთი;
- მიწის დროებით სარგებლობაში (იჯარა, აღნაგობა) გადაცემა. მაგალითად: სამოვრების გამოყენება;
- ქონების (გარდა მიწისა) დროებით სარგებლობაში გადაცემა. მაგალითად: კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო ნაგებობის განთავსება;
- ტყითსარგებლობის კომპენსაცია;
- ბანკის პროცენტი;
- ჯარიმები;
- სხვა შემოსავლები.

საკუთარ შემოსავლებს შორის დომინირებს ტურიზმი, რომელმაც 2019 წელს 9,18 მილიონი ლარი შეადგინა. მომდევნო ადგილი უკავია ტყითსარგებლობის კომპენსაციებს (1,19 მილიონი ლარი), მიწის დროებით სარგებლობაში (იჯარა, აღნაგობა) გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებს (0,50 მილიონი ლარი), ქონების (გარდა მიწისა) დროებით სარგებლობაში გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებს, ხე-ტყის დამზადების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებს, ბანკის პროცენტს, ჯარიმებს და სხვა შემოსავლებს (იხ. სურ. 3-2).

სურ. 3-2: დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები თითოეული კატეგორიის მიხედვით, '000 ლ



3.2.1 საკუთარი არატურისტული შემოსავალი

არატურისტული შემოსავლის წყაროების შესახებ დეტალური ინფორმაცია შედარებით ნაკლებია თითოეული დაცული ტერიტორიისთვის. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს მიწის დროებით სარგებლობაში - სამოვრებისათვის გადაცემის საფასური, რომელიც დგინდება დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნის საფუძველზე. თუმცა, შესაძლებელია უფრო დაბალი საფასურის დაწესება სამოვრების მართვის უფრო მკაცრი პირობების უზრუნველსაყოფად, სამოვრების მართვის შეფასებისა და გეგმების გათვალისწინებით. 2019 წელს, სამოვრებთან დაკავშირებით, 65 ინდივიდუალური საიჯარო ხელშეკრულება მოქმედებდა, რომლებიც სამი დაცული ტერიტორიის 19,912 ჰა ფართობს მოიცავდა. ამ საიჯარო გადასახადებმა სულ 0.33 მილიონი ლარი შეადგინა, საიდანაც 72% ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკზე მოდის (იხ. ცხრილი 3-1). ამ მონაცემების მიხედვით, სამოვრების საშუალო წლიური გადასახადი ერთ ჰექტარზე - 16 ლარს შეადგენდა.

ცხრილი 3-1“ შემოსავალი სამოვრების იჯარიდან, ფართობი და რაოდენობა თითოეული დაცული ტერიტორიისთვის 2019 წელს

დაცული ტერიტორიის დასახელება	საიჯარო ხელშეკრულებათა რაოდენობა	იჯარით გაცემული ფართობის რაოდენობა (ჰა)	მთლიანი წლიური შემოსავალი (ლარი)
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	40	14,935	233,421
ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	10	3,822	72,671
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	15	1,156	19,492
ჯამი	65	19,913	325,584


3.2.2 ტურისტული შემოსავლები

ტურიზმიდან შემოსული მთლიანი საკუთარი შემოსავალი შეიძლება უკეთ გავიაზროთ ვიზიტორთა რაოდენობასთან, შემოსავლების ინდივიდუალურ წყაროებთან და რაოდენობებთან კავშირში, რაც ქვემოთ, მომდევნო თავებში არის აღწერილი.

3.2.2.1 ვიზიტორთა რაოდენობა


ვიზიტორთა რაოდენობა დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმისაგან მიღებული შემოსავლების მამოძრავებელია. საქართველოში შემოსული უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა ეროვნულ დონეზე, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე #3-3. მათმა რაოდენობამ 2019 წელს, 9,36 მილიონს მიაღწია, რაც 60%-ით აღემატება ექვსი წლის წინანდელ მაჩვენებელს, როდესაც მათი რაოდენობა 5,89 მილიონი იყო (იგი მოიცავს იმ ტურისტებსაც, რომლებიც დასასვენებლად არ არიან ჩამოსული). თუმცა, გლობალური კორონავირუსის პანდემიის და მასთან დაკავშირებული რეცესიის გამო, მოსალოდნელია, რომ 2020 წელს, საქართველოში და მთელ მსოფლიოში, ტურისტთა რაოდენობა საგულისხმოდ მცირე იქნება, მაგრამ იმედია, რომ შემდეგ იგი სწრაფად მოიმატებს.

სურ. #3-3: საერთაშორისო მოგზაურობა ქვეყნის მასშტაბით (2014-2019 წლები)



დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ შეგროვებული მონაცემების მიხედვით, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. 2019 წელს, დაცული ტერიტორიების სისტემაში საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ 612,000-ს მიაღწია, რაც 315%-იანი ზრდა არის ექვსი წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, როდესაც ეს მაჩვენებელი იყო 147,650 (იხ. სურ. #3-4). დაცულ ტერიტორიებზე საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა ექვსჯერ აღემატება მთლიან ეროვნულ ზრდას. გარდა ამისა, მკვეთრად იზრდება ადგილობრივ ვიზიტორთა რაოდენობაც: თუ 2014 წელს ეს მაჩვენებელი 272,500 იყო, 2019 წელს იგი 587,000-მდე გაიზარდა, ანუ, 115%-ით მოიმატა.

სურ. 3-4: დაცულ ტერიტორიებში არსებული ვიზიტორთა რაოდენობა (2014 - 2019)



დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტუმრობა სეზონურ ხასიათს ატარებს და ძირითადად ექვსი თვის განმავლობაში არის კონცენტრირებული - მაისიდან ოქტომბრამდე. მაგალითად, 2019 წელს, ამ პერიოდში, დაცული ტერიტორიების სააგენტომ, წლიური რაოდენობის ვიზიტორთა 85% მიიღო. რაც შეეხება ვიზიტორთა განაწილებას თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე, ცხრილი #3-2 უჩვენებს, რომ 2019 წელს, ოთხმა დაცულმა ტერიტორიამ (ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და თბილისის ეროვნული პარკი) 100,000-ზე მეტი ვიზიტორი მიიღო, ხოლო დანარჩენმა ხუთმა დაცულმა ტერიტორიამ 50,000-დან 100,000-მდე. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, ვიზიტორთა რაოდენობის შედარებით დიდი ზრდა დაფიქსირდა მაჭახელას ეროვნულ პარკში, თბილისის ეროვნულ პარკში, ალგეთის ეროვნულ პარკში, მტირალას ეროვნულ პარკში, ყაზბეგის ეროვნულ პარკში და მარტვილის კანიონში (საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა იხ. დანართი 1).

ცხრილი #3-1: ვიზიტორთა რაოდენობა თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე (2014 to 2019)

ადმინისტრაციის დასახელება	2014	2015	2016	2017	2018	2019
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	49,549	51,573	55,818	59,458	61,952	64,357
ვაშლივანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	8,711	10,976	11,806	12,250	12,404	10,511
თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	9,786	9,676	13,793	14,306	14,867	16,427
კონტრისის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	3,696	3,758	5,138	5,384	6,554	7,005
კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	17,699	13,747	26,816	29,523	34,000	27,300
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	39,417	44,065	49,590	55,519	57,472	59,761
მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	22,968	21,981	33,774	47,460	57,770	77,264
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - პრომეთეს მღვიმე	91,711	106,959	138,227	163,923	185,516	184,264
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - სათაფლიის ალკვეთილი	67,287	73,601	78,323	85,507	81,556	74,198
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი	0	0	0	0	543	2,943
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი	0	0	62,434	147,644	174,143	189,894
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი	3,165	44,527	52,197	73,113	84,189	92,872
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	0	0	0	0	0	22,130
ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	8,426	8,737	9,175	11,286	14,325	14,185
ჭაჭუნას ალკვეთილის ადმინისტრაცია	1,036	2,390	3,292	3,235	3,262	3,060
ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	2,305	4,190	6,803	6,872	4,616	6,425
მაჭახელას ეროვნული პარკი	0	0	2,062	5,092	10,086	11,303
ალუეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	8,828	8,030	16,076	28,020	33,248	37,758
თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	20,960	15,220	35,439	52,015	97,480	102,104
მარიაჯუგურის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია	0	0	0	0	0	22
ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	64,622	98,788	134,111	154,085	174,520	195,228
ჯამი	420,166	518,218	734,874	954,692	1,108,503	1,199,011

3.2.2.2 შემოსავლის წყაროები

ტურისტული მიმართულებიდან დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემოსავლები, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ წყაროთა კლასიფიცირება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

- შესვლის საფასური;
- ტურები (მაგ., ნავი, ბაიდარი/კაიაკი და საფარი);
- განთავსების/დაბინავების გადასახადი (თავშესაფარი, სასტუმრო, ბუნგალო);
- საკემპინგე ტერიტორიის გადასახადი;
- საპიკნიკე ტერიტორიის გადასახადი;
- სპორტული თევზჭერის გადასახადი;
- საცხენოსნო სერვისი;
- „ზიპლაინი“;
- სათავგადასავლო პარკი;
- VIP მომსახურება;
- აღჭურვილობების/მოწყობილობების გაქირავება (მაგ., კემპინგისთვის, აქტივობებისთვის);
- სუვენირების გაყიდვა (მაგ., ბროშურების, რუკების);
- საკონფერენციო დარბაზის გაქირავება;

- სამოქალაქო ქორწინების ხელმოწერის ცერემონიები;
- არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

ცხრილი #3-2, ნაჩვენებია შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე შესვლის, საკონფერენციო დარბაზის, სამოქალაქო ქორწინების ხელმოწერის ცერემონიის და კემპინგის ტერიტორიის გადასახადები ერთი ერთეულისთვის (ეს არის გადასახადის მაგალითები და არ მოიცავს ყველა გადასახადს თითოეული დაცული ტერიტორიისთვის). მაგალითად, შესვლის საფასური გამოიყენება ხუთ დაცულ ტერიტორიაზე. მისი რაოდენობა საქართველოს მოქალაქისთვის, 5-დან 10 ლარამდე მერყეობს და უცხოელებისთვის დაწესებულ ფასთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მეტია. კემპინგის ტერიტორიის (ერთი საიტის) გადასახადი 5 ლარია, საკონფერენციო დარბაზის გადასახადი მის ზომაზე არის დამოკიდებული, ხოლო სამოქალაქო ქორწინების ცერემონიის ფასი 100 ლარს შეადგენს.

ცხრილი #3-2: შერჩეული გადასახადები, მათ შორის, შესვლის, კემპინგის ადგილის, საკონფერენციო დარბაზის და სამოქალაქო ქორწინების ხელმოწერის ცერემონიის (ლარი)

ადმინისტრაცია	დაწესებული საფასურ(ები) (ლარი)					
	შესვლის საფასური			საკარვე ადგილის ქირაობა	საკონფერენციო დარბაზის ქირაობა	სამოქალაქო ქორწინების გაფორმების ცერემონია
	ბავშვები (6 - 18 წლამდე)	ადგილობრივი ვიზიტორი	უცხოელი ვიზიტორი			
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - პროტექს მღვიმე	5	10	20	-	100	100
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი	5	9	15	-	-	100
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი	5	8	15	-	-	100
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - სათაფლის ალკეთილი	5	7	15	-	-	100
ადმინისტრაცია	2	5	5	5	130 (35 ვიზიტორი)	-
ბორჯომ-ნარაგალის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	-	-	-	5	122 (50 ვიზიტორი), 65 (25 ვიზიტორი)	-
ადმინისტრაცია	-	-	-	5	150 (50 ვიზიტორი)	-
მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	-	-	-	5	100 (50 ვიზიტორი)	-
კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	-	-	-	5	-	-
ადმინისტრაცია	-	-	-	-	35 (15 ვიზიტორი)	-
ადმინისტრაცია	-	-	-	5	100	-
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი	5	7	10	-	-	-
ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	-	-	-	-	-	-
ადმინისტრაცია	-	-	-	5	120	-
ადმინისტრაცია	-	-	-	5	-	-
ალეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	-	-	-	-	-	-
ჭაჭუნას ალკეთილის ადმინისტრაცია	-	-	-	5	-	-
და სხვა						

3.2.2.3 შემოსავლების ოდენობა

ტურისტულ შემოსავლებში დომინირებს შესვლის საფასური, რომელმაც მთლიანი შემოსავლის (25,63 მილიონი ლარი) თითქმის 80% შეადგინა 2015-2019 წლებში (ცხრილი #3-4). სხვა ძირითად წყაროებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის ტურის საფასურები, რომელიც შემოსავლის 13%-ს შეადგენს და შემოსავლები საცხოვრებელი ფართის ქირაობიდან (განთავსებიდან) - 2%. დანართი #2 უფრო დეტალურ სურათს იძლევა თითოეული კატეგორიის თითოეული პუნქტიდან მიღებული შემოსავლების შესახებ, მაგალითად, კონკრეტული ინვენტარის გაქირავებით ან სუვენირის გაყიდვით მიღებული შემოსავალი.

Formatted
Deleted:
Formatted
Formatted
Formatted

ცხრილი #3-3: დაცული ტერიტორიების სააგენტოს შემოსავალი ტურიზმიდან თითოეული კატეგორიისთვის

შემოსავლის კატეგორიები	2015	2016	2017	2018	2019	ჯამი
შესვლის საფასური	1,086,150	1,861,769	3,124,761	6,034,773	8,117,732	20,225,1
ტურები (მ.შ. ნავით, კაიაკით და საფარი)	211,548	90,365	869,270	1,418,848	748,187	3,338,2
საცხოვრებელი ფართის ქირაობა (ტურისტული თავშესაფარი, სასტუმრო, ბუნგალო)	49,716	89,626	82,990	103,252	132,485	458,0
საკარვე ადგილის ქირაობა	27,363	34,661	44,615	48,430	54,000	209,0
საპიკნიკე ადგილის ქირაობა	2,115	3,910	3,915	5,098	6,637	21,6
სპორტულ-სამოყვარულო თევზაობა	12,685	10,041	12,261	10,850	10,530	56,3
ცხენით სარგებლობა	10,785	11,855	7,150	10,930	14,850	55,5
ზიპ-ლაინით მომსახურება	4,290	7,200	10,350	15,179	10,045	47,0
სათავადასავლო პარკით მომსახურება	-	-	-	-	20,930	20,9
VIP მომსახურება	3,100	3,200	4,600	6,300	2,100	19,3
საპიკნიკე)	7,674	10,104	14,085	18,730	17,953	68,5
სუვენირების რეალიზაცია	8,783	13,252	17,446	19,562	16,357	75,4
საკომფერტული დარბაზის ქირაობა	1,032	7,228	10,111	10,467	4,725	33,5
სამოქალაქო კორწინების გაფორმების ცერემონიალი	100	600	600	900	500	2,7
სხვა დანარჩენი შემოსავლები	134,903	143,039	173,564	518,242	24,469	994,2
ჯამი	1,560,243	2,286,849	4,375,717	8,221,562	9,181,500	25,625,8

ტურისტული შემოსავლები დაცულ ტერიტორიებს შორის არათანაბრად არის განაწილებული, როგორც ეს უმეტეს ქვეყნებში ხდება. იგი ყველაზე მაღალი იყო პრომეთეს მღვიმიდან, მარტვილის კანიონიდან, ოკაცეს ჩანჩქერიდან და სათაფლიის მღვიმიდან, რომელთა ჯამურმა რაოდენობამ, 2015-2019 წლებში, ტურიზმით გენერირებული მთელი შემოსავლის 94% შეადგინა (ცხრილი #3-5). ეს ძირითადად არის შედეგი ვიზიტორთა შედარებით დიდი რაოდენობისა, რომლებიც ამ დაცულ ტერიტორიებზე შესვლის საფასურს იხდიან.

ცხრილი #3-4: ტურიზმის შემოსავალი თითოეულ დაცულ ტერიტორიაზე 2019 წელს

ადმინისტრაციის დასახელება	2015	2016	2017	2018	2019	ჯამი	%
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - პრომეთეს მღვიმე	866,831	1,000,703	1,855,431	3,667,698	3,689,518	11,080,181	43.24%
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი		311,118	1,253,099	2,511,108	2,883,390	6,958,716	27.16%
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - სათაფლის აღკვეთილი	363,421	416,827	490,654	798,105	781,752	2,850,759	11.12%
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი	189,165	343,494	529,479	933,319	1,137,555	3,133,012	12.23%
ბორჯომ-სარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	35,855	47,492	53,403	76,598	85,062	298,410	1.16%
ვამლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	32,157	50,041	59,502	66,189	94,242	302,131	1.18%
კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	24,706	43,826	52,972	71,975	112,028	305,506	1.19%
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია - ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი					260,918	260,918	1.02%
ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	22,193	34,972	37,994	54,253	54,903	204,315	0.80%
მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია	7,977	19,414	26,640	24,825	35,336	114,192	0.45%
ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	12,800	8,222	10,240	8,934	6,899	47,095	0.18%
იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია - ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი				670	20,231	20,901	0.08%
ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაცია	285	5,459	2,700	3,785	4,810	17,039	0.07%
თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	1,576	2,013	2,567	2,302	1,107	9,565	0.04%
ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია					11,945	11,945	0.05%
ჭოხლეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	2,399	1,705	215	87	170	4,576	0.02%
კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია	878	1,563	821	1,715	1,205	6,182	0.02%
მაჭახელას ეროვნული პარკი					320	320	0.00%
მარამბეჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია					110	110	0.00%
ჯამი	1,560,243	2,286,849	4,375,717	8,221,562	9,181,500	25,625,871	100.00%

4 პოტენციური ფინანსური ინსტრუმენტების იდენტიფიცირება და შეფასება

შემოსავლის გენერირების უნარის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების ვარიანტები, განსაკუთრებით კი არატურისტული შემოსავლების კონტექსტში, მოიცავს როგორც უკვე არსებული ინსტრუმენტების გაძლიერებას ან/და გავრცობას, ისე ახალი ინსტრუმენტების შემუშავებას. პოტენციური ინსტრუმენტების გრძელი ნუსხის შემუშავების მიზნით, თავდაპირველად განხილულ იქნა და შეფასდა შემოსავლების მომტანი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც გამოცდილი იყო და უკვე გამოიყენებოდა საქართველოში, კერძოდ, შეფასდა მათი გაძლიერებისა და გაფართოების პოტენციური დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის უფრო მეტი შემოსავლების უზრუნველყოფის მიზნით. ამ განხილვისას ძირითადად გამოიყენებულ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდის მოხსენებები და მონაცემები, ჩატარდა კონსულტაციები დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, მათ შორის, ინდივიდუალური დაცული ტერიტორიის მმართველებთან და სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც აღიარებდნენ გენდერული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის საჭიროებას შესაძლებლობის ფარგლებში. ქვემოთ ჩამოთვლილია ძირითადი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც გამოიყენებულ იქნა არსებული ადგილობრივი ინსტრუმენტებისა და გლობალური საუკეთესო პრაქტიკის შეფასებისთვის:

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ჩატარებული განხორციელებადობის კვლევა (ტექნიკური დასაბუთება) შემოსავლების გენერირების პროექტისთვის, მაგ: PMO ბიზნეს-კონსალტინგი (PMO), 2018. მაჭახელასა და მტირალას ეროვნულ პარკებში შემოსავლების გენერირების პროექტების განხორციელებადობის კვლევა. მოხსენება მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, PMO, თბილისი.

- მ. ადეიშვილი, 2016: აჭარის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემის სერვისის ღირებულებისა და შესაძლებლობების შეფასება და მდგრადი შემოსავლების მიღების ალტერნატივები მიზნობრივი დაცული ტერიტორიებისა და ადგილობრივი თემებისთვის. მოხსენება მომზადებულია GEF-სა და UNDP-სთვის, საქართველო.

- ბიომრავალფეროვნების ფინანსური გეგმა, რომელიც 2018 წელს გამოქვეყნდა, როგორც საქართველოს ბიომრავალფეროვნების ფინანსური ინიციატივის (BIOFIN) პროექტის ნაწილი.

- ფინანსური საკითხების მოგვარების BIOFIN-ის კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.biodiversityfinance.net/finance-solutions> .

- კონსერვაციის ფინანსური ალიანსი (CFA), 2009. კონსერვაციის ფინანსური ალიანსი - ბიზნესის დაგეგმვა დაცული ტერიტორიებისთვის. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.conservationfinancealliance.org/conservation-finance-guide> .

- Ruzzier, M., Žujo, J., Marinšek, M. and Samo Sosič, S. 2010. დაცული ტერიტორიების ბიზნეს-გეგმების მომზადების სახელმძღვანელო. NATREG-ის პროექტის მოხსენება, დაფინანსებული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის პროგრამის მიერ.

- Emerton, L., Bishop, J. & Thomas, L. 2006. დაცული ტერიტორიების მდგრადი დაფინანსება: გამოწვევებისა და შესაძლებლობების გლობალური მიმოხილვა. IUCN, გლანდი, შვეიცარია და კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო.

- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2016. დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემის ბიუჯეტისა და დაფინანსების გაუმჯობესების გზამკვლევი. ჩილეს, გვატემალასა და პერუს მაგალითები, 2012 წლის ივლისი - 2014 წლის აპრილი. ავტორები, მ. ფლორესი და ა. ბოვარნიკი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.latinamerica.undp.org/content/rblac/en/home/library/poverty/guide-to-improving-the-budget-and-funding-of-national-protected-.html>

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებაც დაცული ტერიტორიების სააგენტოს შეუძლია, ასევე, იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქვთ პოტენციალი ერთი კონკრეტული დაცული ტერიტორიისთვის, რომელსაც მნიშვნელოვანი ფინანსური საჭიროებები აქვს და რომელსაც არ მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო, კერძოდ, თუშეთის დაცულ ლანდშაფტს.

4.1 არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

ქვემოთ ჩამოთვლილია არსებული არატურისტული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო ძირითადად იყენებდა:

1. შესვლის საფასური;
2. დონორების დაფინანსება;
3. კომპანიებისა და ინდივიდუალური პირების შემოწირულობები;
4. დაცულ ტერიტორიებზე „შემოწირულობის ყუთებში“ შეგროვებული თანხა;
5. ხე-ტყის დამზადების ბილეთის საფასური;
6. ქონების (გარდა მიწისა) დროებით სარგებლობაში გადაცემა;
7. ტყის სარგებლობის კომპენსაცია (ნიადაგის დაზიანების კომპენსაცია);
8. მიწის დროებით სარგებლობაში (იჯარა, აღნაგობა) გადაცემა;
9. საკონფერენციო დარბაზების გადასახადი;
10. ქორწინების ხელმოწერის ცერემონიის გადასახადი;

11. სანქციები და ჯარიმები.

4.2 ახალი პოტენციური ფინანსური ინსტრუმენტები

არსებული ინსტრუმენტების გაძლიერებასთან და საუკეთესო გლობალური გამოცდილების და მიღებული გაკვეთილების გამოყენებასთან ერთად, განისაზღვრა ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გრძელი ნუსხა, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს შემოსავლების გენერირების პოტენციალი:

1. კინო და ფოტოგადაღების გადასახადი;
2. ტრანსპორტის შესვლის გადასახადი;
3. ღონისძიებების გადასახადი;
4. გაფართოებული რესურსების გამოყენების გადასახადი, რომელშიც ჩართული იქნება ტყის არამერქული პროდუქტები (NTFPs);
5. ეკოსისტემის სერვისების სქემების გადასახადი (PES);
6. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი და სპონსორობა;
7. გაყიდვებისა და რეკლამირების შესაძლებლობები;
8. ონლაინ მიღებული შემოწირულობის შესაძლებლობა;
9. კონკურსები სპონსორების მიერ დაწესებული პრიზების გამოყენებით, ფონდების მოზიდვის მიზნით;
10. ადგილობრივი ეკოტურიზმის მოსაკრებელი;
11. ეროვნული ეკოტურიზმის მოსაკრებელი, საიდანაც გარკვეული ნაწილი დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადაეცემა;
12. დაცული ტერიტორიის ბრენდის გამოყენების გადასახადი ან ნებაყოფლობითი კონტრიბუციები;
13. მხარდაჭერის სერტიფიკატი, რომელსაც დაცული ტერიტორიები 'ყიდიან' ახლომდებარე სასტუმროებზე ან ტურიზმის ორგანიზაციებზე;
14. ბიომრავალფეროვნების კომპენსაცია;
15. კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ფონდები (მაგ., მწვანე კლიმატის ფონდი);
16. ნახშირბადის კომპენსაციის ფონდები;
17. ბიო-დაზვერვის გადასახადები და ჰონორარები;
18. ნადირობის გადასახადი (ცხოველებისბუნებიდან ამოღება / გამოხშირვაპოპულაციის რეგულირების მიზნით);
19. სუვენირების მაღაზია, ვაჭრობა, სერვისები;
20. მწვანე/კონსერვაციის ობლიგაციები;
21. ბიომრავალფეროვნების საწარმოთა ფონდები;
22. სესხის გაუქმება, გარემოსდაცვითი ვალდებულების სანაცვლოდ.

პოტენციური ვარიანტების თავდაპირველი შემუშავების პროცესის ფარგლებში, განსახილველად ასევე შემუშავდა პოტენციურად გამოუყენებელი ტურისტული აქტივობებისა და შემოსავლების წყაროების მოკლე ნუსხა და აღწერილობა.

4.3 სკრინინგი და პრიორიტეტების განსაზღვრა

ვარიანტების/შესაძლებლობების გრძელი ნუსხის შედგენის შემდეგ მოხდა მათი ფართო შეფასება მიზანშეწონილობის თვალსაზრისით - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ჩათვლით. ამ შეფასებაში მონაწილეობდნენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები, ინდივიდუალური დაცული

ტერიტორიების მმართველების ჩათვლით, ასევე, სხვა ექსპერტები, ძირითადი დაინტერესებული მხარეები და წინამდებარე დოკუმენტზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი. ამ შეფასებაზე დაყრდნობით და პრიორიტეტული ინსტრუმენტების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც შემდგომი შეფასების ყურადღების ცენტრში იქნება, ჩატარდა შერჩევითი სკრინინგი, რომლის დროსაც მოხდა გრძელ ნუსხაში შემავალი თითოეული ვარიანტის შეფასება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მონაწილეობით. ამის შედეგად შერჩეულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები (თითოეული კრიტერიუმის ფარდობითი წონის მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა კრიტერიუმი თანაბარი მნიშვნელობის არ იყო):

- პოტენციური ფინანსური სარგებლის მასშტაბი და მდგრადობა (შემდგომში, ასევე, განხორციელების ხარჯების გათვალისწინებით) (წილი 40%)
- განხორციელებადობის/წარმატებული განხორციელების ალბათობა (ტექნიკური, სოციალური მიმდებლობის, სამართლებრივი, პოლიტიკური და სხვა რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით) (წილი 30%)
- ფართო სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის პოტენციალი (მაგ., სამუშაო ადგილობრივი თემისთვის, განსაკუთრებით, ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებისთვის, როგორც არიან ქალები და ახალგაზრდები) (წილი 15%)
- შესაბამისობა დაცული ტერიტორიის გარემოსდაცვით/კონსერვაციულ ამოცანებთან (მაგ., უფრო დაბალი ქულა, თუ არის ბიომრავალფეროვნება, დაბინძურების რისკი, და ა.შ.) (წილი 15%).

თითოეული ფინანსური ინსტრუმენტი შეფასდა და 10 ქულიდან მიიღო გარკვეული შეფასება თითოეული კრიტერიუმისათვის, რომელიც შემდეგ გაერთიანდა ერთიან საშუალო შეწონილ შეფასებად 10 ქულიდან ყველა გაერთიანებული კრიტერიუმისთვის: დანართი 4 მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი გრძელი ნუსხის სრულ შეფასებას, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი მეტი პოტენციის მქონე ინსტრუმენტები, რომლებიც, როგორც მიჩნეულ იქნა, უფრო მეტად იმსახურებს შემდგომ განხილვას:

1. მეგობართა ასოციაციების წვლილი;
2. კინო და ფოტოგადაღების გადასახადი;
3. ტრანსპორტის შესვლის გადასახადი;
4. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი და სპონსორობა;
5. რეკლამის საშუალებათა პირდაპირი გაყიდვა;
6. სპონსორთა მიერ უზრუნველყოფილი პრიზებით კონკურსების (იღბლიანი გათამაშება) ორგანიზება, ფონდების მოზიდვის მიზნით;
7. სამოვრების გადასახადი;
8. ნიადაგისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის გადასახადი (ტყითსარგებლობის კომპენსაცია).

ამ ინსტრუმენტების შეფასებისას განხილული ძირითადი საკითხები ქვემოთ უფრო დეტალურად არის აღწერილი.

4.3.1 მეგობართა ასოციაციების წვლილი

მეგობართა ასოციაციები დაცული ტერიტორიების მხარდამჭერ სხვადასხვა ღონისძიებებში არიან ჩართული და ხშირად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაცული ტერიტორიის მენეჯმენტსა და ახლომდებარე თემებს შორის ურთიერთობის დამყარებაში. მეგობართა ასოციაციები საქართველოში დღესდღეობით ცნობილი ინსტრუმენტია, რომელიც პირველად შეიქმნა 2009 წელს, ვაშლოვანში, ლაგოდეხსა და თუშეთში, IUCN-ის გრანტის დახმარებით. მას შემდეგ კიდევ ექვსი ასოციაცია შეიქმნა (მტირალა/მაჭახელას, კოლხეთის, ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშისა და ფშავ-ხევსურეთის), ძირითადად SPPA პროგრამის დახმარებით, რომელსაც KfW აფინანსებს. გარდა ამისა, 2016 წელს პირველად წარმოიშვა იდეა მეგობართა ასოციაციების ქოლგა ორგანიზაციის შექმნის შესახებ, იმ ფორმით, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო უჭერდა მხარს, ხოლო თვით ორგანიზაცია - დაცული ტერიტორიების მეგობართა ქსელი - 2019 წელს ჩამოყალიბდა. დღეისათვის მას გააჩნია საბჭო და ერთი დირექტორი და ფუნქციონირების საწყის ეტაპზე იმყოფება.

მეგობართა ასოციაციების საქმიანობას და მათ მონაწილეობას - განსაკუთრებით ფინანსური შესაძლებლობების თვალსაზრისით - შეუძლია დახმარება გაუწიოს დაცული ტერიტორიების მმართველებს, თუმცა, ჩვეულებრივ მოითხოვება, რომ მეგობართა ასოციაციებმა თვითონ მოიზიდონ ფინანსები და სხვა სახით მოახდინონ შემოსავლების გენერირება, რომელიც შემდეგ შესაძლოა გამოყენებული იქნეს დაცული ტერიტორიების მხარდასაჭერად მათ მიერ განხორციელებული აქტივობებისთვის. ეს ის სფეროა, სადაც მეგობართა ასოციაციებს შედარებით მოკრძალებული შედეგები აქვთ და ეს სფერო დონორების წუხილის საგანიც არის, რომლებმაც მნიშვნელოვანი რესურსები გაიღეს მეგობართა ასოციაციების შექმნის მხარდასაჭერად და სურთ, რომ მათ მიაღწიონ ფინანსურ მდგრადობას დონორთა დაფინანსების დასრულების შემდეგ.

მეგობართა ასოციაციების (რომლებიც დახმარებას იღებენ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში (SPPA), კერძოდ, ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშისა და ფშავ-ხევსურეთის ასოციაციები) ბოლო მიმოხილვით ნათელი გახდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსური მდგრადობის მიღწევას. აღინიშნა, რომ მეგობართა ასოციაციებმა საგულისხმო ფინანსური დახმარება მიიღეს SPPA-ის მეშვეობით, თუმცა მეგობართა ასოციაციების ძალისხმევა და წარმატება ფონდების მოზიდვაში გამოიხატება, ხოლო შემოსავლების გენერირება, SPPA-ის პროექტის გარდაუვალი დასრულების შემდეგ, საქმიანობის გასაგრძელებლად საკმარისი არ იყო. მოხსენებაში, პოტენციური გამონაკლისის სახით, მითითებული იყო ყაზბეგის მეგობართა ასოციაცია და ნათქვამი იყო, რომ იგი სავარაუდოდ შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას სერვისების შეთავაზების მეშვეობით, რომელიც დაეფუძნება თაფლის წარმოებისაგან და სასტუმრო სახლებისაგან მიღებულ შემოსავლებს. ამ მდგომარეობის შექმნას ხელი შეუწყო მეგობართა ასოციაციის წარმატებამ სხვა დონორებისაგან ფონდების მოზიდვაში, ევროკავშირისა და პოლონეთის საელჩოს ჩათვლით, რაც მათ ობიექტების მშენებლობისთვის გამოიყენეს. მდგომარეობის გაუმჯობესებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დაცული ტერიტორიის დირექტორმა კარგად იცოდა მეფუტკრეობა და შესაბამისი გამოცდილებაც ჰქონდა. არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც დონორები აფინანსებენ ობიექტებს, რომლებსაც შემოსავლების გენერირება შეუძლიათ, მაგალითად - კავკასიის ბუნების ფონდმა ფულადი სახსრები გამოყო ვაშლოვანის მეგობართა ასოციაციისთვის, კერძოდ, მისი სასწავლო ინფრასტრუქტურისთვის, რომელიც ტურებისთვის შეიძლება იქნეს გამოყენებული.

2017 წელს, მეგობართა ასოციაციებისთვის დახმარების გაწევის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამამ მოამზადებინა მტირალასა და მაჭახელას ფინანსური მდგრადობის სტრატეგია. სტრატეგიაში მითითებულია მთელი რიგი პოტენციური შემოსავლის წყაროები, სტუდენტთა ბანაკების, ექსკურსიების, შესვლის გადასახადის, მეგობართა ასოციაციის წევრთა კონტრიბუციებისა და დონორთა დახმარების ჩათვლით (იხ. ცხრილი 4-1).

ცხრილი 4-1: პოტენციური შემოსავლის წყაროები და რაოდენობა მტირალასა და მაჭახელას მეგობართა ასოციაციებისთვის

პუნქტი	გეგმა წლების მიხედვით			სულ	შენიშვნა
	2018	2019	2020		
სტრატეგიული მიმართულება 1: გარემოსდაცვითი განათლება					
1.1 ზაფხულის ბანაკები	44,100	88,200	88,200	220,500	ერთი ბავშვის მიღების საფასური არის მინიმუმ 35 ლარი ყოველდღიურად (თითოეულ ბანაკში 45 პირი). ბანაკის ხანგრძლივობა არის 7 დღე; ბანაკების ორგანიზება შეიძლება 2018 წლის ზაფხულში და 14 ბანაკამდე გაზრდა 2019 და 2020 წლებში. 15 ლარი დაიხარჯება ადგილობრივ დონეზე განთავსებისთვის/დაბინავებისთვის. მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიის მეგობართა ასოციაცია მიიღებს 20 ლარს (35 ლარიდან).
1.2 ექსკურსიები	9,600	9,600	9,600	28,800	1 ჯგუფი დაახლ. 200 ლარი. 24 დღის განმავლობაში იქნება ორი ჯგუფი.
<i>ქვეჯამი</i>	<i>53,700</i>	<i>97,800</i>	<i>97,800</i>	<i>249,300</i>	
სტრატეგიული მიმართულება 2: ეკოტურიზმი					
2.1 სეზონური ექსკურსიები	18,000	18,000	18,000	54,000	სეზონური ექსკურსიის საფასური ერთი ტურისტისთვის 20 ლარი დღეში (თითო ჯგუფში 15 ადამიანი). 60 ჯგუფი ყოველწლიურად.
სტრატეგიული მიმართულება 3: ასოციაციის მხარდამჭერთა ქსელი					
3.1 შესვლის საფასური ტურისტისთვის	200,000	200,000	200,000	600,000	5 ლარი თითოეული ტურისტისთვის. დაახლოებით 40,000 ადამიანი ყოველწლიურად.
3.2 მტირალა-მაჭახელას დაცული ტერიტორიის მეგობართა ასოციაციის მხარდამჭერთა ყოველწლიური გადასახადი	12,500	12,500	12,500	37,500	სასტუმროს გადასახადი: 100 ლარი ყოველწლიური გადასახადი პატარა სასტუმროებისთვის (25 ოთახამდე); 200 ლარი ყოველწლიური გადასახადი საშუალო სასტუმროებისთვის (100 ოთახამდე); 300 ლარი ყოველწლიური გადასახადი დიდი სასტუმროებისთვის (100 ოთახზე მეტი); 20 პატარა, 10 საშუალო და 5 დიდი სასტუმრო ტოველწლიურად. ბიზნესის გადასახადი: 500 ლარი ყოველწლიურად (დაახლოებით 10 ბიზნეს-წელიწადი); სკოლის გადასახადი: 200 ლარი წლიური გადასახადი, დაახლოებით 10 სკოლა ყოველწლიურად.
<i>ქვეჯამი</i>	<i>212,500</i>	<i>212,500</i>	<i>212,500</i>	<i>637,500</i>	
სტრატეგიული მიმართულება 4: ადგილობრივი განვითარების პროექტების განხორციელება					
4.1 UNDP-ის პროექტი (ახალგაზრდა რეინჯერთა პროგრამის მხარდაჭერა)	14,000	-	-	14,000	მიმდინარე 2018 წლის მაისში
4.2 საგანმანათლებლო პროექტი, საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსებული	15,000	15,000		30,000	
4.3 საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული თანამშრომლობის		20,000	40,000	60,000	

პროექტები, სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად					
ქვეჯამი	29,000	35,000-	40,000-	104,000	
სულ	313,200	363,300	368,300	1,044,800	

წყარო: მტირალასა და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის ფინანსური მდგრალობის სტრატეგია 2017

2018 წლის განმავლობაში, UNDP-ის მხარდაჭერით, საზაფხულო ბანაკების იდეამ შედგომი განვითარება ჰპოვა, რაც განაპირობა ბანაკის პროგრამისა და მასალების შემუშვებამ, სკოლების დირექტორების ხელშეწყობამ და მათთან ურთიერთქმედებამ, და სხვ. ამ ძალისხმევითა მიუხედავად, ბანაკებთან მიმართებით არსებობს სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია კომერციული შემოსავლის გენერირების უნარის მქონე საწარმოსთან, რომელიც კონკრეტულად ისეთი ჯგუფებისთვის დაიწყო, როგორცაა მეგობართა ასოციაცია, რომლებიც ძირითადად არ არიან ორიენტირებული კომერციულ საქმიანობაზე ან მათ წევრებს ამ სფეროში მცირე გამოცდილება აქვთ.

4.3.2 კინო და ფოტოგადაღების გადასახადი

ეს გადასახადი შეძლება დაწესდეს კინო და ფოტოგადაღების ჯგუფებისთვის, რომლებსაც გადაღებებისთვის დაცული ტერიტორიის გამოყენება სურთ და იგი შეიძლება შემოსავლის საკმაოდ სერიოზული წყარო გახდეს. ასეთი გადასახადები დაწესებული აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, აფრიკის საფარის ქვეყნებში და სხვაგან. გადასახადის სტრუქტურა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ქვეყნების უმრავლესობას ცალკე გადასახადი აქვს დაწესებული (ზოგ ქვეყანაში იგი ერიცხება კინემატოგრაფიის კომისიას ან მსგავს ორგანიზაციას, ხოლო ზოგან - დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას), ასევე, კინოგადაღების ყოველდღიური გადასახადი, რომელიც დაცული ტერიტორიის მართვის ორგანოს ერიცხება. გადასახადის დაწესება ხდება გადამღები ჯგუფის წევრთა რაოდენობის და კონკრეტული ჯგუფის ზომის მიხედვით. ზოგ ქვეყანაში არის გარკვეული სხვაობა ყველაზე მაღალ გადასახადსა (კომერციული გადაღებისთვის) და ყველაზე დაბალ გადასახადს (არაკომერციული გადაღებისთვის) შორის. ზოგ ქვეყანაში გადასახადის განსხვავებული განაკვეთი არსებობს უცხოელი და ადგილობრივი მომხმარებლისთვის. გადასახადების რაოდენობა ძალიან ცვალებადია, მაგალითად, სამხრეთ აფრიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადგილის გამოყენების გადასახადთან ერთად, დაწესებულია ყოველდღიური გადასახადი კომერციული გადაღებისთვის, რომელიც გადამღები ჯგუფის ზომით განისაზღვრება და მისი ოდენობა შეიძლება იყოს 200-300 აშშ დოლარი 10-20-კაციანი საშუალო ზომის ჯგუფისთვის, ხოლო კანადასა და ავსტრალიაში გადასახადის ოდენობამ შეიძლება 500 აშშ დოლარსაც მიაღწიოს. საჭიროების შემთხვევაში, გადასახადების დაწესებისას ნიშნულებად გამოყენებისთვის, სავსებით ხელმისაწვდომია უფრო დეტალური ინფორმაცია გადასახადების სტრუქტურისა და რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება პოტენციურ შემოსავალს, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სამხრეთ აფრიკის ეროვნული პარკების საბჭოს შემოსავალი კინოგადაღებებიდან, რამაც 2019 წელს დაახლოებით 225,000 აშშ დოლარი შეადგინა საბჭოს მმართველობაში მყოფი ყველა დაცული ტერიტორიიდან (SANParks 2019). ამერიკის შეერთებულ შტატებში

კინოგადაღებიდან შემოსულმა თანხამ ეროვნული პარკის სამსახურებს 2 მილიონი დოლარი შემატა ჯერ კიდევ 2003 წელს და, ეჭვგარეშეა, რომ მას შემდეგ ეს თანხა გაიზარდა.

საქართველოს კინემატოგრაფიის კომისია აქტიურად ეწევა საქართველოს, როგორც გადაღებების ადგილის, რეკლამირებას. იგი სთავაზობს უხვ სტიმულებს (მაგ., 25% ფულადი სახსრების დაბრუნება გადაღების პროექტებიდან) და ხაზგასმით მიუთითებს საქართველოს უპირატესობებზე, როგორც გადაღების ადგილზე, მათ შორის, მიუთითებს, რომ საჯარო ადგილები, როგორცაა, დაცული ტერიტორიები, უფასოდ იქნება შეთავაზებული, რაც სხვა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი არ არის. მოსალოდნელია, რომ კინემატოგრაფიის კომისიაში და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომლის დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, წინააღმდეგობა გაუწიონ გადასახადის შემოღებას. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ სხვა ქვეყნებში არის სისტემა, რომელიც გადაღებისთვის მსგავს ხელსაყრელ სტიმულებს სთავაზობს და ამავდროულად საფასურსაც იღებენ ისეთ ადგილებში გადაღებებისთვის, როგორცაა დაცული ტერიტორიები და სხვა ლოკაციები; ამრიგად, ეს ორი ასპექტი ურთიერთგამომრიცხავი არ არის.

4.3.3 ტრანსპორტის შესვლის გადასახადი

ეს გადასახადი, რომელსაც დაცულ ტერიტორიაზე შესული ყოველი ავტომობილიდან იღებენ, შეიძლება შესვლის გადასახადის ერთადერთი ფორმაც იყოს, თუმცა ხშირად მას შესვლის გადასახადზე დამატებით იღებენ, შესულ პირთა რაოდენობის მიხედვით. ზოგ ქვეყანაში არის მხოლოდ შესვლის გადასახადი თითოეულ პირზე, ხოლო ავტომობილის შესვლაზე რაიმე დამატებითი გადასახადი არ არის. ტრანსპორტის შესვლის გადასახადი შეიძლება იყოს შემოსავლის წყარო და ამავდროულად, შეიძლება გამოყენებული იქნეს დიდი რაოდენობით ტრანსპორტის თავმოყრის თავიდან ასაცილებლად, სადაც ეს პრობლემას წარმოადგენს. ასეთი სახის გადასახადები აქვთ შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, აფრიკის საფარის ქვეყნების უმეტესობაში და სხვა ქვეყნებში. ზოგიერთ ქვეყანაში ტრანსპორტის გადასახადი დამოკიდებული არის სატრანსპორტო საშუალების ტიპზე (მაგალითად, სედანი, მაღალი გამავლობის, მინი-ავტობუსი, დიდი ავტობუსი), წონაზე ან სავარძლების რაოდენობაზე. ზოგან, უცხოური ნომრების მქონე მანქანებზე გადასახადი მეტია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უცხოელებისთვის შესვლის გადასახადიც უფრო მაღალია. გადასახადების ოდენობა განსხვავებულია, მაგრამ, როგორც წესი, იგი მერყეობს თითოეულ პირზე შესვლის გადასახადსა და ამ გადასახადის გაორმაგებულ ოდენობას შორის (ანუ, თუ შესვლის გადასახადი ზრდასრული პირისთვის არის 5 აშშ დოლარი, მაშინ სედანის ტიპის ავტომობილის გადასახადი 5-დან 10-მდე აშშ დოლარის ფარგლებში იქნება). საჭიროების შემთხვევაში, გადასახადების დაწესებისას ნიშნულებად გამოყენებისთვის, სავსებით ხელმისაწვდომია უფრო დეტალური მაგალითები გადასახადების სტრუქტურისა და რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში. ამან შესაძლოა ფინანსური გავლენა იქონიოს იმ დაცულ ტერიტორიებზე, რომლებსაც სჭირდება მარშრუტების შექმნა და მოვლა, ინფრასტრუქტურა და აბრები. თუმცა, ამ შედარებით მაღალი ხარჯების დაფარვის საჭიროება შესაძლოა გამოყენებული იქნეს გადასახადის დაწესების დასაბუთებისთვის.

მანქანების შესვლის მაგალითებია თუშეთის დაცული ტერიტორია და ლანდშაფტი, ასევე ვაშლოვანის დაცული ტერიტორია. დღეისათვის გადასახადი მხოლოდ ვაშლოვანში არის დაწესებული - 5 ლარი თითოეულ ავტომობილზე, მაგრამ ეს გადასახადი პრაქტიკულად

ემსახურება ადამიანთა რეგისტრირებას საზღვრის უსფრთხოების მიზნებისთვის. თუშეთში მოხდა ტრანსპორტის შესვლის ნებაყოფლობითი გადასახადის პილოტირება დაცული ტერიტორიის კონკრეტულ უბნებზე. თუმცა პილოტირების შემდეგ, მას მდგრადი განხორციელება არ მოჰყოლია.

ტრანსპორტის შესვლის გადასახადიდან პოტენციური შემოსავლის საკითხი, ინდივიდუალურ შემთხვევაზე არის დამოკიდებული, ამიტომ, საქართველოსთვის, ყველაზე კარგი იქნება „საშუალო“ დაცული ტერიტორიის ჰიპოთეტური მაგალითის გამოყენება. ისეთ დაცულ ტერიტორიაზე, რომელსაც წელიწადში 50,000 ვიზიტორი ჰყავს, თითოეულ ავტომობილში საშუალოდ 3.5 ადამიანი ზის და ტრანსპორტის გადასახადი თითოეულ ავტომობილზე 10 ლარია (რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის შესვლის გადასახადის ყველაზე მაღალი რაოდენობაა), წელიწადში შემოსავალი იქნება 140,000 ლარი. როგორც უკვე ვთქვით, გადასახადების განხორციელების ხარჯები, გადასახადების შეგროვების ჩათვლით, შეიძლება მაღალი იყოს და იგი ყურადღებით უნდა იქნეს განხილული.

4.3.4 კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი და სპონსორობა

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი ან შემოწირულობები მთელ მსოფლიოში მყარად იზრდება, როგორც არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციების დაფინანსების წყარო, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობისთვის იღვწიან. საქართველოში ჩატარებული ბიზნესის კვლევები უჩვენებს, რომ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ ინტერესი მაღალი არ არის, მაგრამ განაგრძობს ზრდას, თუმცა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გაკეთებული შენატანების შესახებ, ეროვნული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის.³

საქართველოში დაცული ტერიტორიებისა და კონსერვაციის კონტექსტში, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი მიმართული იყო არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც შემდეგ დაცულ ტერიტორიებს ეხმარებოდნენ გლობალური ტენდენციების შენარჩუნებაში. მაგალითად, კავკასიის ბუნების ფონდმა ფულადი სახსრები მიიღო „საქართველოს ბანკისგან“, რომლის სპონსორულ და საქველმოქმედო ფონდებს განაგებს მისი ფონდი - „სიცოცხლის ხე“, რომელმაც 2019 წელს, 1,9 მილიონი ლარი გამოყო განათლების, ბუნების კონსერვაციის, შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საჭიროებების მქონე პირების, სოციალური პლატფორმების და სოციალური საწარმოების გავითარებისთვის.⁴

ზოგ ქვეყანაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდების მიერ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდების მოზიდვა და შემდგომში მათი დაცული ტერიტორიებისა და კონსერვაციისთვის გამოყენება ფართოდ არის გავრცელებული. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეროვნული პარკების სამსახური (NPS), მჭიდროდ თანამშრომლობს ეროვნული პარკების ფონდთან, რომელმაც, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 550 მილიონი აშშ დოლარი მოაგროვა პარკების სისტემისთვის. ფონდის ერთ-ერთი გამორჩეული პარტნიორი არის 'სუბარუ მოტორსი', რომელმაც 2013 წლიდან მოყოლებული, 20 მილიონი აშშ დოლარი გადასცა ეროვნული პარკების სამსახურს (NPS). ამ უკანასკნელმა აღიარა კომპანიის წვლილი და 'სუბარუს' შეუძლია გამოიყენოს NPS-ის

³ იხ. კვლევის შედეგები - <https://www.finchannel.com/csr/71752-few-georgian-companies-follow-csr-principles-but-interest-is-growing>

⁴ იხ. <https://bankofgeorgiagroup.com/csr->

ბრენდი და ლოგო, შესაბამისად, სუბარუს შეუძლია გამოიყენოს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივა ან სპონსორობა მარკეტინგის მიზნებისთვის, მათ მომხმარებლებთან დასაკავშირებლად და თავისი მდგომარეობა გაამყაროს, როგორც მდგრადმა წამყვანმა საწარმომ.⁵ გაერთიანებულ სამეფოში, „ეროვნული პარკების პარტნიორობა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც 15-მა ეროვნულმა პარკმა შექმნა გაერთიანებული სამეფოს პარკებსა და ბიზნეს-საწარმოებს შორის წარმატებული პარტნიორობის მიზნით.⁶ სინგაპურში, აქტივობების დასაფინანსებლად გამოიყენება ‘Garden City Fund’ - ი, საზოგადოებასთან ურთიერთობის, განათლების, კვლევებისა და ინფრასტრუქტურის პროგრამების ჩათვლით, რაც სცდება ეროვნული პარკების ძირითადი მანდატის ფარგლებს.⁷

ვინაიდან კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდებში წვლილის შეტანის მიმართ ინტერესი და სურვილი იზრდება, დაცული ტერიტორიების ამ წყაროდან დაფინანსების შესაძლებლობებიც უნდა გაიზარდოს. როგორც ჩანს, კომპანიების უმრავლესობა კვლავ ამჯობინებს არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ამოქმედოს დაცული ტერიტორიებისა და კონსერვაციისთვის ნავარაუდები ფულადი სახსრები. ეს ადმინისტრირების თვალსაზრისითაც უფრო იოლი იქნება და მთლიანობაში უფრო მომგებიანიც დაცული ტერიტორიის მართვის ორგანოსთვის.

4.3.5 პირდაპირი რეკლამის საშუალებათა გაყიდვა

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი და სპონსორობა, სხვა შემოწირულობებთან და შენატანებთან ერთად, შეიძლება აღიარებული იქნეს დაცული ტერიტორიის მართვის ორგანოების მიერ. ეს აღიარება შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს რეკლამის ფორმად ან მარკეტინგის შესაძლებლობად. ამრიგად, მთლიანობაში არსებობს მნიშვნელოვანი თანხვედრა იმ ასპექტებს შორის, რომლებსაც ადამიანები ახასიათებენ ან მიიჩნევენ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობად, სპონსორობად და სარეკლამო ან მარკეტინგულ შესაძლებლობად.

კიდევ ერთი, უფრო პირდაპირი შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება განხილული იქნეს, მდგომარეობს იმაში, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტომ გაყიდოს სარეკლამო სივრცეები ან შესაძლებლობები დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფართობებზე და თავის ობიექტებზე. მაგალითად, ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს შესაბამისი ზომის სარეკლამო დაფების განთავსება საკვანძო გზების გასწვრივ ან შენობებზე, სადაც რეკლამის გაყიდვა ხდება სარეკლამო ან მედიის სააგენტოთა მიერ. კიდევ სხვა შესაძლებლობები შეიძლება გამოვლინდეს და შესწავლილ იქნეს რეკლამირების, მარკეტინგის, სარეკლამო ფართობებისა და შესაძლებლობათა გაყიდვების სპეციალისტთა დახმარებით.

მოცემულ ვარიანტს შეიძლება ჰქონდეს შემოსავლის წყაროს პოტენციალი, მაგრამ იგი სავარაუდოდ წიანალმდებლობრივი შეიძლება აღმოჩნდეს. ვიზიტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები, კონცესიონერების ჩათვლით, ჩვეულებრივ თანხმდებიან, რომ საჭიროა კორპორატიული სპონსორობის და სხვა ძირითად მონაწილეთა აღიარება. მიუხედავად ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ ეს აღიარება უფრო ზომიერი უნდა იყოს და შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ სიკეთეს, რაც დაცული ტერიტორიებისთვის არის

⁵ იხ. <https://chiefexecutive.net/americas-national-parks-an-opportunity-for-csr/>

⁶ იხ. <https://www.nationalparks.co.uk/>

⁷ იხ. <https://www.nparks.gov.sg/contribute> :

დამახასიათებელი. ისინი აფასებენ ბუნებრივ გამოცდილებას, რომელსაც დაცული ტერიტორიები უზრუნველყოფს და შეიძლება საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდნენ ნებისმიერი გამოვლინების მიმართ, რაც მათი აზრით, ღრმად იჭრება კომერციულ მოსაზრებებსა და ინტერესებში (ეს ნიშნავს, რომ მათ არ სურთ, რომ მიიჩნევდნენ 'ზედმეტად კომერციალიზებულად').

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული პარკების სამსახურს (NPS) აქვს ასეთი დაპირისპირების გამოცდილება, რომელიც დაკავშირებული იყო რეკლამისა და მარკეტინგის გაზრდის მეშვეობით დაცული ტერიტორიის შემოსავლების გაზრდასთან. 2016 წელს აშშ ეროვნული პარკების სამსახურმა, საზოგადოების მონაწილეობით, განიხილა მისი რეგულაციები შემოწირულობებისა და ფილანტროპული პარტნიორობის შესახებ (დირექტორის ბრძანება #21), რომელშიც არის დებულებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს სპონსორობის რეგულირება და აღიარება იმ სუბიექტებისა, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ეროვნული პარკების სამსახურის განვითარებაში. იგი ასევე არეგულირებს კომპანიების მიერ ეროვნული პარკების სამსახურის ბრენდისა და ლოგოს გამოყენებას, მათი შემოწირულობების შესაბამისად. განახლებული რეგულაციის პროექტმა მასმედიის მნიშვნელოვანი ყურადღება და კრიტიკა დაიმსახურა. გამოხატავდნენ შეშფოთებას, რომ მეტი რეკლამის დაშვება არაეთიკური იქნებდა, რომ კომპანიებისა და სხვა დონორების უფრო აქტიური ჩარევა ნებისმიერი სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობაში, ინტერესთა კონფლიქტს გამოიწვევდა და საფრთხეს შეუქმნიდა პარკების ხელშეუხებლობას.⁸ მოხდა პროექტის გადახედვა, რათა ეპასუხათ კრიტიკაზე და აეხსნათ, რომ ეროვნული პარკების სამსახურს მეტი შემოსავლის გენერირება შეეძლო. საბოლოო დებულებები ალბათ არ აკმაყოფილებს იმ ადამიანებს, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან მეტ რეკლამასა და კომერციალიზაციას, თუმცა, ამის მიუხედავად, ცდილობდნენ გამოეძენათ უფრო შესაფერისი ბალანსი NPS-ის თვალსაზრისით. ეს მაგალითი ადასტურებს, რომ სპონსორობისა და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობების ან რეკლამების მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება არის საჭირო.

4.3.6 კონკურსების ორგანიზება ფონდების მოზიდვის მიზნით

კონკურსებზე დაფუძნებული ფონდების მოზიდვის პერიოდული კამპანიებით მნიშვნელოვანი შემოსავლების გენერირება არის შესაძლებელი. ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს, მაშინაც კი, როდესაც მას სურს შემოწირულობა გაიღოს, დამატებითი სტიმული სჭირდება, მაგალითად, იმავდროულად სასიამოვნო პრიზის დაუფლების საშუალება. მათი შემოწირულობა პრაქტიკულად წარმოადგენს ილბლიან გათამაშებაში მონაწილეობისთვის ნაყიდი ბილეთის საფასურს, სადაც პრიზები ნაწილობრივ ან მთლიანად სპონსორების მიერ არის დაფინანსებული. ბილეთის საფასური შეიძლება დადგინდეს შეთავაზებული პრიზის ღირებულებისა და გამოშვებული ბილეთების რაოდენობის საფუძველზე.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ზღვის გადარჩენის ეროვნული ინსტიტუტი სამხრეთ აფრიკაში, სადაც შემოწირულობა (ანუ, გათამაშებაზე შესასვლელი ბილეთი) ორი

⁸ სტატიების მაგალითები იხ, პრესაში შემდეგ ბმულებზე: <https://www.washingtonpost.com/news/powerpost/wp/2016/05/09/park-service-and-corporate-advertising-a-dangerous-mix/> და <https://www.outsideonline.com/2413997/camping-alone>.

ავტომობილის მოგების შანსს იძლევა, რომელიც 'მიცუბიმის' მიერ არის უზრუნველყოფილი, ასევე, სხვა ფასიანი პრიზებიც არის გათვალისწინებული. 2020 წლისთვის გაიყიდება დაახლოებით 45 დოლარიანი ბილეთები, და მხოლოდ 36,000 ცალი, რაც 1,62 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალს მოიტანს. ეს კონკურსი ყოველ წელს ტარდება და იგი ამ ინსტიტუტის შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა, ხოლო 'მიცუბიმის' მარკეტინგისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანები ბილეთებს უფრო ხალისით ყიდულობენ, მსგავსი კონკურსების ჩატარება, როგორც წესი, ყველაზე მეტად არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის არის შესაფერისი, რათა შეაგროვონ ფულადი სახსრები დაცულ ტერიტორიებზე კონსერვაციის საქმიანობათა განსახორციელებლად, და არა სამთავრობო ინსტიტუტებისთვის, როგორც არის დაცული ტერიტორიების სააგენტო. თუმცა, შედარებით მცირე მასშტაბით, ისინი შეიძლება მეგობართა ასოციაციებმაც გამოიყენონ ფონდების მოსაზიდად.

4.3.7 სამოვრების გადასახადი

როგორც 3.2.1 ქვეთავში არის აღნიშნული, დაცული ტერიტორიების სააგენტო აწესებს სამოვრების გადასახადს დამოუკიდებელი აუდიტორის რეკომენდაციის საფუძველზე, თუმცა შეუძლია გადასახადის შემცირება, რათა მართვის უფრო მკაცრი პირობები უზრუნველყოს სამოვრებზე ზეწოლის შემცირების მიზნით. სამოვრების მართვის სხვა ასპექტებს გარკვეული პრობლემების შექმნა შეუძლია, მაგრამ ეს დამოუკიდებელი მექანიზმი ზოგადად დამაკმაყოფილებელია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის. ამ პროცესის მხარდასაჭერად, სამოვრების მართვის შეფასებებიც ჩატარდა და გეგმებიც შემუშავდა ვაშლოვანის, ჭაჭუნას, ბორჯომ-ხარაგაულის და ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისთვის. საყურადღებოა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, დაცულ ტერიტორიაზე შერჩევითი მოვებისთვის, გადასახადს არ იღებენ, რადგან ისინი, მოვების უფლებას განიხილავენ სარგებლის ფორმად ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობასთან ერთობლივად, და არა როგორც შემოსავლის წყაროდ.

4.3.8 ნიადაგისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის გადასახადი (ტყითსარგებლობის კომპენსაცია)

ზიანის კომპენსაციის გადასახადი (ტყითსარგებლობის კომპენსაციის გადასახადი) ძირითადი გადასახადია დაცული ტერიტორიის მიწაზე კონკრეტული აქტივობების კომპენსაციისთვის, რომლებიც ეკოლოგურ ზემოქმედებას ახდენს. მაგალითად, თუ ახალმა ნავთობსადენმა ან გაზსადენმა დაცულ ტერიტორიაზე უნდა გაიაროს, რომლის დროსაც საჭირო იქნება ხეების მოჭრა და თხრილების ამოთხრა, მაშინ დაცულ ტერიტორიას გადაუხდიან კომპენსაციის გადასახადს დაზიანებული უბნების აღდგენისთვის. ამ გადასახადების რეგულირება საქართველოში 2016 წლიდან ხდება და ვრცელდება არა მხოლოდ დაცულ ტერიტორიებზე, არამედ ყველა ჰაბიტატზე და მიწაზე. ზოგადად მიჩნეულია, რომ ზიანის სიდიდე ადეკვატური უნდა იყოს ტყისთვის, რადგან სწორედ ამ გარემოში ტარდება ყველაზე მეტი კვლევა, რომლებიც სასურველ შედეგს იძლევა. თუმცა ეს არ ეხება სხვა ჰაბიტატებს, მაგალითად, ნიადაგის კომპენსაცია არაადეკვატურად მიიჩნევა, რადგან იგი ეფუძნება გადასახად თანხებს, რომლებიც საგადასახადო კოდექსში არის დადგენილი მიწის გადასახადის სახით. მიწის გადასახადი

არის ფიქსირებული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 36 თეთრს კვადრატულ მეტრზე, ყოველგვარ სამეცნიერო საფუძველზე მითითების ან ცვლილებების გარეშე.

მდგრადი შემოსავლების გენერირების კუთხით, ზიანის კომპენსაციის გადასახადს დროებითი ხასიათი აქვს და დამოკიდებულია ისეთი პროექტების არსებობაზე, რომლებსაც ზიანი მოაქვთ, ასევე, ზიანის მასშტაბებზე. გარდა ამისა, ზიანისთვის მიღებული თანხა კონკრეტულად უნდა დაიხარჯოს აღდგენაზე, ამიტომ იგი არ არის საერთო შემოსავლის მომტანი. ზიანის გადასახადი დაკავშირებულია ზიანის კომპენსაციის კანონმდებლობის საერთო რეფორმასთან, რაც უდავოდ აუცილებელია და ეს პროცესი ამჟამად მიმდინარეობს, როგორც ეს საქართველოს ბიომრავალფეროვნების ფინანსურ გეგმაში არის მითითებული (BIOFIN). თუმცა, რეალურად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, რეფორმების პროცესის მართვის მანდატი არა აქვს, მაგრამ მასში წვლილის შეტანა შეუძლია.

4.3.9 შეფასება

დაცული ტერიტორიებისთვის განსაზღვრული, ზემოთ აღნიშნული რვა პოტენციური პრიორიტეტი უკვე შეფასდა და განხილულ იქნა სააგენტოსთან ერთად, რათა შეფასდეს მათი დაინტერესება შემდგომი სამუშაოს და, შესაძლოა, საპილოტე საქმიანობის მიმართ. როგორც ჩანს, ინტერესის სფეროს წარმოადგენს მეგობართა ასოციაციების წვლილი, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი და რეკლამის შესაძლებლობათა გაყიდვა, ხოლო დანარჩენი ვარიანტები მოცემული მომენტისთვის პრიორიტეტი არ უნდა იყოს, ან სხვაგვარად უნდა მოხდეს მათი შეზღუდვა. საერთო ინტერესის საგანი ასევე გახდა, ფონდების მოზიდვის მიზნით, კონკურსების ორგანიზება, უფრო მეტად - არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მეგობართა ასოციაციების ჩათვლით, უფრო ნაკლებად - თვით დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის. ისინი უნდა გვახსოვდეს წვლილის შეტანის პოტენციალის თვალსაზრისით, მაგრამ, ამჟამად, მათ უფრო დეტალურად არ განიხილავენ. უსარგებლოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც პრიორიტეტებს შორის ვერ მოხვდა - ისინი პრიორიტეტული არ არის ამ მომენტისთვის, მაგრამ შეიძლება კარგი შესაძლებლობა გახდეს, განსაკუთრებით, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

მე-5 განყოფილებაში აღწერილია შემდგომი ძირითადი ნაბიჯები, რომლებიც განხილული უნდა იქნეს სამომავლო შეფასების, პილოტირებისა და განხორციელებისკენ სწრაფვის უზრუნველსაყოფად.

4.4 თუშეთის დაცული ლანდშაფტის ფინანსური ინსტრუმენტები

თუშეთის დაცული ლანდშაფტი არის დაცული ტერიტორიის მაგალითი, რომელსაც მნიშვნელოვანი ფინანსური საჭიროებები აქვს. მას მართავს არა დაცული ტერიტორიების სააგენტო, არამედ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია, რომელიც ახმეტის ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ექვემდებარება. დღეისათვის მას ძალზე შეზღუდული რესურსები აქვს საკუთარი შემოსავლების თვალსაზრისით და გარკვეულწილად შეზღუდული არის მასზე წვდომაც (თბილისიდან მგზავრობას, სულ მცირე, 5 საათი სჭირდება, ხოლო მგზავრობისთვის მაღალი გამავლობის (4X4) სატრანსპორტო საშუალება არის საჭირო) სამანქანო გზით, რომელიც ზამთრის პერიოდში იკეტება. მიუხედავად ამისა, ტურისტთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა, კერძოდ, თუ 2009 წელს თუშეთის დაცულ ლანდშაფტს 2000 ტურისტი ეწვია, 2019 წლისთვის მათი

რაოდენობა 16000-მდე გაიზარდა. ამიტომ, თუშეთის დაცული ლანდშაფტისთვის სპეციალურად იქნა განხილული პოტენციური ფინანსური შესაძლებლობები, იმ შესაძლებლობებთან ერთად, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ და რომლებიც ძირითადად დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის იყო გათვალისწინებული. ასეთი მიდგომის შედეგად პოტენციური პრიორიტეტული ინსტრუმენტები გამოვლინდა:

1. ტურიზმის ადგილობრივი მოსაკრებლის დაწესება;
2. კონცესიები განვითარებისთვის და კემპინგისა და პიკნიკის უბნების ამოქმედებისთვის;
3. წყალჯომარდობის (რაფტინგის) და კაიაკინგის კონცესიები.

4.4.1 ტურიზმის ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღება

თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ტურისტთა რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ და მასთან დაკავშირებულმა განთავსების საკითხმა საგულისხმო ზეწოლა მოახდინა სერვისებზე, რომელთა ხარჯებსაც დღეისათვის თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია ფარავს. უზრუნველყოფილ სერვისებს შორის არის წყლის მიწოდება, ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელების ორგანიზება (ახლახან ახალი ნაგავსაყრელი აშენდა).

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია ამ მუნიციპალური სერვისების ხარჯების დაფარვას ვეღარ შეძლებს და, ამიტომ, დღის წესრიგში დგას სერვისებისთვის სავალდებულო გადასახადის შემოღების საკითხი. ასეთი გადასახადების შემოღებისთვის საჭირო პროცესი შეიძლება ასევე გამოყენებული იქნეს ადგილობრივი ტურიზმის უფრო ფართო 'მოსაკრებლის' დასაწესებლად, რომელიც გასცდება მხოლოდ მუნიციპალური სერვისებისთვის გათვალისწინებულ გადასახადს და უზრუნველყოფს თუშეთში ტურიზმისა და კონსერვაციის განვითარების დაფინანსებას. მან შეიძლება მოიცვას ტურიზმის ხელშეწყობა, ტურისტული ობიექტების უზრუნველყოფა, ბუნების დაცვის მართვა და სხვა საკითხები, რომლებიც ერთობლივად იქნება შეთანხმებული იმ პირთა მონაწილეობით, რომლებიც მოსაკრებელს იხდიან. შემოსავლების რაოდენობა შეზღუდული იქნება მოსაკრებლის ადების შესაძლებლობით ტურიზმის სფეროს დაინტერესებულ სუბიექტთა შორის, რაც შემდგომში უნდა განისაზღვროს.

4.4.2 კემპინგის და პიკნიკის ადგილების კონცესია

დაცული ტერიტორიების შემოსავლების გავრცელებული წყარო არის კემპინგის გადასახადი ან კონცესიები, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციამ თუშეთის ეს პოტენციური ადგილები, განსაკუთრებით, ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობის ფონზე, და წინასწარი მოკვლევაც ჩაატარა ზოგიერთი დონორის დახმარებით. იგი მოიცავს კემპინგის ყველაზე შესაფერისი პოტენციური ადგილების იდენტიფიცირებას შემდეგ ტერიტორიებზე:

1. ომალო-ქუე;
2. მირგველა;
3. დიკლო-შენაქო;
4. დართლოს კემპინგის უბანი;
5. გირევის უბანი;
6. ვერხოვანის უბანი;
7. ვარდა ვაკე;

8. წოვათა - ქადოვანა.

ასევე შემუშავდა პროექტები და დეტალური არქიტექტურული ნახაზები სანიტარულ-ჰიგიენური ობიექტებისთვის, საერთო პიკნიკებისთვის და ცეცხლის დასანთები უბნებისთვის. ეს ადგილები ადამიანებს საშუალებას მისცემს, უკეთ ისარგებლონ ბილიკების ქსელით, რომლებიც 2015-2017 წლებში გაკეთდა და, ამავდროულად, ვიმედოვნებთ, რომ იგი შეამცირებს უკანონო არაკონტროლირებულ კემპინგებსა და ვიზიტორთა მაღალ კონცენტრაციას თუშეთის ცენტრში, სადაც სასტუმროთა უმრავლესობა არის განლაგებული. ამ მომენტისთვის, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ეს კემპინგები იჯარით უნდა გაიცეს ერთი პაკეტით, რათა ხელი შეუწყოს უფრო მოშორებული უბნების განვითარებას და ფუნქციონირებას კერძო სექტორზე კონცესიის მეშვეობით.

პოტენციური შემოსავლების თვალსაზრისით, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მთლიანი შემოსავალი დაცული ტერიტორიების ქსელში არსებული ყველა კემპინგის უბნიდან, 2019 წელს, 54,000 ლარს შეადგენდა (იხ. ცხრილი 3-5). თუ ვივარაუდებთ, რომ ეს შემოსავლები 10-11 დაცულ ტერიტორიაზე არის განაწილებული, მაშინ ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ თუშეთში კემპინგისგან მიღებული მინიმალური საბაზისო წლიური შემოსავალი დაახლოებით 5,000 ლარი იქნება. თუმცა, მიმდინარე გეგმებიდან ჩანს, რომ თუშეთში ორგანიზებული კემპინგები უკეთესი დიზაინისა და ფუნქციების მქონე იქნება, ამიტომ შესაძლებელი იქნება მეტი გადასახადის დაწესება, დღევანდელი მოკრძალებული 5 ლარის ნაცვლად, რომელსაც დაცული ტერიტორიების სააგენტო იღებს ამჟამად თავისი საიტებისთვის. კონცესიონერთა მიერ უბნების ექსპლუატაციის შემთხვევაში, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დამატებითი ღირებულებისა და შემოსავლების გაზრდის საშუალება.

4.4.3 კონცესიები ან წყალჯომარდობის (რაფტინგის) და კაიაკინგის გადასახადები

თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ასევე გამოიჩინა ინტერესი წყალჯომარდობის და კაიაკინგის პოტენციალის მიმართ, რათა იგი შემოსავლის წყარო გახდეს თუშეთში. ამჟამად, მსგავსი აქტივობების შესაძლებლობა ამ ტერიტორიაზე ცნობილი არ არის, მაგრამ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია დაუკავშირდა სხვა ტერიტორიებზე მოქმედ ოპერატორებს, ძირითადად არაგვის სათავგადასავლო ცენტრს, რომელსაც ტურები აქვს ორგანიზებული მდინარე არაგვზე.⁹ მათ გამოიჩინეს თეორიული ინტერესი, თუმცა ნათლად მიუთითეს, რომ საჭირო იქნება ტერიტორიის შესწავლა მდინარის სათანადო მონაკვეთების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც არ იქნება სახიფათო (მაგალითად, წვეტიანი ან წვრილი ქვებიანი) და კარგი შესვლისა და გამოსვლის წერტილები ექნება. შესაბამისი შესწავლის მეშვეობით დადგინდება, არის თუ არა ეს იდეა ტექნიკურად განხორციელებადი, რა ტიპის ჯომარდობისთვის (რაფტები/ტივები, კაიაკები თუ ორივე) იქნება შესაფერისი, და უნარების დონე, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას იქონიებს ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობაზე. ასევე აუცილებელია უკეთ იქნეს გააზრებული ტრანპორტის პრობლემების გადაჭრის გზები. მაგალითად, გზის ამ მონაკვეთზე გზები არ იძლევა დიდი მისაბმელების გადაადგილების საშუალებას, რომლითაც ჩვეულებრივ ტივები (რაფტები) გადააქვთ.

⁹ See <http://www.adventure-center.ge/?lang=eng>

პოტენციური შემოსავლების თვალსაზრისით, მაგალითს წარმოადგენს კოლხეთის ეროვნული პარკი, სადაც ორგანიზებულია კაიაკის ტურები და გაქირავება. 2019 წელს ტურებიდან მთელი შემოსავალი 7,670 ლარს შეადგენდა, ხოლო გაქირავებიდან - 3,135 ლარს (იხ. დანართი 2). ეს უფრო ფართო წარმოდგენას იძლევა შემოსავლის პოტენციალის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ თუშეთი კოლხეთისაგან საკმაოდ განსხვავდება.

4.4.4 შეფასება

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ზემოთაღნიშნული სამი პრიორიტეტი დამატებით შეფასდა და მათთან ერთად იქნა განხილული, რათა განსაზღვრულიყო მათი დაინტერესება ამ საკითხებზე შემდგომი მუშაობისა და, შესაძლოა, პოტენციური საპილოტე აქტივობების მიმართ. დადასტურდა, რომ ტურისტული მოსაკრებლისა და კემპინგის კონცესიის შემოღება უფრო დიდ ინტერესს იწვევს და პრიორიტეტულად არის მიჩნეული. ჯომარდობისა და კანოეს კონცესიები და გადასახადი ასევე მიჩნეულ იქნა პოტენციის მქონედ, მაგრამ ამ აქტივობებიდან მიღებული შემოსავალი - იმ პირობით, რომ მათი ტექნიკურად განხორციელება შესაძლებელია - მნიშვნელოვნად მცირე იქნება, ტურიზმის დონესთან და კემპინგის კონცესიებთან შედარებით.

მე-5 განყოფილებაში განხილულია შემდგომი ძირითადი ნაბიჯები, რომლებიც დაკავშირებულია შეფასებასთან, პილოტირებასა და განხორციელების მომზადებასთან.

5 შემდგომი ნაბიჯები და პილოტირება

პრიორიტეტული ფინანსური ინსტრუმენტების იდენტიფიცირების შემდეგ, დეტალური შეფასების ფაზა დაიწყო, რომელიც ფოკუსირებული იყო პრიორიტეტული ინსტრუმენტების განხორციელებადობის შემდგომ შეფასებაზე. მის საფუძველზე შემუშავდა ქვემოთ მოცემული აღწერილობითი სქემები თითოეული მათგანისთვის, სამომავლო ნაბიჯების, პილოტირების ვარიანტებისა და სხვა მოქმედებათა ჩათვლით, რომლებიც განხორციელებისთვის მოსამზადებლად არის რეკომენდებული.

5.1 მეგობართა ასოციაციები

მეგობართა ასოციაციების მომავალს თუ შევხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე არის რამდენიმე ასეთი ასოციაცია, მათი უმრავლესობა შედარებით ახალია და ორგანიზაციად ჩამოყალიბებისა და საქმიანობის განვითარებისთვის დრო და მხარდაჭერა სჭირდებათ. ამ განვითარების ნაწილი, რა თქმა უნდა, გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის ასპექტს უნდა მოიცავდეს, რათა გაიზარდოს შემოსავლები და დაცული ტერიტორიებისთვის მხარდაჭერის შესაძლებლობები. მეგობართა თითოეული ასოციაციის შემოსავლის წყარო ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება და ისინი შესაბამისობაში უნდა იყოს მათ გარემოებებთან, მათ მიერ მხარდაჭერილი დაცული ტერიტორიის ბუნებასთან და მეგობართა ასოციაციის წევრების ინტერესებთან და მოტივაციასთან. თუმცა, თუკი ისინი სხვა ქვეყნებში მოქმედი მეგობართა ასოციაციების მსგავსად განვითარდება, მეგობართა ასოციაციის საერთო შემოსავლების უდიდესი ნაწილის ფორმირება მოხდება საწევრო შენატანების (ფულით ან ნატურით) და ფონდების მოზიდვის ძალისხმევის ხარჯზე, რომლებიც შემოწირულობებზე იქნება ფოკუსირებული. ეს შეიძლება მოიცავდეს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის

კონტრიბუციებსაც ადგილობრივი და რეგიონული ბიზნესებიდან, როგორცაა, ტურიზმის სფერო, კამპანიები, ღონისძიებები, და ა.შ.

სხვა წყაროები იქნება უფრო ცვალებადი და ინდივიდუალურ შემთხვევაზე დამოკიდებული. ისინი მოიცავს, მაგალითად, ტურისტულ სერვისებს, საგანმანათლებლო ტურებს/ბანაკებს, სუვენირების მაღაზიებს, ჯიხურებს, რესტორნებს, საფირმო საქონლით ვაჭრობას, და სხვ. ასეთი ტიპის კომერციული საწარმოები ხშირად შედარებით მცირე ზომისაა (მაგ., შესაძლებლობები, რომლებიც ძალიან მცირეა იმისათვის, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტომ კონცესიები გამოიყენოს), მოგების შედარებით დაბალ დონეზე მუშაობენ, მაგრამ ვიზიტორებს მნიშვნელოვან სერვისებს სთავაზობენ, რითაც საგულისხმო როლს ასრულებენ მათ მოზიდვაში. მაგალითად, მცირე ზომის სათემო ჯიხურმა, სადაც სტუმარს გამაგრებულ სასმელს სთავაზობენ, შეიძლება ადამიანებს დაცული ტერიტორიის მონახულების სურვილი აღუძრას.

ფონდების მოზიდვისა და სხვა წყაროების საშუალებით შემოსავლების გენერირების კუთხით, მეგობართა ასოციაციების შესაძლებლობები ალბათ შეზღუდული იქნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეგობართა ასოციაციის წევრებს შემოსავლების გენერირების გამოცდილება აქვთ. ეს სახსრების გენერირებისა და შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა გაძლიერების აუცილებლობაზე მიუთითებს. ასეთი შესაძლებლობათა გაძლიერების ფორმა და მიმართულება უნდა განისაზღვროს დაცული ტერიტორიების მეგობართა ქსელისა და ცალკეული მეგობართა ასოციაციების ურთიერთქმედებით და იგი საგულდაგულოდ უნდა იყოს ადაპტირებული მათ მოთხოვნებთან.

5.2 კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და სპონსორობა

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდებთან დაკავშირებული კონკურენცია ხშირად საკმაოდ ინტენსიურია და იგი მიზანმიმართულ მოქმედებას მოითხოვს, მაგალითად, უნდა არსებობდეს საწარმოზე ან სექტორზე ორიენტირების საშუალება, რომლებიც დაცული ტერიტორიების უფრო აშკარა მოსარგებლეები არიან, როგორცაა, ტურიზმი, წყალმომარაგება, ჰიდროენერგეტიკა და სხვ. ეს მიდგომა, მათ შენატანებს ეკოსისტემური სერვისებისთვის ნებაყოფლობითი გადასახადის ფორმას მისცემდა, როდესაც შედეგების განსაკუთრებით მკაცრი მონიტორინგი აუცილებელი არ არის (ანუ, კომპანიებს, რომლებსაც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდებში წვლილი შეაქვთ, მათი შენატანების მიმართებით ნაკლები მეცნიერული დასაბუთება დასჭირდებოდათ ეკოსისტემის სერვისების გადასახადის საშუალო სქემასთან შედარებით). კავკასიის ბუნების ფონდი ახლო მომავალში გეგმავს ეკოსისტემური სერვისების შეფასებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოტენციური მონაწილეების განსაზღვრას იმ კომპანიათა შორის, რომლებიც უფრო პირდაპირ სარგებელს იღებენ დაცული ტერიტორიებისგან.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იქნეს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდებზე წვდომა ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე. კავკასიის ბუნების ფონდისა და სხვა ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კონტრიბუციებზე ფოკუსირება ეროვნულ დონეზე, ხოლო მეგობართა ასოციაციები უფრო ადგილობრივ და რეგიონულ მიმართულებაზე არიან ორიენტირებული (გამონაკლისს წარმოადგენს ახლახანს შექმნილი დაცული ტერიტორიების მეგობართა ქსელი, რომელიც ალბათ ეროვნულ დონეზე იქნება ორიენტირებული).

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წყაროებიდან ფონდების მოზიდვა ზუსტი მეცნიერება არ არის. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმ ადამიანთა პიროვნულ თვისებებზე, ინტერესებზე, სოციალურ და პროფესიულ კავშირებზე, რომლებიც სახსრებს გამოყოფენ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდებისთვის, ასევე, იმ ადამიანებზეც, რომლებიც მათ დახმარებისთვის მიმართავენ. ნებისმიერ შემთხვევაში, კორპორატიული სოციალური ფონდებისთვის სახსრების მოპოვების ტიპური მიდგომა, სულ მცირე, შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს:

1. იდენტიფიცირება და ფოკუსირება კომპანიებზე, რომლებიც მეტი ალბათობით ისურვებენ დაცული ტერიტორიის მართვისა და დაცვის პროცესში წვლილის შეტანას.

2. მასალების მოძიება (ბროშურა, პრეზენტაცია), რომლებიც საჭიროა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დაფინანსების მოთხოვნის დასაბუთებისთვის. იგი უნდა მოიცავდეს ადრინდელი და მიმდინარე აქტივობების მოკლე აღწერას, სადაც წარმატებებთან და მიღწევებთან ერთად მითითებული იქნება სამომავლო ღონისძიებები, რომლებსაც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დაფინანსება შეუწყობდა ხელს. საინფორმაციო მასალებში ხაზგასმით უნდა იყოს მითითება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდების საზოგადოებრივ სარგებელზე - კომპანიის სარგებელთან ერთად, რომელსაც შემოწირულობისთვის მიმართავენ (მაგალითად, რა უპირატესობას მისცემს ეს კომპანიას, მარკეტინგის თვალსაზრისით).

3. კომპანიებთან დაკავშირება, შეხვედრის და დაფინანსების აუცილებლობის დასაბუთების შესაძლებლობის თხოვნა. ეს უნდა მოიცავდეს არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, ასევე, დაცული ტერიტორიის მართვის ორგანოს წარმომადგენლებს - თუ ფულადი სახსრები დაცული ტერიტორიისთვის არის გამიზნული.

4. რეკომენდაციების გათვალისწინება და დაკავშირების მოთხოვნა სხვა კომპანიებთან, რომლებთან კავშირიც შეიძლება სასარგებლო იქნეს.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ კომპანიას შემუშავებული აქვს დაფინანსების განაცხადის მიღების პროცედურები. მაგალითად, ისინი შეიძლება მოითხოვდნენ მოკლე განაცხადის განთავსებას მათ ვებგვერდზე, სადაც ძირითადი ინფორმაცია იქნება მითითებული, შემდგომ ეს განაცხადებები გამოიყენება განმცხადებლისაგან დამატებითი ინფორმაციის გამოსათხოვად.

5.3 რეკლამის საშუალებათა პირდაპირი გაყიდვა

რეკლამის საშუალებათა პირდაპირი გაყიდვა არის ვარიანტი, რომელიც დამატებით კვლევასა და ყურადღებით განხილვას მოითხოვს. დასაწყისისთვის, სახელმწიფო დაწესებულების მიერ (როგორც არის დაცული ტერიტორიების სააგენტო) ნათლად უნდა დადგინდეს - - სარეკლამო სივრცის გაყიდვის იურიდიული შესაძლებლობა და შეზღუდვები. ეს შესაძლებელი იქნება დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურისტების მონაწილეობით და ნათელი გახდება რა არის შესაძლებელი და რა არა.

ასევე, კარგი იქნება დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით მკაფიო რეგულაციების ან სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის

ნებადართული ან, თუ ისინი რაიმე ფორმით უკვე არსებობს, მათი გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვლა. ასეთი სახელმძღვანელო პრინციპები, გარდა პირდაპირი რეკლამირებისა, შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერი დონორის ან სპონსორის აღიარების საკითხს, მაგალითად, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისა და სპონსორობის მეშვეობით. ისინი შეიძლება არ იყოს დეტალური, მაგრამ იმავე მიზანს ემსახურება, რასაც 4.3.5 განყოფილებაში აღწერილი აშშ ეროვნული პარკების სამსახურის რეგულაციები შემოწირულობებისა და ფილანტროპული პარტნიორობის შესახებ (დირექტორის ბრძანება #21), რომელშიც არის დებულებები სპონსორობისა და მასთან დაკავშირებული აღიარების ან რეკლამირების შესაძლებლობათა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია მათთვის, ვისაც შემოწირულობა შეაქვს ეროვნული პარკების სამსახურში და მის ბრენდსა და ლოგოს იყენებს.

მას შემდეგ, რაც სამართლებრივი საკითხი მოგვარდება და ნათელი გახდება რა არის დასაშვები და რა არა, შესაძლებელია შესწავლილ იქნეს რეკლამირების ვარიანტები, რეკლამის, მარკეტინგის და სარეკლამო სივრცეებისა და შესაძლებლობათა გაყიდვების სპეციალისტების მონაწილეობით. ამ პროცესის დაწყება შესაძლებელია მარკეტინგის სპეციალისტების დახმარებით, რომლებიც საჯარო სექტორში მუშაობენ, თუმცა საჭირო იქნება კერძო სექტორის სპეციალისტის წვლილიც, რომელმაც იცის სარეკლამო ბაზარი და შეუძლია რჩევების მიცემა ამ ბაზარში ჩართვასთან დაკავშირებით.

5.4 ტურიზმის მოსაკრებელი თუშეთში

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია განიხილავს მუნიციპალური სერვისებისთვის სავალდებულო გადასახადის შემოღებას. ასეთი გადასახადების შემოღებისთვის საჭირო პროცესი, ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი ტურიზმის უფრო ფართო სავალდებულო 'მოსაკრებლის' დაწესებისთვის, რომლის მიზანიც იქნება თუშეთში ტურიზმისა და ბუნების დაცვის ღონისძიებებისთვის ფონდების უზრუნველყოფა. ასეთი მოსაკრებლის შემოღებისთვის საჭირო დამატებითი შეფასებები და მასთან დაკავშირებული პროცესი შეიძლება საპილოტე პროექტის სახით განხორციელდეს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი ფოკუსირებული უნდა იყოს სამართლებრივი განხორციელებადობის და ტურიზმის მოსაკრებლის ოპტიმალური ფორმის დადგენაზე. შემდგომ, პირველი ეტაპის შედეგების საფუძველზე, შეიძლება მოხდეს დაინტერესებულ მხარეთა პროცესში ჩართვა, რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება მოსაკრებლის და მისი შემოღების შესახებ, რაც ინფორმირებული უნდა იქნეს შერჩეული შეფასებების მეშვეობით.

ტურიზმის მოსაკრებლის სამართლებრივი განხორციელებადობა და ოპტიმალური ფორმა

თავდაპირველი დამატებითი შეფასება შეიძლება ფოკუსირებული იყოს სამართლებრივ მხარეზე და ოპტიმალურ ფორმაზე, რათა თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციამ შეძლოს ტურიზმის მოსაკრებლის შემოღება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის, უპირველესად აღიარებული გადასახადი არის ქონების ადგილობრივი გადასახადი, რომელიც ორი კომპონენტისაგან შედგება, კერძოდ, ქონების გადასახადისა და მიწის გადასახადისაგან. კომპანიები ქონების გადასახადს იხდიან ფიქსირებული განაკვეთით - მათი ქონების წმინდა საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების 1%-ს. მიწის გადასახადი, მიწის ხარისხსა და მდებარეობაზე არის დამოკიდებული. არასასოფლო-სამეურნეო მიწებზე მაქსიმალური საბაზისო განაკვეთი არის 0,24 ლარი კვადრატულ მეტრზე. გადასახადის გაანგარიშება ხდება გადასახადის

წლიური საბაზისო განაკვეთის გამრავლებით ტერიტორიის კოეფიციენტზე და მიწის ნაკვეთის ფართობზე. ტერიტორიული კოეფიციენტის მიხედვით, მიწის გადასახადის დიფერენციაცია ხდება ნაკვეთის განლაგებისა და ზონების მიხედვით.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, თავიანთ ტერიტორიებზე დააწესონ ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, რომელთა მაქსიმალური ზღვრები საქართველოს 2013 წლის საგადასახადო კოდექსში არის დადგენილი. ამ კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე, ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე, ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით ან საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში“. გარდა ამისა, შემოსავლების სამსახურის შეტყობინებასთან დაკავშირებით, კოდექსი ადგენს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ვალდებულია ადგილობრივი გადასახადის შემოღების, მისი გადახდის პირობების შეცვლის ან შემოღებული ადგილობრივი გადასახადის გაუქმების შესახებ ინფორმაცია და სათანადო ნორმატიული აქტის ასლი მისი გამოქვეყნებისთანავე გაუგზავნოს შემოსავლების სამსახურსა და შესაბამის საგადასახადო ორგანოებს“. საჭიროა ამ და სხვა დებულებათა შეფასება და განხილვა შესაბამის ორგანოებთან ერთად, რათა დადგინდეს ტურიზმის მოსაკრებლის სამართლებრივი განხორციელებადობა და მისი ოპტიმალური ფორმა.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, რომელიც მიმართულია შერჩეული შეფასების საფუძველზე მოსაკრებლის შემოღებაზე

საბაზისო სამართლებრივი განხორციელებადობის დადგენის შემდეგ, ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს მოსაკრებლის შემოღების პროცესზე. იგი ყურადღებით უნდა დაიგეგმოს თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან ერთად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს წარმატების შესაძლებლობების მაქსიმალური ზრდა, განსაკუთრებით დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობისა და შეთანხმების კუთხით. მნიშვნელოვანი იქნება ამ საკითხზე ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა და, მოსალოდნელია, რომ პროცესისთვის სასარგებლო იქნება თუშეთის მეგობართა ასოციაციისა და სხვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისთვის, ალბათ, საჭირო იქნება დამატებითი შეფასება ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად, შეიძლება საჭირო იქნეს მოსაკრებლის დასაბუთება და ახსნა სხვადასხვა აუდიტორიისთვის. პროცესის დასაწყისში, ეს შეიძლება უფრო ზოგად ხასიათს ატარებდეს, სადაც დაინტერესებულ მხარეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი მოსაზრებები გამოხატონ საერთო 'ხედვის' მიმართ იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იქნეს მიღწეული მოსაკრებლით. ამის შემდეგ, პროცესის მიმდინარეობისას, შესაძლებელი იქნება შესწორებების შეტანა.

ჩართულობამდე სასარგებლო იქნება უკეთესი ურთიერთგაგების მიღწევა ხელმისაწვდომი მოსაკრებლის რაოდენობის საკითხზე და მასთან დაკავშირებულ მთლიან შემოსავლებზე, ასევე, აქტივობებთან დაკავშირებულ ხარჯებზე. ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელი უნდა იქნეს მაღალი დონის შეფასების ჩატარება, კერძოდ, უნდა შეფასდეს, რა რაოდენობის მოსაკრებელი იქნება ხელმისაწვდომი სასტუმროებისთვის და სხვა პოტენციური გადამხდელისთვის. ამაზე მსჯელობა შეიძლება სასტუმროს და სხვა ტურისტული

ოპერატორების შემოსავლების (ბრუნვის) და, ასევე, სტუმართა რაოდენობის მიხედვით. ფინანსური შედეგების უკეთ გაგების მიზნით, ასევე, შეიძლება განხილულ იქნეს საქმიანობის ტიპების შერჩევა, რომელთა მიმართაც მოსაკრებელი იქნება გამოყენებული (მაგ., ხელშეწყობა, ტურიზმის ობიექტების შეთავაზება, კონსერვაციის მართვა). ამით შესაძლოა საფუძველი ჩაეყაროს შემდგომ განხილვებსა და დაზუსტებებს, რომლებმაც უნდა მოიცვან კოლექტიური შეთანხმება თანამშრომლობაზე დაფუძნებული მართვის და მოსაკრებლისგან მიღებული შემოსავლების გამოყენების შესახებ, რაც მიმდინარე პროცესის საფუძველზე ერთობლივად უნდა გადაწყდეს.

5.5 თუშეთის დაცული ლანდშაფტის კემპინგის უბნების კონცესია

თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ წარმატებული ნაბიჯები გადადგა კემპინგების კონცესიის პროექტის განხორციელებაში, კერძოდ, იდენტიფიცირებულია კემპინგისთვის ხელსაყრელი ადგილები და ამ ადგილებისთვის შემუშავებულია პროექტები და დეტალური არქიტექტურული ნახაზები. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციამ იცის კონცესიების სფეროში მისი არასაკმარისი გამოცდილებისა და შესაძლებლობების შესახებ, რის გამოც შესაძლებლობათა გაძლიერება ერთ-ერთ ამოცანად დაისახა. ასევე ცნობილია, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს აქვს კონცესიების გამოცდილება და მას ღირებული დახმარების გაწევა შეუძლია. ამრიგად, კარგი იქნებოდა თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის ტრენინგების ჩატარება, რომელიც ფოკუსირებული იქნებოდა სიცოცხლისუნარიანობის შეფასებასა და კონცესიების საუკეთესო გამოცდილებაზე.

ტრენინგის გარდა, საჭიროა სიცოცხლისუნარიანობის დამატებითი შეფასება და პილოტირება. იგი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ნაბიჯებს ან ამოცანებს:

1. კემპინგის ადგილების კონცესიის განხორციელებადობის/სიცოცხლისუნარიანობის უფრო დეტალური კვლევის ჩატარება კონსულტანტის მიერ, რომელსაც მსგავსი კვლევების ჩატარების გამოცდილება აქვს, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით. ასეთი კვლევის უპირველესი მიზანი იქნება სიცოცხლისუნარიანობის დამოუკიდებელი შეფასების უზრუნველყოფა და კონცესიის დაზუსტება. მასში გათვალისწინებული უნდა იქნეს შეთავაზებული მოედნები, საჭირო ინფრასტრუქტურის დონე და ღირებულება, გონივრული მოსალოდნელი შემოსავლები და ბიზნეს-მოდელების ვარიანტები.

2. განხორციელებადობის კვლევის (ტექნიკური დასაბუთების) შედეგების საფუძველზე პროცესის ან საგზაო რუკის განსაზღვრა, სადაც მითითებული იქნება, თუ რა არის საჭირო კონტრაქტის ხელსაყრელ კონცესიონერთან გაფორმებისთვის.

3. წინადადებების შეგროვება დაინტერესებული კონცესიონერებისაგან, რომლებსაც ზუსტად ესმით განსახილველი წინადადებების ბუნება, და ისიც, თუ როგორ მოხდება მათი შეფასება. საკონკურსო წინადადებების ფართოდ გავრცელება.

4. მიღებული წინადადებების შეფასება მკაფიო კრიტერიუმების მეშვეობით, დამატებითი ინფორმაციის ან განმარტების მოთხოვნა და ხელსაყრელი პრეტენდენტის შერჩევა.

5. ხელსაყრელი პრეტენდენტების ინფორმირება და მათთან მოლაპარაკებების დაწყება.

6. მოლაპარაკებების საფუძველზე კონცესიონერთა კონტრაქტების შემუშავება მაქსიმალურად გასაგები ფორმით, დავების გადაწყვეტის მექანიზმების ჩათვლით.

7. კონცესიების მართვა საკონცესიო ხელშეკრულებების შესაბამისად.

განხორციელებადობის დეტალური კვლევა, იდეალურ შემთხვევაში, ცალკე ფაზაში უნდა განხორციელდეს, რომელიც დაადგენს შემდგომი სამუშაოს ბუნებას და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დავალებას.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს გამოცდილებასთან ერთად, კარგი საერთაშორისო სახელმძღვანელოებიც არსებობს ტურიზმის კონცესიების სფეროში საუკეთესო გამოცდილების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტრენინგისა პრაქტიკის მიზნებისთვის. მათ შორის არის:

- გაეროს განვითარების პროგრამა. 2014. ტურიზმის კონცესიები დაცული ბუნების ტერიტორიებზე: გაიდლაინები მენეჯერებისთვის. ავტორები: Thompson, A., Massyn, P.J., Pendry, J., Pastorelli, J. გაეროს განვითარების პროგრამა. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/environment-energy/ecosystems_and_biodiversity/tourism-concessions-in-protected-natural-areas.

- Spenceley, A., Snyman, S. & Eagles, P. 2017. ტურიზმის სფეროში პარტნიორობისა და კონცესიების გაიდლაინები დაცული ტერიტორიებისთვის: კონსერვაციისა და განვითარებისთვის მდგრადი შემოსავლების გენერირება. მოხსენება ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის სამდივნოს და IUCN-ს. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.cbd.int/tourism/doc/tourism-partnerships-protected-areas-web.pdf>

- მსოფლიო ბანკი, 2016. შესავალი ტურიზმის კონცესიისთვის: წარმატებული პროგრამების 14 მახასიათებელი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://documents.worldbank.org/curated/en/459431467995814879/pdf/105316-WP-PUBLIC-Tourism-Toolkit-19-4-16.pdf>

6 დასკვნები და რეკომენდაციები

ფინანსური შესაძლებლობების წინამდებარე ანალიზი ასახავს არსებული და ახალი ფინანსური ინსტრუმენტების პოტენციალის კვლევის შედეგებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს დაცული ტერიტორიების შემოსავლების მდგრად გენერირებას. მასში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ადგილობრივ - ძირითადად არატურისტულ რესურსებზე.

ანალიზის შედეგებით ფართო ხასიათის მეშვეობით შესაძლებელი გახდა იდეების ყოველმხრივი განხილვა და სამომავლო მოქმედებათა პრიორიტეტების განსაზღვრა. თავდაპირველი გრძელი ნუსხა, რომელშიც არსებული და ახალი ფინანსური ინსტრუმენტების 34 ვარიანტი იყო ჩართული, გადარჩევისა და პრიორიტეტების დადგენის შემდეგ, 11-მდე შემცირდა, რომლებიც დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის უფრო მაღალი პოტენციალის მქონე ვარიანტებად იქნა მიჩნეული. ესენია:

1. მეგობართა ასოციაციების (FAs) წვლილის გაძლიერება;
2. კინო- და ფოტოგადაღების გადასახადის დაწესება;
3. სატრანსპორტო საშუალებათა შესვლის გადასახადის დაწესება;
4. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილის და სპონსორობის გაზრდა;
5. რეკლამის შესაძლებლობათა გაყიდვის შემოღება;
6. ფონდების მოსაზიდად კონკურსების გამოიყენება სპონსორთა მიერ უზრუნველყოფილი პრიზებით;
7. სამოვრის გადასახადის გაზრდა;

8. მიწისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის გადასახადები (ტყითსარგებლობის კომპენსაცია);
9. თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ტურიზმის მოსაკრებლის შემოღება;
10. კემპინგის და პიკნიკის ადგილების განვითარებისა და ოპერირების კონცესიები თუშეთის დაცულ ლანდშაფტში;
11. ჯომარდობის (რაფტინგის) და კაიაკინგის კონცესიები თუშეთის დაცულ ლანდშაფტში.

ამ ვარიანტების შეფასებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის შემდეგ, მოცემული მომენტისთვის შერჩეულ იქნა შემდეგი მიმართულებები:

1. მეგობართა ასოციაციების (FAs) წვლილის გაძლიერება;
2. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილის და სპონსორობის გაზრდა;
3. რეკლამის შესაძლებლობათა გაყიდვის შემოღება;
4. თუშეთის დაცულ ლანდშაფტში ტურიზმის მოსაკრებლის შემოღება;
5. კემპინგის და პიკნიკის ადგილების განვითარებისა და ოპერირების კონცესიები თუშეთის დაცულ ლანდშაფტში.

უზრუნველყოფილ იქნა აღწერილობითი სქემები თითოეული პრიორიტეტისთვის, სამომავლო ნაბიჯების, პილოტირების ვარიანტებისა და სხვა მოქმედებათა ჩათვლით, რომლებიც განხორციელებისთვის მოსამზადებლად არის რეკომენდებული. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემოსავლების გენერირების უნარის მქონე პრიორიტეტული ფინანსური ინსტრუმენტების საპილოტე დანერგვის ინვესტირებისთვის.

შესაძლებლობათა საერთო ანალიზი და მასში მოცემული იდეები გამოყენებულ უნდა იქნეს და, საჭიროების შემთხვევაში, მომავალში უნდა განახლდეს, როგორც ფიქრის, განვითარებისა და ხელშეწყობის მიმდინარე პროცესის რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში დაცული ტერიტორიების მდგრადი დაფინანსების განვითარებას. ანალიზი ასევე შეიძლება სასარგებლო იქნეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს და სხვა ორგანიზაციათა ძალისხმევის დემონსტრირებისთვის, რომელსაც ისინი საკუთარი შემოსავლების გაძლიერების მიზნით ეწევიან, სხვა პროექტებთან ერთად, ტურიზმიდან შემოსავლების მიღების განხორციელებადობის შესწავლის ჩათვლით, რომელიც კონკრეტული დაცული ტერიტორიებისთვის ჩატარდა. მეტი თვითკმარობის მისაღწევად, ასეთი სახის ძალისხმევის გაწევა სასარგებლოა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გრანტებიდან ასიგნებების გამოყოფის მოტივაციისთვის.

7 გამოყენებული ლიტერატურა

ადეიშვილი, მ. 2016. აჭარის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემის სერვისის ღირებულებები და სარგებლები და მიზნობრივ დაცულ ტერიტორიებზე და ადგილობრივ თემებში მდგრადი შემოსავლების გენერირების შესაძლებლობები. მოხსენება მომზადებულია GEF-ისა and UNDP-სთვის, საქართველო.

Conservation Finance Alliance (CFA). 2009. The Conservation Finance Alliance - დაცული ტერიტორიების ბიზნესის დაგეგმვა. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.conservationfinancealliance.org/conservation-finance-guide>

Emerton, L., Bishop, J. & Thomas, L. 2006. დაცული ტერიტორიების მდგრადი დაფინანსება: გამოწვევათა და შესაძლებლობათა გლობალური მიმოხილვა. IUCN, გლანდი, შვეიცარია და კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო.

Flores, M., G. Rivero, F. León, G. Chan, et al. 2008. დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემების ფინანსური დაგეგმვა: გაიდლაინები და ადრეული გაკვეთილები. Arlington, VA: TNC.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გაეროს განვითარების პროგრამა (MoEP/UNDP). 2018. ბიომრავალფეროვნების დაფინანსების ინიციატივა - საქართველო: ბიომრავალფეროვნების დაფინანსების გეგმა. საბოლოო მოხსენება, მომზადებულია თორნიკე ფულარიანი, ლევან ინაშვილის, დიმიტრი პაპაშვილის, გიგლა რამიშვილის და ჰუგო ფონ ზილის მიერ. თბილისი, საქართველო.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ევროპის კავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა (MoEP/EU/UNDP). 2016. საქართველოში საძოვრების მართვის პოლიტიკის გაძლიერება: ხარვეზების ანალიზი, კარგი საერთაშორისო პრაქტიკა და შეთავაზებული საგზაო რუკა.

PMO Business Consulting (PMO). 2018. შემოსავლების გენერირების პროექტების განხორციელებადობის კვლევა მაჭახელასა და მტირალას ეროვნულ პარკებში, მომხსენება მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის. PMO, თბილისი.

Ruzzier, M., Žujo, J., Marinšek, M. and Samo Sosič, S. 2010. დაცული ტერიტორიების ბიზნეს გეგმების მომზადების გაიდლაინები. NATREG-ის პროექტის მოხსენება, დაფინანსებული იყო სამხრეთ აღმოსავლეთი ევროპის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის პროგრამის მიერ.

Spenceley, A., Snyman, S. & Eagles, P. 2017. ტურიზმის სფეროში პარტნიორობისა და კონცესიების გაიდლაინები დაცული ტერიტორიებისთვის: კონსერვაციისა და განვითარებისთვის მდგრადი შემოსავლების გენერირება. მოხსენება ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის სამდივნოს და IUCN-ს. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.cbd.int/tourism/doc/tourism-partnerships-protected-areas-web.pdf>

SANParks. 2019. SANParks Annual Report for 2018/19. SANParks, Pretoria. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://www.sanparks.org/assets/docs/general/annual-report-2019.pdf>

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). 2014. ტურიზმის კონცესიები დაცული ბუნების ტერიტორიებზე: გაიდლაინები მენეჯერებისთვის. ავტორები: Thompson, A., Massyn, P.J., Pendry, J., Pastorelli, J. გაეროს განვითარების პროგრამა. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.undp.org/content/undp/en/home/librarypage/environment-energy/ecosystems_and_biodiversity/tourism-concessions-in-protected-natural-areas

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP). 2016. დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემის ბიუჯეტისა და დაფინანსების გაუმჯობესების სახელმძღვანელო. ჩილეს, გვატემალას და პერუს მაგალითები, 2012 წლის ივლისი - 2014 წლის აპრილი. ავტორები: Flores, M., და Bovarnick, A. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

<https://www.latinamerica.undp.org/content/rblac/en/home/library/poverty/guide-to-improving-the-budget-and-funding-of-national-protected.html>.

მსოფლიო ბანკი. 2016. შესავალი ტურიზმის კონცესიისთვის: წარმატებული პროგრამების 14 მახასიათებელი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://documents.worldbank.org/curated/en/459431467995814879/pdf/105316-WP-PUBLIC-Tourism-Toolkit-19-4-16.pdf>

მსოფლიო ბანკი. 2020. სამხრეთი კავკასია: სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო: კერძო საწარმოები სატყეო სექტორში - ხე-ტყის წარმოებისა და დამუშავების კვლევა კერძო სექტორში. © World Bank.

დანართი 2: დაცული ტერიტორიების სააგენტოს დეტალური შემოსავალი ტურიზმიდან თითოეული პუნქტის მიხედვით

შემოსავლის კატეგორიები და სახეები	2015	2016	2017	2018	2019	ჯამი	%
შესვლის საფასური	1,086,150.0	1,861,769.5	3,124,760.5	6,034,773.2	8,117,732.4	20,225,185.6	
ბილეთის საფასური	1,086,150.0	1,855,129.5	2,898,929.5	4,990,470.2	6,996,249.4	17,826,929	69.57
კომბო ბილეთის საფასური	-	-	7,900.0	258,750.0	-	266,650	1.04
შესვლის საფასური	-	6,640.0	217,931.0	785,553.0	1,121,483.0	2,131,607	8.32
საცხოვრებელი ფართის ქირაობა	49,716.0	89,626.2	82,990.0	103,252.3	132,485.0	458,069.5	
ტურისტული თავმჯდომარეობით სარგებლობა	14,484.0	26,150.0	25,475.0	48,512.0	60,485.0	175,106	0.68
სასტუმროთი სარგებლობა	19,362.0	46,366.2	37,955.0	30,136.3	42,570.0	176,390	0.69
ბუნებრივ სარგებლობა	15,870.0	17,110.0	19,560.0	24,604.0	29,430.0	106,574	0.42
საკარვე ადგილის ქირაობა	27,363.0	34,661.0	44,615.0	48,430.0	54,000.0	209,069	0.82
საპიკნიკე ადგილის ქირაობა	2,115.0	3,910.0	3,915.0	5,097.7	6,637.1	21,675	0.08
ტურები	211,548.0	90,364.8	869,269.9	1,418,848.4	748,187.1	3,338,218.2	
სანაოსნო ბილეთის საფასური	191,954.0	62,720.0	833,519.0	1,364,788.8	662,277.1	3,115,259	12.16
სავაი ტური	-	335.0	-	-	615.0	950	0.00
ტური კატერი	4,130.0	9,630.0	12,654.9	19,015.1	43,180.0	88,610	0.35
კაიკით გასეირნება	340.0	885.0	2,140.0	2,697.0	10,805.0	16,867	0.07
ტური პანტონით	15,124.0	16,794.8	20,956.0	31,847.5	31,160.0	115,882	0.46
დაივინგი	-	-	-	500.0	150.0	650	0.00
სმორტულ-სამოყვარულო თევზაობა	12,685.0	10,041.0	12,261.0	10,850.0	10,530.0	56,367	0.22
ცხენით სარგებლობა	10,785.0	11,855.0	7,150.0	10,930.0	14,850.0	55,570	0.22
ზიპ-ლაინით მომსახურება	4,290.0	7,200.0	10,350.0	15,179.0	10,045.0	47,064	0.18
სათავგადასავლო პარკით მომსახურება	-	-	-	-	20,930.0	20,930	0.08
საკომფერტული დარბაზის ქირაობა	1,031.6	7,227.6	10,111.0	10,467.0	4,724.8	33,562	0.13
სამოქალაქო კორწინების გაფორმების ცერემონიალი	100.0	600.0	600.0	900.0	500.0	2,700	0.01
VIP მომსახურება	3,100.0	3,200.0	4,600.0	6,300.0	2,100.0	19,300	0.08
ინვენტარის ქირაობა	7,673.5	10,103.5	14,085.0	18,730.0	17,953.0	68,545.0	
საძილე ტომარის ქირაობა	2,333.0	3,110.0	3,150.0	5,580.0	6,320.0	20,493	0.08
პარალონის ქირაობა	448.0	1,179.0	1,503.0	2,997.0	2,973.0	9,100	0.04
კარვის ქირაობა	1,377.0	1,645.0	1,950.0	3,160.0	2,000.0	10,132	0.04
ზურგჩანთის ქირაობა	50.0	40.0	45.0	95.0	30.0	260	0.00
საპიკნიკე მაგიდის ქირაობა	-	-	3,330.0	3,405.0	3,600.0	10,335	0.04
ველოსიპედის ქირაობა	2,275.0	350.0	1,960.0	2,065.0	1,525.0	8,175	0.03
ანკესის ქირაობა	5.0	-	-	-	-	5	0.00
შემნახველი საკით სარგებლობა	371.0	745.0	823.0	1,046.0	325.0	3,310	0.01
თოვლის ფენსაცემლის ქირაობა	345.0	445.0	595.0	160.0	550.0	2,095	0.01
ჭაობის თხილამურების ქირაობა	42.0	54.0	94.0	52.0	140.0	382	0.00
ჭოგრეტის ქირაობა	61.0	68.0	360.0	170.0	410.0	1,069	0.00
ნიჩბიანი ნავის ქირაობა	-	160.0	-	-	80.0	240	0.00
ფოტოგადაღება	191.5	2,106.5	275.0	-	-	2,573	0.01
აუდიო გიდი	175.0	201.0	-	-	-	376	0.00
სუვენირების რეალიზაცია	8,783.0	13,252.0	17,445.7	19,562.0	16,357.0	75,399.7	
როუკის შეძენა	7,476.0	10,940.0	14,196.0	16,773.0	14,427.0	63,812	0.25
ბროზის შეძენა	146.0	1,721.0	1,496.0	1,487.0	1,312.0	6,162	0.02
მაისურის შეძენა	840.0	516.0	315.0	276.0	12.0	1,959	0.01
სუვენირების შეძენა	189.0	18.0	1,330.7	60.0	-	1,598	0.01
ალბომის შეძენა	-	-	60.0	810.0	600.0	1,470	0.01
კალმისტოს შეძენა	132.0	57.0	48.0	156.0	6.0	399	0.00
სხვა დანარჩენი შემოსავლები	134,903.0	143,038.5	173,564.0	518,242.2	24,469.0	994,217	3.88
ჯამი	1,560,243	2,286,849	4,375,717	8,221,562	9,181,500	25,625,871	100.00

დანართი 3: ტურიზმის დამატებითი აქტივობები და შემოსავლის ვარიანტები

არსებული შესაძლებლობების გარდა არსებობს დამატებითი პოტენციური მსოფლიოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიებზე და მათი გათვალისწინება კარგი იქნება:

შესაძლებლობა	აღწერა / შენიშვნა, ეკოლოგიური რისკი
ეკო-სახლები	გლობალური მასშტაბით ფართოდ არის გავრცელებული კერძო სექტორის კონცესიების გაყიდვა დაცული ტერიტორიების ფრთხილად შერჩეულ უბნებზე, ზოგადად დაბალი დონის ზემოქმედების მქონე პატარა სახლებისთვის. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე უკვე არის რამდენიმე ასეთი პატარა სახლი, მაგრამ არის მათი არეალის გაფართოების პოტენციალი. ზოგადად, თუ კერძო სექტორი კონცესიას გააფორმებს რეპუტაციის მქონე კონცესიონერთან, უნდა არსებობდეს დაბალი ფინანსური რისკი. მისაწვდომობასთან და ფუნქციონირების წესებთან ერთად მნიშვნელოვანია დგილის შერჩევა.
ხის კენწეროების ტური / ხის კენწეროების ბილიკი	პატარა "ზიპ-ლაინების", თოკების ხიდების, კაბელების და სხვა საშუალებათა გამოყენება ხის კენწეროებზე გადაადგილებისთვის ისეთ უბნებზე, სადაც არის მაღალი ხეები. ეს შეიძლება იყოს პოპულარულიც და შემეცნებითიც, განსაკუთრებით - ბავშვებისთვის. ერთ-ერთი იგეგმება ლაგოდეხისთვის.
მთის ველობილიკები და ტურები	ეს ჩვეულებრივ მოიცავს დაცულ ტერიტორიებზე მთის ბაიკერების მოძრაობის წახალისებას და მათგან შესვლის საერთო საფასურის აღებას. თუ აგებულია სპეციალური მარშრუტები და უზრუნველყოფილია საყოფაცხოვრებო სერვისები, მაშინ უფრო მაღალი გადასახადის დაწესება შეიძლება. შესაძლებელია კონფლიქტი ფეხითმოსიარულეებთან, რომლებიც იმავე ბილიკებზე მოძრაობენ.
კლდეზე ცოცვა და თოკით დაშვება	საჭიროა უზანი კარგი ვერტიკალური კლდით და, ალბათ, ჩანცქერი თოკით დაშვებისთვის, რათა რაღაც განსაკუთრებული იქნეს შეთავაზებული. არსებობს გარკვეული რისკები გარემოს მიმართ, თუმცა მათი თავიდან აცილება შესაძლებელია ადგილის ყურადღებით შერჩევით.
პარაპლანები და დელტაპლანები	აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამინდის პირობები, ეს არ არის ატრაქციონი, რომელიც ყოველდღე შეიძლება ფუნქციონირებდეს. სეზონი არის ძირითადად აპრილიდან ოქტომბრამდე. FlyCaucasus-ს აქვს ტურები თბილისში, გუდაურში, ვარძიანში და კახეთში.
საჰაერო ბურთით მოგზაურობა	FlyCaucasus-ს აქვს ტურები თბილისსა და კახეთში. ესეც ზოგადად მგრძნობიარეა ამინდის პირობების მიმართ.
ჰელი-სკი	ჰელი-სკი ოპერატორი ფუნქციონირებს გუდაურსა და სვანეთში. შეიძლება ეს იყოს ვარიანტი, რომელიც დაცული ტერიტორიის სააგენტოს ფარგლებში განხორციელდება გარკვეული საფასურის გადახდის შემთხვევაში, ან როგორც კონცესიის ნაწილი. იგი მოითხოვს დეტალურ შეფასებას და განხილვას გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით, განსაკუთრებით, ცხოველთა შეწუხების კუთხით.
სეგვეის ტურები	იგი შეიძლება პოპულარული იქნეს, როგორც ადგილის დათვალიერების საინტერესო მეთოდი, იმ პირობით, რომ რელიეფი განსაკუთრებით რთული არ იქნება, თუმცა თქვენ გაქვთ 4X4-სტილის სეგვეი. ზოგჯერ ექსკურსიისთვის საუკეთესო ვარიანტი შეიძლება იყოს მთლის ელექტრო ველოსიპედების გამოყენება.

კვადროციკლების ან მოტოციკლების ტურები	შეიძლება პოპულარული იქნეს ზოგიერთი ვიზიტორისთვის, ზოგი კი მისი კატეგორიული წინააღმდეგი იქნება, ამიტომ აქ მომეტებული რისკი არსებობს. უფრო მაღალია უბედური შემთხვევების ალბათობა, რომლის გარკვეულწილად შემცირება შესაძლებელია მოდიფიცირებული მოტოციკლებით, რომლებიც უხიფათო სიჩქარეს ინარჩუნებენ. გარემოს მიმართ ზიანის მიყენებისა და სხვა ვიზიტორთა შეწუხების ალბათობა შედარებით მაღალია. მოითხოვს ძალიან ფრთხილ მართვას.
ბანგი-ჯამფი	საჭიროა ხიდი ან რაღაცა მისი მსგავსი. შეიძლება ასევე 'ხიდურის' გამოყენება.
საბაგირო ან ფუნქციური	უკვე არის შეთავაზება მაჭახელასთვის. არის ძვირადღირებული და ფინანსურად სარისკო, ამიტომ უმჯობესია კერძო კონცესია. სირთულე შეიძლება დაკავშირებული იყოს საინჟინრო სამუშაოებთან და ვიზუალურ ეფექტებთან.
სპეციალური პანორამული პლატფორმები	მაგალითად, მაჭახელასთვის უკვე შეთავაზებული 'ობობას ქსელი' არის ტურის ელემენტი, რომელიც მოიცავს ბილიკებს, ჩანჩქერის ნაწილის გავლას კიბეებით, ნაწილობრივ კლდეზე ცოცვას და შემდეგ სრულდება 'ობობას ქსელით'. ობობას ქსელთან ერთად შეიძლება სხვა პანორამულ პლატფორმები იქნეს მოფიქრებული, როგორც არის შუშის ოთახი 'ნაბიჯი სიცარიელეში', რომელსაც შუშის იატაკი აქვს (შამონი, საფრანგეთი). როგორც წესი, ისინი განლაგებულია შთამბეჭქდავ და სენსიტიურ უბნებზე, ამიტონ ასეთი ადგილებისადმი სიფრთხილე არის საჭირო.
ეთნო- და ეკო-სოფლები	შეიძლება იყოს კულტურული ასპექტის მქონე ატრაქციონი. ფინანსური გაკოტრების შედარებით მაღალი რისკი, როცა მის შექმნას სახელმწიფო ცდილობდა. ასე რომ, უმჯობესია თუ მსი მიმართ ინტერესს გამოიჩენს კერძო კონცესიონერი და რისკის დიდ ნაწილს თავის თავზე აიღებს. ან ეს შეიძლება იყოს თემის პატარა ინიციატივა.
ტუბინგი (მდინარეებზე)	შესაძლოა ეს უკვე არსებობს დაცულ ტერიტორიებზე, მაგრამ ჩართულია კაიაკის ტურის კატეგორიაში.
ნიშის ტურები	ამის მაგალითი შეიძლება იყოს ფრინველების ან ამფიბიების სპეციალიზირებული ტურები. შემოსავლების დამატებითი ნაკადები აუცილებელი არ არის, რადგან ტურში მონაწილეები მხოლოდ შესვლის საფასურს იხდიან, თუ მათ არ უზრუნველყოფენ დახურულ ზონებზე ხელმისაწვდომობით, რომლებიც ჩვეულებრივ საზოგადოებისთვის დახურულია.
ველური ბუნების დათვალიერების სპეციალური შესაძლებლობები	მაგალითად, 'სვავების რესტორნები', სადაც სვავებს საკვებს აძლევენ, ხოლო ტურისტებს შეუძლიათ მათ მიუახლოვდნენ სანამ ისინი იკვებებიან. ამისთვის შეიძლება პოტენციური ადგილი იქნეს ვაშლოვანი. იგი ფრთხილად უნდა იმართოს, რათა ფრინველს არ გაუჩნდეს ხელოვნური დამოკიდებულება საკვების მოლოდინის მიმართ.

დანართი 4: ფინანსური ინსტრუმენტების გრძელი ჩამონათვალი და ქულები პოტენციური პრიორიტეტების იდენტიფიცირებისთვის

#	ფინანსური ინსტრუმენტი	აღწერა, მსჯელობა და შენიშვნები ინსტრუმენტის შეფასებისა და სკრინინგის წარმართვისთვის	საერთო ქულა 10-დან	დეტალურად შესაფასებელი პოტენციური ინსტრუმენტი (ქულა 6-ზე მეტი)
არსებული ინსტრუმენტები რომლებიც უფრო მიმართულია არატურისტულ ინსტრუმენტებზე				
1	შესვლის გადასახადი	დღეისათვის შესვლის გადასახადი დაწესებულია პრომეთეს მღვიმეში, სათაფლიაში, მარტვილში, ოკაცეში, ნავენახეში და ვაშლოვანში. სხვა დაცულ ტერიტორიებზე შესვლის გადასახადი შეიძლება გათვალისწინებული იქნეს იმ პირობით, რომ მოსაკრებელი იქნება გონივრული შესაძლო შემოსავალთან შედარებით, რაც ვიზიტორთა რაოდენობაზე არის დამოკიდებული. გადასახადის რაოდენობა დღეისათვის არ არის განსაკუთრებით მაღალი ან დაბალი - შესაძლებელია იგი ნაკლებია უცხოელებისთვის (4-6 აშშ დოლარი) ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით (2-3 დოლარი).	5.4	არ არის პრიორიტეტი
2	დონორთა ფონდები	უკვე არის დიდი მრავალწლიანი დაფინანსება დონორებისაგან, როგორებიცაა CNF, KfW. გაზრდილი შემოსავლების პოტენციალი უნდა მოვიდეს არსებული დონორებისგან ან უნდა მოიძებნოს ახალი დონორები.	5.5	არ არის პრიორიტეტი
3	პირდაპირი შემოწირულობები კომპანიებისა და ინდივიდუალური პირებისგან	შეთანხმების მაგალითია ნავთობის კომპანია, რომელმაც გასამართ სადგურებზე სარეკლამო ადგილები გამოუყო დაცული ტერიტორიების სააგენტოს. შემოსავლის ამ წყაროს შეიძლება ჰქონდეს ზრდის პოტენციალი, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი განხორციელდება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების ფარგლებში (იხ. ცალკე ინსტრუმენტი), ხშირად - არაპირდაპირად, არასამთავრობო ორგანიზაციების ან სხვა ფონდების მეშვეობით, როგორიცაა კავკასიის ბუნების ფონდი (CNF).	5.5	არ არის პრიორიტეტი
4	შემოწირულობები დაცულ ტერიტორიებზე არსებული 'შემოწირულობათა ყუთების' მეშვეობით	დაბალი შემოსავლები (<500 ლარი) შემოწირულობების ყუთებიდან ბორჯომის, ლაგოდეხის, მტირალას და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. შემოწირულობები ძირითადად არის მცირე და	4.1	არ არის პრიორიტეტი

		ინდივიდუალური ტურისტებისგან. ონლაინში მეტი შემოწირულობის მიღების შესახებ იხ. ქვემოთ, ცალკე ინსტრუმენტი.		
5	მერქნის/შემოს ბილეთები	დაცული ტერიტორიების სააგენტოში შედის მომსახურების გადასახადები, მაგრამ ეს შემოსავალი სტაბილური არ არის (მაქს. 58,000 ლარი). მერქნის საფასური ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში შედის. ტყის ინვენტარიზაციის გამოყენებით უფრო ხანგრძლივი ვადით შეიძლება წინასწარ იქნეს დაგეგმილი. მოსალოდნელია სირთულეები, რადგან ნებისმიერ ცვლილებას ტყის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობა და თანხმობა სჭირდება, რომელიც მწმუნელოვანი რეფორმების წინაშე დგას სატყეო სექტორთან ერთად (იხ. „მსოფლიო ბანკი 2020“). საჭიროა სიფრთხილე, რათა ხე-ტყის დამზადებით შემოსავლების ზრდისკენ სწრაფვით არ მოხდეს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხე-ტყის ჭრა.	4.7	არ არის პრიორიტეტი
6	ზიანის კომპენსაციის გადასახადი (ტყითსარგებლობის კომპენსაცია)	ზიანი კომპენსაციის გადასახადი (ტყითსარგებლობის კომპენსაციის გადასახადი) არის მნიშვნელოვანი გადასახადი დაცული ტერიტორიის მიწაზე გარკვეული აქტივობების კომპენსაციისთვის, რომლებიც ეკოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს. მაგალითად, თუ ახალმა ნავთობსადენმა ან გაზსადენმა დაცულ ტერიტორიაზე უნდა გაიაროს, რომლის დროსაც საჭირო იქნება ხეების მოჭრა და თხრილების ამოთხრა, მაშინ დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადაუხდინან კომპენსაციის გადასახადს დაზიანებული უბნების აღდგენისთვის, რომლებიც მხოლოდ სატყეო უბნებს არ წარმოადგენს. გადასახადი რეგულირდება 2016 წლიდან და ეხება ყველა მიწას, და არა მხოლოდ დაცულ ტერიტორიებს. ზიანისთვის დაწესებული თანხები ტყისთვის ჩვეულებრივ ადეკვატურად არის მიჩნეული, რადგან ამ ჰაბიტატისთვის უფრო მეტი კვლევა არის ჩატარებული, რომლებიც კარგ შეფასებას იძლევა. თუმცა სხვა ჰაბიტატებისა და შემთხვევებისთვის მათ შესაფერად არ მიიჩნევენ. მაგალითად, ნიადაგისთვის დაწესებული კომპენსაცია ადეკვატურად არ მიაჩნიათ, რადგან იგი ეფუძნება საგადასახადო კოდექსში მიწის გადასახდზე მითითებულ თანხებს, რომელიც შეადგენს 36 თეთრს 1 კვ.მეტრზე, ყოველგვარი მკაფიო სამეცნიერო საფუძვლის გარეშე. რაც შეეხება მდგრადი შემოსავლების გენერირებას, გადასახადები დროებით ხასიათს ატარებს და დამოკიდებულია ზიანის გამომწვევი პროექტების არსებობაზე და ზიანის მასშტაბებზე. გარდა ამისა, ზიანისთვის მიღებული თანხა	6.0	პოტენციური პრიორიტეტი

		კონკრეტულად აღდგენაზე უნდა დაიხარჯოს, ამიტომ იგი საერთო შემოსავალი არ არის. ზიანის გადასახადები ყველა სახის ზიანის კომპენსაციის შესახებ კანონის რეფორმაზე არის დაკავშირებული, რომელიც ნამდვილად არის საჭირო და ამჟამად ეს პროცესი მიმდინარეობს, როგორც ეს მითითებულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების ფინანსურ გეგმაში (BIOFIN). თუმცა დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეფორმის პროცესის მართვის უფლებამოსილება რეალურად არ აქვს, მაგრამ შეუძლია ჰქონდეს მასში წვლილის შეტანის საშუალება.		
7	იჯარა (არატურისტული)	ძირითადი მაგალითი არის იჯარის ფორმა, რომელსაც იყენებენ მობილური ტელეფონების ქსელების ოპერატორები დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიწაზე კომპიუტერების დასაყენებლად.	4.9	არ არის პრიორიტეტი
8	სამოვრების გადასახადი	სამოვრების იჯარის გადასახადს დაცული ტერიტორიების სააგენტო ადგენს, დამოუკიდებელი აუდიტორების შეფასებაზე დაყრდნობით, თუმცა, შესაძლებელია უფრო დაბალი გადასახადების დაწესება სამოვრების მართვის უფრო მკაცრი პირობების უზრუნველსაყოფად (MoEP/UNDP 2016). სამოვრების მართვის შეფასებები და გეგმები გაკეთდა ვაშლოვანის, ჭაჭუნას, ბორჯომი-ხარაგაულის და ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისთვის. დაცული ტერიტორიების სააგენტო ძირითადად კმაყოფილია გადასახადის ოდენობით და გადასახადის დონის დადგენით, რომელიც 1 ჰექტარზე წლიურად 15-20 ლარის ფარგლებში მერყეობს. საყურადღებოა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, დაცულ ტერიტორიაზე შერჩევითი მოვებისთვის, გადასახადს არ იღებენ, რადგან ისინი, მოვების უფლებას განიხილავენ სარგებლის ფორმად ახლომდებარე დასახლებების მოსახლეობასთან ერთობლივად, და არა როგორც შემოსავლის წყაროს.	6.0	პოტენციური პრიორიტეტი
9	საკონფერენციო დარბაზის გადასახადი	შემოსავლები არის ბორჯომიდან, ლაგოდეხიდან, მტირალადან, თუშეთიდან, ვაშლოვანიდან, კოლხეთიდან და ქობულეთიდან. საკონფერენციო დარბაზის დაქირავების საფასური დღეში 100-დან 160 ლარამდე მერყეობს, ადგილისა და დარბაზის ზომის შესაბამისად. საფასური საკმაოდ მოკრძალებულია. შეიძლება ვარიანტი იყოს კომპანიების მიზიდვის თვალსაზრისით, რომლებსაც დიდი კეთილმოწყობილი საკონფერენციო დარბაზების დაქირავება სურთ .	4.2	არ არის პრიორიტეტი

10	ქორწინების ხელმოწერის ცერემონიების გადასახადი	დაბალი შემოსავალი (~1,000ლარი/წ) ოკაცედან, სათაფლიდან, კინჩხიდან, და პრომეთეს მღვიმიდან, სადაც გადასახადი არის 100 ლარი/ხელმოწერა. როგორც ჩანს, ასეთი ღონისძიებებიდან შემოსავლების გაზრდის მეტი შესაძლებლობები არის, კერძოდ, ქორწილებიდან, მუსიკალური კონცერტებიდან, და ა.შ. (იხ. ქვემო ცალკე ინსტრუმენტი, რომელიც უშუალოდ ამ საკითხს ეხება).	3.8	არ არის პრიორიტეტი
11	მეგობართა ასოციაციები (FAs)	<p>მეგობართა ასოციაციები, დაცული ტერიტორიების მხარდასაჭერად, მრავალ ღონისძიებაში არიან ჩართული და ხშირად მწვენილოვან როლს ასრულებენ დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობასა და ახლომდებარე თემებს შორის ურთიერთობათა განმტკიცებაში. საქართველოში მეგობართა ასოციაციებს იცნობენ. ისინი პირველად 2009 წელს შეიქმნა IUCN-ის გრანტის მეშვეობით ვაშლოვანის, ლაგოდეხის და თუშეთის დაცული ტერიტორიებისთვის. მას შემდეგ კიდევ ექვსი ასოციაცია შეიქმნა (მტირალა/მაჭახელა, კოლხეთი, ალგეთი, ყაზბეგი, კინტრიში და ფშვ-ხევსურეთი), ძირითადად KfW-ის მიერ დაფინანსებული SPPA პროგრამის დახმარებით. ფინანსური მდგრადობა ის სფეროა, სადაც მეგობართა ასოციაციებმა ჯერჯერობით საგულისხმო წარმატებას ვერ მიაღწიეს, და რომელიც დონორებს შორის შემფოთებას იწვევს, რომლებსაც სურთ მათი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა დონორთა ფინანსური დახმარების შეწყვეტის შემდეგ. ფინანსური მდგრადობისთვის მეტი ყურადღების მიქცევის აუცილებლობას ასევე აღიარებს მეგობართა ასოციაციებისთვის ახლახან შექმნილი სათავო ორგანიზაცია, რომელიც სახსრების შეგროვებას აპირებს როგორც საკუთარი, ისე მისი წევრი მეგობართა ასოციაციების საქმიანობისთვის.</p> <p>მეგობართა ასოციაციების შემდგომი განვითარება უნდა მოიცავდეს გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის ასპექტს, რომლის დროსაც შემოსავლების გაზრდის პოტენციალი არსებობს.</p> <p>მეგობართა თითოეული ასოციაციის შემოსავლების კონკრეტული წყაროები განსხვავებული იქნება და ისინი უნდა შეესაბამებოდეს მათ გარემოებებს, მათ მიერ მხარდაჭერილი დაცული ტერიტორიის ბუნებას და მეგობართა ასოციაციის წევრების ინტერესებსა და მოტივაციას. თუმცა, თუ ისინი სხვა ქვეყნების მეგობართა ასოციაციების მსგავსად უნდა განვითარდეს, მაშინ მეგობართა ასოციაციის მთლიანი შემოსავლების უდიდესი ნაწილის ფორმირება უნდა მოხდეს საწევრო შენატანების (ნაღდი ფულადი სახსრებით ან ნატურით) და</p>	7.3	პოტენციური პრიორიტეტი

		შემოწირულობებზე ორიენტირებული ფონდების მოზიდვის საქმიანობის მეშვეობით.		
12	ჯარიმები და საურავები	კონცესიონერებისა და მოიჯარეებისაგან ჯარიმის სახით მიღებული შემოსავალი წელიწადში 4542 ლარს შეადგენს, რომელიც ცენტრალურ ბიუჯეტს გადაეცემა. ჩვეულებრივ, ჯარიმები და საურავები, მართვის აუცილებელი ღონისძიებაა, ხოლო მათგან მიღებული შემოსავალი მათი ადმინისტრირების ხარჯებს ფარავს. მთლად ნათელი არ არის, რომ მთ დიდი პოტენციალი ჰქონდეთ, როგორც შემოსავლის მიღების ინსტრუმენტს.	4.8	არ არის პრიორიტეტი

არატურისტულ ინსტრუმენტებზე ფოკუსირების პოტენციალის მქონე ახალი ინსტრუმენტები

13	კინო- და ფოტოგადაღების გადასახადი	ეს გადასახადი შეძლება დაწესდეს კინო- და ფოტოგადაღების ჯგუფებისთვის, რომლებსაც გადაღებებისთვის დაცული ტერიტორიის გამოყენება სურთ და იგი შეიძლება შემოსავლის საკმაოდ სერიოზული წყარო გახდეს. ასეთი გადასახადები დაწესებული აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, აფრიკის საფარის ქვეყნებში და სხვაგან. გადასახადის სტრუქტურა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ქვეყნების უმრავლესობას ცალკე გადასახადი აქვს დაწესებული (ზოგ ქვეყანაში იგი ერიცხება კინემატოგრაფიის კომისიას ან მსგავს ორგანიზაციას, ხოლო ზოგან - დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას), ასევე, კინოგადაღების ყოველდღიური გადასახადი, რომელიც დაცული ტერიტორიის მართვის ორგანოს ერიცხება. გადასახადის დაწესება ხდება გადამღები ჯგუფის წევრთა რაოდენობის და კონკრეტული ჯგუფის ზომის მიხედვით. ზოგ ქვეყანაში არის გარკვეული სხვაობა ყველაზე მაღალ გადასახდსა (კომერციული გადაღებისთვის) და ყველაზე დაბალ გადასახადს (არაკომერციული გადაღებისთვის) შორის. ზოგ ქვეყანაში გადასახადის განსხვავებული განაკვეთი არსებობს უცხოელი და ადგილობრივი მომხმარებლისთვის. გადასახადების რაოდენობა ძალიან ცვალებადია, მაგალითად, სამხრეთ აფრიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადგილის გამოყენების გადასახადთან ერთად, დაწესებულია ყოველდღიური გადასახადი კომერციული გადაღებისთვის, რომელიც გადამღები ჯგუფის ზომით განისაზღვრება და მისი ოდენობა შეიძლება იყოს 200-300 აშშ დოლარი 10-20-კაციანი საშუალო ზომის ჯგუფისთვის, ხოლო კანადასა და ავსტრალიაში გადასახადის ოდენობამ შეიძლება 500 აშშ დოლარსაც მიაღწიოს. საჭიროების შემთხვევაში, გადასახადების დაწესებისას	6.7	პოტენციური პრიორიტეტი
----	-----------------------------------	---	-----	-----------------------

		<p>ნიშნულზედ გამოყენებისთვის, სავსებით ხელმისაწვდომია უფრო დეტალური ინფორმაცია გადასახადების სტრუქტურისა და რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში.</p> <p>საქართველოს კინემატოგრაფიის კომისია აქტიურად ეწევა საქართველოს, როგორც გადაღებების ადგილის, რეკლამირებას. იგი სთავაზობს უხვ სტიმულებს (მაგ., 25% ფულადი სახსრების დაბრუნება გადაღების პროექტებიდან) და ხაზგასმით მიუთითებს საქართველოს უპირატესობებზე, როგორც გადაღების ადგილზე, მათ შორის, მიუთითებს, რომ საჯარო ადგილები, როგორცაა, დაცული ტერიტორიები, უფასოდ იქნება შეთავაზებული, რაც სხვა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი არ არის. მოსალოდნელია, რომ კინემატოგრაფიის კომისიაში და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომლის დაქვემდებარებაშიც იგი იმყოფება, წინააღმდეგობა გაუწიონ გადასახადის შემოღებას. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ სხვა ქვეყნებში არის სისტემა, რომელიც გადაღებისთვის მსგავს ხელსაყრელ სტიმულებს სთავაზობს და ამავდროულად საფასურსაც იღებენ ისეთ ადგილებში გადაღებებისთვის, როგორცაა დაცული ტერიტორიები და სხვა ლოკაციები; ამრიგად, ეს ორი ასპექტი ურთიერთგამომრიცხავი არ არის.</p>		
14	ტრანსპორტის შესვლის გადასახადი	<p>ამ გადასახადს ხშირად შესვლის გადასახადზე დამატებით იღებენ, შესულ პირთა რაოდენობის მიხედვით. ტრანსპორტის შესვლის გადასახადი შეიძლება იყოს შემოსავლის წყარო და, ამავდროულად, შეიძლება გამოყენებული იქნეს დიდი რაოდენობით ტრანსპორტის თავმოყრის თავიდან ასაცილებლად, სადაც ეს პრობლემას წარმოადგენს. ასეთი სახის გადასახადები აქვთ შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, აფრიკის საფარის ქვეყნების უმეტესობაში და სხვა ქვეყნებში. ზოგიერთ ქვეყანაში ტრანსპორტის გადასახადი დამოკიდებული არის სატრანსპორტო საშუალების ტიპზე (მაგალითად, სედანი, ორხიდიანი, მინი-ავტობუსი, დიდი ავტობუსი), წონაზე ან სავარძლების რაოდენობაზე. ზოგან უცხოური ნომრების მქონე მანქანებზე გადასახადი მეტია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უცხოელებისთვის შესვლის გადასახადიც უფრო მაღალია.</p> <p>გადასახადების ოდენობა განსხვავებულია, მაგრამ, როგორც წესი, იგი მერყეობს თითოეულ პირზე შესვლის გადასახადსა და ამ გადასახადის ორმაგ ოდენობას შორის (ანუ, თუ შესვლის გადასახადი ზრდასრული პირისთვის არის 5 აშშ დოლარი, მაშინ სედანის ტიპის ავტომობილის გადასახადი 5-დან 10-მდე აშშ დოლარის ფარგლებში იქნება).</p>	6.7	პოტენციური პრიორიტეტი

		<p>საჭიროების შემთხვევაში, გადასახადების დაწესებისას ნიშნულებად გამოყენებისთვის, სავსებით ხელმისაწვდომია უფრო დეტალური მაგალითები გადასახადების სტრუქტურისა და რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში. ამან შესაძლოა ფინანსური გავლენა იქონიოს იმ დაცულ ტერიტორიებზე, რომლებსაც სჭირდებათ მარშრუტების შექმნა და მოვლა, ინფრასტრუქტურა და აბრები.</p> <p>მანქანების შესვლის მაგალითებია თუშეთის დაცული ტერიტორია და ლანდშაფტი და ვაშლოვანის დაცული ტერიტორია. დღეისათვის გადასახადი მხოლოდ ვაშლოვანში არის დაწესებული, 5 ლარი თითოეულ ავტომობილზე, მაგრამ ეს გადასახადი პრაქტიკულად ემსახურება ადამიანთა რეგისტრირებას საზღვრის უსფრთხოების მიზნებისთვის. თუშეთში მოხდა ტრანსპორტის შესვლის ნებაყოფლობითი გადასახადის პილოტირება დაცული ტერიტორიის კონკრეტულ უბნებზე. თუმცა პილოტირების შემდეგ მას მდგრადი განხორციელება არ მოჰყოლია.</p>		
15	ლონისძიებების გადასახადი	<p>დღეისათვის ღონისძიებების გადასახადი ძირითადად მცირეა (მაგალითად, დაბალი შემოსავლები 'ქორწინების ცერემონიებიდან'). შესაძლებელია ზოგიერთი დაცული ტერიტორიის მარკეტინგი ქორწილების, კონცერტების ჩასატარებლად, თუ მათ შესაბამისი შენობები აქვთ. უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება იმ დაცულ ტერიტორიებზე, რომლებსაც საკონფერენციო დარბაზები აქვთ. შეწუხების რისკი პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია საგულდაგულო დაგეგმვა და მართვა. რა და სად არის შესაფერი - განსხვავებული იქნება თვით ერთი დაცული ტერიტორიის ფარგლებში. მაგალითად, ადმინისტრაციულ შენობებთან მდებარე ტერიტორია შეიძლება გამოყენებული იქნეს უფრო 'ხმაურიანი' ღონისძიებებისთვის. ასეთ ღონისძიებებს განსაკუთრებით უწყობს ხელს ღონისძიების ორგანიზატორებთან ურთიერთობების გაუმჯობესება, რათა მათ ჰქონდეთ იდეების გაზიარების საშუალება და მიხვდნენ, თუ რომელი ღონისძიება არის შესაფერი კონკრეტული ადგილისთვის.</p>	5.9	არ არის პრიორიტეტი

16	გაფართოებული რესურსების გამოყენების გადასახადი, რომელშიც ჩართული იქნება ტყის არამერქნული პროდუქტები (NTFPs)	<p>საქართველოს BIOFIN-ის ბიომრავალფეროვნების ფინანსური გეგმის ერთ-ერთი გადაწყვეტა არის „ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე არსებული გადასახადების და კვოტირების სისტემის გადასინჯვა და განახლება“. აჭარის დაცული ტერიტორიების ღირებულებათა და შემოსავლების ვერსიების კვლევის შედეგად, რეკომენდებული არ იქნა მერქნის გამოტანის ზრდა ან არამერქნული ტყის პროდუქტის გადასახადის ზრდა, რადგან ამან შეიძლება გაამწვავოს კონფლიქტი ახლომდებარე ადგილობრივ თემებთან (ადეიშვილი 2016).</p> <p>ნათელი არ არის, იქნება თუ არა შემოსავლები ასეთი მოსაკრებლების შემოღების ხარჯებზე საგულისხმოდ მეტი. საჭიროა სიფრთხილე, რათა ხე-ტყის ჭრისაგან მიღებული შემოსავლების ზრდისკენ სწრაფვამ ხელი არ შეუწყოს გადაჭარბებულ ჭრას. დაცულ ტერიტორიებზე მეფუტკრეები სკვებ ალაგებენ, რაზედაც შეიძლება გადასახადი დაწესდეს, მაგრამ ფუტკრეები დაცულ ტერიტორიებს კარგ სამსახურს უწევენ დამტვერვის თვალსაზრისით. ტყეში არამერქნული ტყის პროდუქტის მოპოვება უკვე ახალი წესებით დარეგულირდება, ამიტომ იგი იქნება ფორმალიზებული და ლიცენზირებული, თუმცა ჯერჯერობით უფასო იქნება, მაგრამ მომავალში შეიძლება გადასახადს დაექვემდებაროს.</p>	5.1	არ არის პრიორიტეტი
17	ეკოსისტემის სერვისების გადასახადის (PES) სქემები	<p>აჭარის დაცული ტერიტორიების ღირებულებათა და შემოსავლების ვერსიების კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა ეკოსისტემების სერვისების გადასახადის ნებაყოფლობითი სქემები, რომელთა განხილვაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული. მაგალითად, 'ბათუმის წყალი' (BWU) იყენებს წყლის რესურსებს, რომლებიც მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე იღებს სათავეს. ჰიდროელექტრო სადგურები, კინტრიშის (6 მვ) და ხელვაჩაურის (36 მვ) ჩათვლით, რომლებიც უნდა აშენდეს, ამ დროისთვის ასევე დამოკიდებულია კინტრიშისა და მაჭახელას ნაკადებზე (ადეიშვილი 2016). ასეთ სქემას დასჭირდება განხორციელებადობის შეფასება, კერძოდ, სერვისების პოტენციურ მყიდველებთან ურთიერთქმედება. პრინციპში, მათ უნდა სურდეთ და შეეძლოთ წყალშემკრების დაცვისთვის გადახდა, ძირითადად მიწათმოწყობის გზით იმ წყალგამყოფებზე, საიდანაც ისინი წყალს იღებენ. მიაქციეთ ყურადღება, რომ წყლის ეკოსისტემის მომსახურების გადასახადი განიხილებოდა, მაგრამ პრიორიტეტულად არ იქნა მიჩნეული საქართველოს ბიომრავალფეროვნების ფინანსური გეგმისთვის.</p>	5.3	არ არის პრიორიტეტი

		<p>ეროვნული განვითარების პოლიტიკა ორიენტირებულია განვითარების ხელშეწყობაზე, რაც შეიძლება შემძღვდავი ფაქტორი აღმოჩნდეს. ამის მაგალითია კომპანია „ბორჯომის წყალი“, რომელმაც უკვე გადაიხადა სერიოზული თანხა აუქციონზე, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად ადგილობრივ მუნიციპალიტეტს უხდიდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადს და ყოველწლიურ ნორმატიულ გადასახადს ლიცენზიის გამცემ სააგენტოს, და სავარაუდოდ მეტის გადახდას ვეღარ შეძლებს.</p> <p>პრიორიტეტი არ არის და კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ფოკუსირება ალბათ უნდა მოხდეს, როგორც ეკოსისტემის სერვისის გადასახადის ნებაყოფლობით ფორმაზე (ინსტრუმენტი და დეტალები იხ. ქვემოთ). გაითვალისწინეთ, რომ კავკასიის ბუნების ფონდი გეგმავს ეკოსისტემის სერვისების შეფასებას, რომლის ფარგლებშიც ეს საკითხი შეიძლება დამატებით იქნეს შესწავლილი.</p>		
18	კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წვლილი	<p>კერძო სექტორის კომპანიათა უმრავლესობა ამჯობინებს ფონდები გამოყოს არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ორგანიზაციების გავლით, მაგალითად, როგორცაა, კავკასიის ბუნების ფონდი და სხვ. ეს შეიძლება უფრო იოლი იყოს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვისაც. ეს განსაკუთრებით ეხება საწარმოებს ან სექტორებს, რომლებიც სარგებელს იღებენ დაცული ტერიტორიებისგან (მაგ., ტურიზმი, წყალმომარაგება, ჰიდროელექტროსადგურები, და ა.შ.). ეს მათ კონტრიბუციებს ეკოსისტემების სერვისებისთვის ნებაყოფლობითი გადასახადის ფორმას მისცემდა, როდესაც შედეგების მონიტორინგი იმდენად მკაცრი არ არის (მაგ., კომპანიებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდებში, ნაკლები მეცნიერული დასაბუთება დასჭირდებათ მათი კონტრიბუციების სარგებლიანობის შესახებ ეკოსისტემის სერვისების გადასახადის ჩვეულებრივ სქემებთან შედარებით). კავკასიის ბუნების ფონდის ეკოსისტემის სერვისების შეფასებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომპანიებს შორის პოტენციური CSR მონაწილეთა ორიენტირებას, რომლებიც სარგებელს მიიღებენ დაცული ტერიტორიებიდან.</p> <p>კავკასიის ბუნების ფონდი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად ორიენტირებული არიან ეროვნულ დონეზე, ხოლო მეგობართა ასოციაციების ფოკუსი უფრო მიმართული იქნება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდების მოზიდვაზე ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.</p>	8.1	პოტენციური პრიორიტეტი

19	ონლაინში შემოწირულობების შესაძლებლობა	<p>ფიზიკური შემოწირულობების ყუთებს ძალიან დაბალი შემოსავალი მოაქვთ. ამრიგად, ეს ინსტრუმენტი შეიძლება ფოკუსირებული იქნეს ონლაინში 'შემოწირულობის ყუთის' გამოყენებზე, მაგალითად, 'GivenGain' პლატფორმის ან მოსახლეობიდან დაფინანსების მიღების კამპანიების მეშვეობით. ონლაინში შემოწირულობის შესაძლებლობა კარგად მუშობს მაშინ, როდესაც დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელ ორგანოს კარგი ვებგვერდი აქვს, მაღალი გამტარობის ინტერნეტით (დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, მათ ვებგვერდს ყოველწლიურად 5,000-დან 1,0000-მდე ვიზიტორი ჰყავს), რადგან სწორედ აქ არის შემოწირულობის მთავარი ბმული. ჩვეულებრივ მათ თან უნდა ახლდეს რაიმე საინფორმაციო კამპანია, ინტერნეტის გამოწვევის მიზნით. დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ეს პრიორიტეტი არ არის, თუმცა მომავალში შეიძლება განხილული იქნეს როგორც 'პარკის მეგობრების' ორგანიზაციათა მსჯელობის საგანი. კავკასიის ბუნების ფონდი და 'საბუკო' (SABUCO) არის იმ ორგანიზაციათა მაგალითი, რომლებსაც თავიანთ ვებგვერდებზე უკვე აქვთ ბმული „გააკეთე შემოწირულობა ახლა“.</p>	5.1	არ არის პრიორიტეტი
20	სპონსორთა მიერ უზრუნველყოფილი პრიზებით კონკურსების (იღბლიანი გათამაშება) ორგანიზება, ფონდების მოზიდვის მიზნით	<p>მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ზღვის გადარჩენის ეროვნული ინსტიტუტი სამხრეთ აფრიკაში, სადაც შემოწირულობა (ანუ, გათამაშებაზე შესასვლელი ბილეთი) ავტომობილის მოგების შანსს იძლევა, რომელიც 'მიცუბიშის' მიერ არის უზრუნველყოფილი, ასევე, სხვა მაღალფასიანი პრიზებიც არის გათვალისწინებული. ეს კონკურსი ყოველ წელს ტარდება და იგი ამ ინსტიტუტის შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა, ხოლო 'მიცუბიშის' მარკეტინგისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. რაღაც მსგავსი ღონისძიება ერთჯერადად კავკასიის ბუნების ფონდმაც ჩაატარა, რადგან მას დიდი რესურსი და ორგანიზება სჭირდება.</p>	6.1	პოტენციური პრიორიტეტი
21	ადგილობრივი ეკოტურიზმის მოსაკრებელი (დამისთვისების მოსაკრებელი)	<p>ყველაზე უკეთ მიესადაგება ისეთ ადგილებს, სადაც შორიახლო განლაგებული არის ტურისტული ობიექტები დაბინავების შესაძლებლობით და რომლებიც დაცული ტერიტორიიდან მწმენლოვან სარგებელს იღებენ. ასეთი ადგილობრივი მოსაკრებლის სავალდებულო სახით შემოღება რთულია, ამიტომ, მეგობართა ასოციაცია უნდა შეეცადოს მიიღოს ნებაყოფლობითი შენატანები სასტუმროებისგან და სხვა ტურისტული კომპანიებისგან. ყურადსაღებია, რომ ნებაყოფლობითი ადგილობრივი მოსაკრებლები, ისეთ ადგილებში, როგორც არის თუშეთი, ადრეც განიხილებოდა, მაგრამ საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაფინანსების გეგმაში პრიორიტეტად არ იქნა</p>	5.1	არ არის პრიორიტეტი

		განსაზღვრული. სამომავლოდ შეიძლება განხილული იქნეს ვარიანტის სახით მეგობართა ასოციაციებისთვის.		
22	ეროვნული ეკოტურიზმის მოსაკრებელი, საიდანაც გარკვეული ნაწილი დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადაეცემა	სტაბილური შემოსავლის პოტენციალი მაღალია, მაგრამ უფრო რთულია, ვიდრე ადგილობრივი მოსაკრებელი. საჭირო იქნება პოლიტიკური მხარდაჭერა მაღალ დონეზე და მოლაპარაკებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაწილი გადაეცემა დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ტურისტულ მარკეტინგისგან, ტრენინგისაგან და სხვა ასპექტებისაგან განსხვავებით. ყურადსაღებია, რომ ეროვნული მოსაკრებელი განიხილებოდა, მაგრამ არ არის მიჩნეული პრიორიტეტულად საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაფინანსების გეგმაში.	4.8	არ არის პრიორიტეტი
23	დაცული ტერიტორიის ბრენდის გამოყენების გადასახადი ან ნებაყოფლობითი კონტრიბუციები	ეს შეიძლება ეხებოდეს ადგილობრივ პროდუქციას ან მომსახურებას, რომლებიც სარგებელს იღებენ დაცული ტერიტორიის ბრენდისგან - მაგალითად, მტირალას მეფუტკრეების იყენებენ სახელწოდებას 'მტირალა'. დაცული ტერიტორიის ბრენდის გარკვეულწილად შეზღუდული და შესაბამისი გამოყენება შეიძლება მიჩნეული იქნეს სარგებლის განაწილების დასაშვებ მექანიზმად, რისთვისაც გადასახადი არ უნდა იყოს დაწესებული. ამრიგად, ნათელი არ არის ღირს თუ არა გადასახადის დაწესება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაცული ტერიტორიის ბრენდი ინტენსიურად გამოიყენება და მას იყენებენ დიდი საწარმოები მოგების მისაღებად.	4.2	არ არის პრიორიტეტი
24	მხარდაჭერის სერტიფიკატი, რომელსაც დაცული ტერიტორიები 'ყიდიან' ახლომდებარე სასტუმროებზე ან ტურიზმის ორგანიზაციებზე	ისინი გაიყიდება იმ მიზნით, რომ მოხდეს დაცულ ტერიტორიებში მათი წვლილის აღიარება. ეს იქნება ბრენდის გამოყენების კონტრუბუციების ანალოგიური და შეიძლება საინტერესო იქნეს სასტუმროებისთვის - მათი მარკეტინგის თვალსაზრისით, ასევე, მათი მეშვეობით ისინი შეძლებენ ქულების დაგროვებას ეკოლოგიური სერტიფიცირების პროცესებში. ისინი, ამავდროულად, შეიძლება განხილული იქნეს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის, სპონსორობის ფორმად. დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის ეს საკითხი პრიორიტეტული არ არის, მაგრამ სამომავლოდ შეიძლება განხილული იქნეს ვარიანტის სახით მეგობართა ასოციაციებისთვის.	5.3	არ არის პრიორიტეტი
25	რეკლამის საშუალებათა პირდაპირი გაყიდვა	დღეისათვის, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფონდები და სხვა შემოწმებული შეიძლება აღიარებული იქნეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, რაც წვლილის შემტან საწარმოებს გარკვეული მარკეტინგული სარგებლის მიღების საშუალებას მისცემს და შეიძლება მეტი წვლილის შეტანის სურვილიც	6.1	პოტენციური პრიორიტეტი

		<p>გაუჩნდეთ. შეიძლება კიდევ უფრო გავრცობის საშუალებაც გაჩნდეს, მაგალითად, სარეკლამო სივრცის უფრო პირდაპირი შთავაზება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიწებზე და მათ ობიექტებზე, მაგალითად, ბილბორდების დაყენება. ეს ძალიან ფრთხილად უნდა მოხდეს, რათა არ გამოიწვიოს ვიზიტორთა გაუცხოება, რომლებმაც შეიძლება ეს ზედმეტად კომერციულად მიიჩნიონ. ნათელი არ არის, იქნება თუ არა ამის გაკეთება მართლზომიერი სახელმწიფო დაწესებულებისთვის.</p>		
26	ბიომრავალფეროვნების კომპენსაციები	<p>ბიომრავალფეროვნების კონპენსაციათა რეალიზება შეიძლება მოხდეს გზშ-ის ფარგლებში, როგორც ბოლო ვარიანტი შედეგების შერბილების იერარქიაში (ანუ, როდესაც მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნების ზიანის ან დაკარგვის თავიდან აცილება ან შერბილება შეუძლებელია, მაშინ მაშინ 'ოფსეტი' განიხილება, როგორც კონსერვაციის ფორმა). მკაცრი გამოყენების შემთხვევაში, ისინი ხელს უწყობს დაცული მიწების დამატებითი ფართობების წარმოშობას, რომლებიც ხშირად დაცული ტერიტორიის გამგებლობაში შედის. ამრიგად, მისგან მიღებული სარგებელი უპირველეს ყოვლისა არის დამატებითი დაცული მიწები და არა დიდი შემოსავალი (გარდა იმ სახსრებისა, რომლებიც საგანგებოდ არის რეზერვირებული კონსერვაციისთვის გამიზნული დამატებითი მიწების მართვისთვის). ნაკლებად მკაცრი და საუკეთესო პრაქტიკისთვის შეუსაბამოდ გამოყენების შემთხვევაში, ურთიერთხათვლა შეიძლება განხორციელდეს დაცული ტერიტორიის მართვის ორგანოსთვის გადასახადის გადახდის ფორმით - არსებული დაცული მიწის მართვისთვის.</p> <p>მიაქციეთ ყურადღება, რომ კომპენსაციების საკითხი განიხილეს, მაგრამ იგი არ იქნა მიჩნეული პრიორიტეტულად საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაფინანსების გეგმაში. დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეიძლება მიიღოს სარგებელი კომპენსაციებისგან კონკრეტულ შემთხვევებში და ამისთვის მზად უნდა იყოს, როგორც კი ამის საშუალება გაჩნდება. საჭიროა ზიანის კომპენსაციის დაკავშირება კანონმდებლობის რეოფრმასთან.</p>	5.3	არ არის პრიორიტეტი
27	კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ფონდები (კლიმატის მწვანე ფონდი/ GCF)	<p>საქართველოს GCF-ის ოთხი პროექტი აქვს დამტკიცებული, 767 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების, საიდანაც ფონდების მეტი წილი ფოკუსირებულია მწვანე ენერჯეტიკაზე, ადრეული გაფრთხილების სისტემებსა და მწვანე ქალაქებზე. დაცული ტერიტორიების</p>	5.3	არ არის პრიორიტეტი

		<p>სააგენტოსთვის შეიძლება გაჩნდეს ეროვნული პროექტებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ორიენტირებული არის ტყის აღდგენაზე ან მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამრიგად, ფონდები მხოლოდ ამ მიზნებისთვის არის განკუთვნილი და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მთლიან შემოსავლებს, როგორც ასეთი, არ დაემატება. დაცული ტერიტორიებისთვის რთული იქნება ასეთ ფონდებზე ხელმისაწვდომობა, რადგან დაცულ ტერიტორიებს, როგორც 'ივარაუდება', უკვე იცავს მთავრობა. უკეთესი პოტენციალი არის მაშინ, როდესაც არსებითად არის საჭირო ტყის განაშენიანების/აღდგენის სამუშაოები, განსაკუთრებით, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, სადაც დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობას ძალზე შეზღუდული რესურსები აქვს.</p> <p>კლიმატის ცვლილების შერბილებაში საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილი სამ პრიორიტეტს აღიარებს კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებათა შორის: (ა) ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დაფუძნება; (ბ) ტყის განაშენიანების/აღდგენის განხორციელება და ბუნებრივი რეგენერაციისთვის ხელშეწყობა; და (გ) დაცული ტერიტორიების გაფართოება. მისი მთავარი უპირობო ვალდებულება არის ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბანზე ტყის განაშენიანების/აღდგენის უზრუნველყოფა. განაშენიანების/აღდგენის ტერიტორია 35,000 ჰექტარს მოიცავს, იმ პირობით რომ უზრუნველყოფილი იქნება გარედან ფინანსური დახმარება, მაგალითად, კლიმატის მწვანე ფონდისგან, ასევე, სხვა სახის ფინანსური დახმარება. 2020-2030 წლებში სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნისა და დამატებითი დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტური დაგეგმვის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო წყაროებიდან საკმარისი დახმარების შემთხვევაში, ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას, რომ დაცულ ტერიტორიებს გააფართოვებს 0.52 მილიონი ჰექტრიდან, 1,3 მილიონ ჰექტრამდე (საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20%), რომელიც დაახლოებით 1 მილიონ ჰა ტყეს მოიცავს. (მსოფლიო ბანკი 2020).</p>		
28	ნახშირბადის კომპენსაციის ფონდები.	<p>ნებაყოფლობითი ადგილობრივი და საერთაშორისო შენატანები, რომლებიც კონკრეტულად არის გამოწვნილი ტყის განაშენიანებისა და აღდგენისთვის. ამ ფონდებზე ხელმისაწვდომობა შეიძლება რთული იყოს და, მათ, ვინც წვლილს შეიტანს, უნდა დარწმუნებული იყოს, რომ მათი სახსრები კონკრეტულად ტყის აღდგენას ხმარდება. ამრიგად, ეს</p>	5.3	არ არის პრიორიტეტი

		ფონდები შემოსავლების პირობით ფორმას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტო ამ შემოსავლებს თავისი შეხედულებისამებრ ვერ გამოყენებს.		
29	ბიო-დაზვერვის გადასახადი და ჰონორარი.	პროგნოზირების ჰონორარებისთვის თავიდანვე მაღალი შემოსავლების გენერირება დამახასიათებელი არ არის, მაგრამ თუ გაკეთდება მომგებიანი აღმოჩენა და დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებში ძლიერ პოზიციაში იქნება. ჰონორარები შეიძლება შემოსავლის კარგი წყარო იქნეს გრძელვადიან პერსპექტივაში.	5.3	არ არის პრიორიტეტი
30	ნადირობის გადასახადი (გამოხშირვისთვის)	თუ აუცილებელია გამოხშირვა ან ზიანის მომტანი სახეობების კონტროლი, მაშინ ამის მისაღწევად ფასიანი საკონტროლო ნადირობა შემოსავლების გაზრდის საშუალება შეიძლება იყოს. თუმცა ამჟამად გამოხშირვა არ ხდება, ამიტომ ეს ინსტრუმენტი შეიძლება მომავალში იქნეს განხილული, თუ (და როდესაც) საჭირო იქნება.	5.6	არ არის პრიორიტეტი
31	სუვენირების მაღაზიები, სავაჭრო წერტილები, სერვისები	დღეისათვის დაცული ტერიტორიების სააგენტო ყიდის სუვენირებს და სხვა საგნებს, მაგალითად, რუკებს, ძირითადად - ტურისტებზე, და სთავაზობს სერვისებს. პრიორიტეტული არ არის, რადგან ფოკუსირებულია ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე, თუმცა მომავალში შეიძლება განხილული იქნეს ვარიანტად მეგობართა ასოციაციების მოაწილეობისთვის შერჩეულ ტერიტორიებზე, ანუ, ისინი გაყიდვიდან საქონელსა და მომსახურებას დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან პარტნიორობით. მტირალას მეგობართა ასოციაციის ფინანსური მდგრადობის შესწავლისას შეფასდა სასკოლო ექსკურსიების და სხვა სერვისების შესაძლებლობები, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შემოსავლების გაზიარებით.	5.9	არ არის პრიორიტეტი
32	მწვანე/კონსერვაციის ობლიგაციები.	ეს ინსტრუმენტები ძირითადად არის კრედიტები კაპიტალის გასაძლიერებლად, რისთვისაც ალბათ მთავრობამ გარანტორის როლი უნდა შეასრულოს, ამიტომ ისინი შემოსავლების მიღების კუთხით ნაკლებ ინტერესს იმსახურებს.	3.9	არ არის პრიორიტეტი
33	ბიომრავალფეროვნების საწარმოთა ფონდები.	ეს შემოსავლების გენერირებას არ ემსახურება. მისი მიზანი არის ფონდების უზრუნველყოფა მცირე ბიზნესისთვის, რომლებსაც სარგებელი ადგილობრივმა თემმა უნდა მიიღოს. მაგალითად, მათ შეუძლიათ კაპიტალი უზრუნველყონ მეფუტკრეობის პროექტებისთვის, რაც გაზრდის საარსებო წყაროებს, და შემდეგ შესაძლოა რესურსების გამოყენების შემცირება გამოიწვიოს, როგორცაა, მაგალითად, დაცული ტერიტორიის ფარგლებში რესურსების არამდგრადი მოპოვება.	4.4	არ არის პრიორიტეტი

34	ვალის ბუნებით ჩანაცვლება.	სახელმწიფო კრედიტორებს აიძულებს ჩამოწერონ სახელმწიფო ვალეები კონსერვაციის ვალდებულებების აღებისა და პროექტების განხორციელების სანაცვლოდ. 2006 წელს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD). ეს ინსტრუმენტი დეტალურად შეისწავლა. შესაძლებელია მისი დამატებითი შესწავლა, თუმცა, სავარაუდოდ, მას საქართველოში მნიშვნელოვანი პოტენციალი არ ექნება, რადგან იგი ძირითადად გავრცელებულია ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც ძალიან დიდი დავალიანება და ძალიან დაბალი შემოსავალი აქვთ.	3.9	არ არის პრიორიტეტი
----	---------------------------	--	-----	--------------------